



მიტროპოლიტი
ანანია ჯაფარიძე

**საქართველოს
ეკლესიის
მოკლე ისტორია**

მეორე გამოცემა

თბილისი
2004

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგის პროფესორ, მაღალყოვლადუხამღვდელოეს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნში „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია“ მოთხრობილია იმ ღვაწლის შესახებ, რომელსაც ეწეოდა საქართველოს ეკლესიის საუკუნეთა მანძილზე ერის სულიერი გადარჩენისათვის.

წიგნში პირველად არის გამოყენებული წმ. ბიბლია ვითარცა საქართველოს ეკლესიის საისტორიო წყარო. საქართველოს ეკლესიის ისტორია დაყოფილია პერიოდებად და მოიცავს ჩვენი წმ. სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას I ს-დან XX ს-ის ჩათვლით. ეს ნაშრომი ფაქტიურად წარმოადგენს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ ოთხტომეულის მეტად შემოკლებულ ვარიანტს და განკუთვნილია სტუდენტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია

შესავალი

ქრისტესმიერ საყვარელო შვილებო, ყოველი ჩვენი სიტყვით და საქმით უნდა ვადიდოთ უფალი ღმერთი, რამეთუ მან დაგვბადა ჩვენ, შექმნა ცა და დედამიწა, კაცობრიობა, ერები და ხალხები.

წმიდა წერილის თანახმად, თავდაპირველად კაცობრიობა ერთ ხალხს, ერთ ეთნოსს წარმოადგენდა, ერთი სალაპარაკო ენით – „ერთპირი იყო მთელი ქვეყანა და ერთ ენაზე მეტყველი“ (დაბ. 11. 1), ბაბილონის გოლოლის დანგრევის შემდგომ კი უფალმა ღმერთმა იხება, რომ დედამიწაზე ეცხოვრა არა ერთ, არამედ მრავალ ერს, ყოფილიყო მრავალი ენა. წმიდა ბიბლიის თანახმად, ასე ჩამოყალიბდნენ დედამიწის პირველი ხალხები. თითოეულ ერს მიეცა თავისი საპატრონო ნაწილი დედამიწისა, რომელსაც სამშობლო ეწოდება, ამასთანავე, ადამიანებს მიეცათ მოვალეობა მისი მოვლა-პატრონობისა, მტრისგან დაცვისა. ჩამოყალიბდა პირველი სახელმწიფოები, იქ მცხოვრებნი ერთმანეთის მიმართ თანამემამულენი (ძველქართულად ნათესავნი), მოყვასნი და მეგობარნი იყვნენ. ერისათვის თავდადება, მისთვის თავის გაწირვა ღვთისათვის სათნო საქმედ ითვლებოდა, რადგანაც ნაყოფი იყო სიყვარულისა, ღმერთი კი სიყვარულია. ბრძანებს კიდევ წმიდა წერილი: „იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, როცა ვინმე თავის სულს სწირავს თავისი მეგობრისათვის“ (იოანე 15. 13). სამშობლოს სიყვარულით და ერთმანეთისათვის თავდადებით ძველთაგანვე გამოირჩეოდნენ ჩვენი სულკურთხეული წინაპრები, ძველი ქართველები. მათ შესახებ კაცობრიობის უპირველესი წიგნი – წმიდა ბიბლიაც გვაწვდის ცნობებს. როგორც ცნობილია, მსოფლიო წარდუნას მხოლოდ ერთი კაცის, ნოეს ოჯახი გადაურჩა და მთელ კაცობრიობას ნოეს ძეებმა – სემმა, ქამმა და იაფეტმა დაუდეს საფუძველი. იაფეტის ძეებს შორის იხსენებიათ ქართველთა წინაპრებიც: თობელი, მოსოქი და ასევე თოგარმა, თანახმად ბიბლიის დიდ კომენტატორთა – იოსებ ფლავიუსისა და სხვათა განმარტებებისა. იაფეტის შთამომავლობა ასეთია: „იაფეტის ძენი: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი“ (დაბ. 10. 2-3), ქართველთა ეთნარქების – თუბალის და მეშექის (მოსოხის) შესახებ ასევე მრავალ საგულისხმო ცნობას გვაწვდიან დიდი წინასწარმეტყველები იერემია და ეზეკიელი.

ს. ჯანაშიას კონცეფცია ასეთია: „დაახლოებით 6000 წლის წინ, წინა აზიის უზარმაზარ მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთი, აპენინისა და პირინეის ნახევარკუნძულები) ერთი მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ. შემდგომ ამ მოდგმის ხალხთა ადგილსამყოფელი თანდათან იზღუდებოდა – ესენი

ქართველთა წინაპრები იყვნენ“. ამ დროისათვის ქართველები მეტყველებდნენ ერთი საერთო ენით. ქართველობა იმ დროისათვის ერთიანი იყო და არ იყო დაყოფილი იმ ჯგუფებად, რომელთაც ამჟამად კახელებს, იმერლებს, მეგრელებს, სვანებს, გურულებს, ხევსურებს და სხვ. ვუწოდებთ. ძველი ქართველები ქრისტეშობამდე 2000 წლის წინ კავკასიის გარდა ასევე ცხოვრობდნენ მცირე აზიასა და შუამდინარეთის ჩრდილო ნაწილშიც და მათ მრავალი სახელოვანი სახელმწიფო შექმნეს. ძველქართულ ქვეყანათა შორის განსაკუთრებული სიდიადით ბრწყინავდა კოლხეთი. ჰომეროსი და ძველი მსოფლიოს მრავალი პოეტი ამ კობდა მის დიდებას, მაგრამ ისტორია ცვალებადია, ქრისტეშობამდე 800 წლით ადრე კოლხეთს შემოესივნენ კიმერიელები, ძალზე ძლიერი ხალხი, ჩრდილო კავკასიის იქითა სტეპების ტომები, მათ ჯერ კოლხეთის სამეფო გაანადგურეს, შემდეგ კი სამხრეთის მრავალი ქვეყანაც დაიპყრეს ვიდრე ისრაელამდე. მათგან მთელი აზია ძრწოდა. გამარჯვებულ კიმერიელებს აუყრიათ კოლხეთისა და სხვა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი და უძიულებით ისინი ელაშქრათ სამხრეთში სხვა ხალხების დასამორჩილებლად. ეს ლაშქრობა ყოფილა ხალხთა დიდი გადასახლება ჩრდილოეთიდან ისრაელამდე. ეს მოვლენა წმიდა ბიბლიაშიც აისახა. ბრძანებდა უფალი წინასწარმეტყველის პირით: „აჰა, მოვუხმობ ჩრდილოეთის ყველა ტომს, ამბობს უფალი, და ავაძვინებ ამ ქვეყანაზე, მის მცხოვრებლებზე და ირგვლივ ყველა ხალხზე“ (იერემია 25. 9). ჩრდილოეთის ხალხების დიდი ლაშქრობა ისრაელისაკენ უფლის ნება ყოფილა. ამ ხალხთა შორის, ბიბლიის კომენტატორების განმარტებით, იყვნენ „მოსოხისა და თუბალის“ ხალხები (ქართველები), რომელნიც თურმე აიძულა გოგის (კიმერიელთა) ხალხმა მათთან ერთად ელაშქრათ სამხრეთში, მათ ისრაელის მთებამდეც კი მიუღწევიათ. აქ გაუმარჯვნიათ და ერთხანს კიდევ გაბატონებულან, რაც იწინასწარმეტყველა კიდევ მეფე დავითმა, – ეს ფსალმუნებშიც აისახა. „ვაიმე, ხიზანი ვარ მეშექისა, ვბინადრობ კედარის კარვებთან“ (ფს. 119 (120) 5; ბიბ. 1989, გვ. 555). ვინ იყვნენ მოსოხები (მეშექები), რომელთა ხიზნად ქცეულა წმიდა მიწის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნები?

იერემია და ეზეკიელ წინასწარმეტყველების ეპოქის, ქრისტეშობამდე VI ს. ავტორი, ჰეკატოს მილეტელი წერს: „მოსოხი კოლხური ტომია“ (ნარკვ. I, გვ. 395), მაშასადამე, აღნიშნული მოსოხები ის კოლხები არიან, რომელნიც კიმერიელთა იძულებით ჩრდილოეთიდან სამხრეთში ლაშქრობდნენ. კოლხეთიდან გამოძევებულ ქართველობის სამხედრო არისტოკრატიას სამხრეთში დაუარსებია ახალი სახელმწიფო, რომელსაც უძველესი ქართული წყარო, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, უწოდებს „არიან-ქართლს“. უცხოელები მას ასევე ძველ იბერიას უწოდებდნენ. მალევე უფალ ღმერთს უნებებია, თანახმად წმიდა წერილისა, რომ სამხრეთში გადმოსახლებული ქართველები კვლავ უკან კავკასიაში დაბრუნებულიყვნენ. ეზეკიელი ახსენებს კიდევ უფლის სიტყვებს,

ჩრდილოეთის კიდებიდან მოსულ ხალხთა მიმართ ნათქვამს – „გაგაბრუნებ“! უფალი ბრძანებს: – „აჰ, შენზე ვარ, გოგ, რომის, მეშექმის და თუბალის მთავარო! გაგაბრუნებ... თოგარმას სახლს ჩრდილოეთის კიდებიდან მთელი თავისი ურდოთი, ურიცხვი ხალხითურთ შენთან ერთად“ (ეზეკიელი 38. 3-6).

წმიდა წერილის თანახმად, ჩრდილოეთის ხალხების სამხრეთში გადმოსახლება და შემდეგ მათი უკან დაბრუნება ღვთის დიადი გეგმის ნაწილი იყო, რათა ჩრდილოეთის ხალხებს ეცნოთ ჭეშმარიტი ღმერთი, რომელსაც ნებავდა არა ხალხების სიკვდილი და გაქრობა, არამედ გაწვრთნა – „მიხვდებიან ხალხები, რომ მე უფალი ვარ, რომ წმიდა ვარ ისრაელში“ (ეზეკიელი 39. 7) ანდა – „წამოგიყვან ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ, რომ მიცნონ ხალხებმა, როცა გამოვაჩენ ჩემს სიწმიდეს შენში, გოგ, მათ თვალწინ“ (ეზეკიელი 38. 16). ბიბლიის კომენტატორები, მათ შორის, ეკლესიის ისტორიის მამად წოდებული ევსევი კესარიელი და წმ. იოანე ოქროპირის საუკეთესო მოწაფე თეოდორიტე კვირელი ეზეკიელის აღნიშნული მუხლების განმარტებისას წერენ, რომ ქართველი ტომების უკან დაბრუნება უფალმა ინება ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის ხელით: „ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ძლიერი იყო, სამარი ჯვარი შეკრიბა, მიადწია იბერთა ქვეყანაში, აჯობა მათ, გააცამტვერა და დაიმორჩილა. მათგან ერთი ნაწილი გადაასახლა მან პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე და იქ დაასახლა“ (გეორგიკა I, 1961, გვ. 30). ევსევი კესარიელი ამ ცნობის გადმოცემისას ეყრდნობოდა ქრისტესშობამდე IV-III ს-ის ისტორიკოს მეგასტენეს. მასსადაამე, სადაც სამხრეთში ძვ. წ. VI-IV სს-ში არსებობდა ქართველთა ქვეყანა – ძველი იბერია (ივერია), რომლის ხალხის ერთი ნაწილი გადმოსახლებიან უკან თავის სამშობლოში, ისტორიულ კოლხეთში, კერძოდ კი, „პონტოს (შავი ზღვის) აღმოსავლეთ მხარეს“ ანუ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც, ცხადია, იქამდეც ცხოვრობდა მკვიდრი ქართველობა, მაგრამახლა უკვე პოლიტიკური ცენტრების უკან, ჩრდილოეთში გადმოტანის შემდგომ გაძლიერებულა და კავკასიაში შეუქმნია პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო. ამ სამეფოს დამფუძნებელი „ქართლის ცხოვრების“ თანახმად იყო მეფე ფარნავაზი, მოსახლეობა ერთი ეთნოსი იყო, ერთი სახელმწიფოსა და ენის მქონე. ამ ქვეყნის მკვიდრი ეგრისელები (მეგრელები), გურულები, სვანები, მარგველები (შემდეგდროინდელი იმერლები), ჰერ-კახნი, ქართლელები და სხვები – ერთი ხალხი იყო. ძველი სომეხი ისტორიკოსი უხტანესი მათ შესახებ წერს: პონტოს ზღვის პირას დაბინავებულები (ძველი „ივერიიდან“ ჩრდილოეთში გადმოსახლებულები) გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ იქართველნი ეწოდათ... გამრავლდა ზღვის პირას, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე, და შეიქმნა ფრიად დიდი ხალხი“ (უხტანესი, „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“, გვ. 67). ქრისტემშობამდე 400-300 წ. ადრე ეგრისის ერისთავ ქუჯის თანადგომით

შექმნილ ფარნავაზის სამეფოში შედიოდა 8 საერისთავო: ეგრისი, არგვეთი, კახეთი, ხუნანი, სამშვილდე, წუნდა, ოძრხე და კლარჯეთი. საქართველოს სახელმწიფო აერთიანებდა ქვეყნის ორივე გეორგაფიულ ნაწილს – აღმოსავლეთს და დასავლეთს, მას „ქართლის სამეფო“ ერქვა. ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (ქართლის ცხოვრება, I. გვ. 26).

უფლის ამაღლების შემდეგ სულიწმიდის მოფენისას მოციქულებს მიეცათ იმ ხალხთა ენების ცოდნა, რომელთა ქვეყნებშიც უნდა ექადაგათ მათ. წმ. ანდრია პირველწოდებულს მიეცა ქართული ენის ცოდნა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ის თავის წილხვედრ ივერიაში ანუსაქართველოში გამოგზავნა.

IX ს-ში საბერძნეთში ოლიმპოს (ულუმბოს) წმიდა მთის მონასტერში იღვწოდნენ ქართველი ბერები და უფალ ღმერთს ქართული ენით ადიდებდნენ, მაგრამ ბერძნებმა ქართველებს აუკრძალეს ქართული ენით ლოცვა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა მონასტრის ბერძენ წინამძღვარს და უბრძანა: „რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან“. ქართული ენა ღვთისმშობლისათვის სათნო ენა იყო (ილარიონ ქართველის ცხოვრება, ქრესტომათია 1949, გვ. 172).

ასევე X ს-ის ბოლოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა ყმაწვილ მომაკვდავ ექვთიმე ათონელს, მოხედა მის სწეულებას და უთხრა: „აღსდევ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი“. ამის შემდეგ ქართული სიტყვა მისგან „ვითარცა წყარო ამოდიოდა უწმინდეს ყოველთა ქართველთა“. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მეოხებით წმ. ანდრია პირველწოდებულის მიერ საქართველოში ღვთისმსახურებისათვის დანერგილი ქართული ენით ადიდებს უფალ ღმერთს მთელი ქართველი ერი ათასწლეულთა მანძილზე.



საქართველოს ეკლესიის ისტორიის I პერიოდი, I-XI სს. (წმ. მოციქულებიდან - რუის-ურბნისის კრებამდე)

I საუკუნე

საქართველოს ეკლესია არის მსოფლიო (საყოველთაო) ეკლესიის განუყოფელი ნაწილი, ამიტომაც მისი ისტორია მსოფლიო ეკლესიის ისტორიის ნაწილია. ეკლესია მთელ დედამიწაზე მცხოვრებ ქრისტიანთა ერთობაა, რომელიც განიხილება, როგორც სულიერი სხეული, რომლის თავიც ქრისტეა და ერთისუფლით სულდგმულობს: „ერთი სხეული და ერთი სული, ერთი უფალი, ერთი რწმენა, ერთი ნათლობა, ერთი ღმერთი და მამა ყოველთა“ (ეფეს. 4. 4-6), ამიტომაც ეკლესიის განყოფა და ნაწილებად დაშლა არ შეიძლება.

სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიების არსებობა, როგორცაა კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, საქართველოსა და სხვებისა, არ არღვევს ეკლესიის ერთობას, რადგანაც ისინი ერთი სხეულის - ქრისტეს საყოველთაო ეკლესიის წევრები არიან.

ეკლესიის ისტორიკოსთა განმარტებით ქრისტიანული ეკლესიის ისტორია საღმრთისმეტყველო მეცნიერებათა ჯგუფში შედის, თუმცა, მეორე მხრივ, იგი საერო მეცნიერებაცაა, რადგანაც კაცობრიობის ისტორიის შესწავლას ემსახურება. საქართველოს ეკლესიის ისტორიაც ასევე ქართველი ერის ისტორიის შემადგენელი ნაწილია. საქართველოს ეკლესია წარსულში მუდამ წარმმართველი ძალა იყო ქართველი ერის სულიერი ცხოვრებისა. წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) თქმით: „საქართველოს ეკლესია ყოველთვის თავდადებით პატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 180).

ქართულ ეკლესიას სამართლიანად უწოდებენ „საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას“; მაგრამ, ამასთანავე, მას უძველესი დროიდან „საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც“ ეწოდებოდა, ვინაიდან იგი ქრისტეს მოციქულებმა დააფუძნეს.

ძველ საქართველოში წმიდა ანდრიასა და სხვა მოციქულების ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობა და ქადაგება უეჭველ ჭეშმარიტებად იყო აღიარებული.

ახალ დროში, განსაკუთრებით, XX ს-ის დასაწყისში, წმიდა ანდრიას საქართველოში ქადაგება ლეგენდად გამოცხადდა. უარყოფილებს ერთ-ერთ არგუმენტად ისიც მიაჩნდათ, რომ მათი აზრით, იბერია უმნიშვნელო ქვეყანა იყო და მას მოციქულთა ყურადღების მიბწრობა არ შეეძლო. სინამდვილეში I ს-ის 30-

იანი წლებიდან II ს-ის 60-იანი წლების ჩათვლით, ე. ი. მოციქულთა ეპოქაში იბერია ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელიც ფაქტობრივად მთელ ამიერკავკასიას მოიცავდა. რომაელი ისტორიკოსები – ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვები სიამოვნებით უთმობდნენ თავიანთ თხზულებებში ადგილს იბერიის სისხლსავსე ცხოვრების აღწერას. შუა საუკუნეების ევროპელები ანტიკური დროის იბერიას უფრო უკეთ იცნობდნენ, ვიდრე თავიანთი დროის საქართველოს. ძველ ისტორიკოსთა ცნობებს იბერიის შესახებ ადასტურებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის არქეოლოგიური შესწავლა.

ამაღლების შემდეგ მოციქულებმა წილი ყარეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა. „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ საქართველო წილად ხვდა ღმრთისმშობელს, მაგრამ მისი ძის, ჩვენი უფლის ნებით, ღმრთისმშობელმა თავის ნაცვლად საქართველოში წმ. მოციქული ანდრია პირველწოდებული მოავლინა, რომელსაც თავისი ხელთუქმნელი ხატი გამოატანა. წმიდა ანდრია მოციქულმა არა მარტო გააქრისტიანა ქართველები, არამედ პირველი საეპისკოპოსოც დააარსა ქალაქ აწყურში, დაუნიშნა ეპისკოპოსი და დატოვა რამდენიმე მღვდელი და დიაკონი, ფაქტიურად ეს იყო შექმნა ქართული ეკლესიისა თავისი იერარქიით.

ანდრია მოციქულმა შემდეგიმოდგეობის დროს საქართველოში სხვა მოციქულებიც ჩამოიყვანა. კერძოდ, მესამე მოგზაურობისას მას სვიმონ კანანელი და მატათა ჩამოუყვანია. ამის შესახებ ცნობას ეპიფანე კონსტანტინეპოლელი (VIII ს.) იძლევა.

ევრემ მცირე ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ ჩვენს ქვეყანაში იქადაგა მოციქულმა ბართლომემ. ამ აზრს იცავს არქანჯელო ლამბერტიც, ხოლო XVI ს-ის ერთი სლავური წყარო ქართულ ეკლესიას თომას მოციქულის მიერ დაარსებულად მიიჩნევს.

სხვა ისტორიული ცნობის მიხედვით მოციქულ თადეოზსაც უქადაგია საქართველოში.

არა მარტო 12 მოციქულთაგან, არამედ 70 მოციქულთაგანაც ყოფილან საქართველოში და უქადაგიათ აქ. მაგალითად, ქართლის ქრონიკების თანახმად, ასეთი ყოფილა ზრისო, რომელსაც ალბანეთში (იმ დროს იბერიის ნაწილი იყო) მოუწათლავს 19 კაცი.

ამრიგად, 12 მოციქულთაგან ექვსს უქადაგია საქართველოში, კერძოდ: ანდრია პირველწოდებულს, სვიმონ კანანელს, მატათას, ბართლომეს, თომას და თადეოზს. ამათგან ორის საფლავი ახლაც საქართველოშია: სვიმონ კანანელისა – ახალ ათონში და მატათასი – ბათუმთან ახლოს, გონიოს ციხე-სიმაგრეში.

ხოლო სამოცდაათთაგან საქართველოში უქადაგია ზრისოს.

მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესია, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის, ავტოკეფალური იყო. ამიტომაც საქართველოს ეკლესიაც დაარსებისთანავე თავისთავადია.

II საუკუნე

ქრისტიანობა I-II სს-ში არ იქცა იბერიის სახელმწიფო სარწმუნოებად, ისევე, როგორც რომის იმპერიაში, მაგრამ ამ პერიოდში იგი თანდათან გაძლიერდა და განივრცო.

VIII ს-ის წყარო – „აბო ტფილელის წამება“ – წერს, რომ ქართველები ქრისტიანები ყოფილან II-III სს-დან. ამას არქეოლოგიური მასალაც ამტკიცებს. მაგალითად, არქეოლოგების მიერ მიკვლეულია ჩვენში ჯერ კიდევ წმიდა ნინომდე ქრისტიანული მოსახლეობის არსებობის დამადასტურებელი კვალი: ქრისტიანული სამარხნი მცხეთის სხვადასხვა კუთხეში და II-III სს-თა ქრისტიანული ეკლესია ნასტაკისში (ეს უძველესი ქალაქი ქსნის ციხის ძირში ყოფილა გაშენებული). II-III სს-თა ეკლესიის და აგრეთვე იმდროინდელი ქრისტიანული დაკრძალვის წესის არსებობა ადასტურებს იმ აზრს, რომ რომ საქართველოში ქრისტიანული საეკლესიო ორგანიზაცია უწყვეტად არსებობდა I-II სს-დან (მოციქულთა დროიდან) წმიდა ნინოს ქადაგებამდე (IV ს-მდე). უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდის ქართული ქრისტიანული თემები საქართველოში საკმაო გავლენითაც სარგებლობდნენ. ასეთი ვარაუდის საფუძველს მეფე რეგ მარათალის რეფორმაც გვაძლევს.

საქართველო II-III სს-შიც სამისიონერო ასპარეზი ყოფილა (ბერძენ და ლათინ ისტორიკოსთა ცნობებით) და მსოფლიო ქრისტიანული ცენტრები ყურადღებას არ აკლებდნენ მას. ერთი ცნობა ასეთია: „იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხიდად იწოდება, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს დროს მქადაგებელი წმიდა კლიმენტის შემწეობით მიიღო. წმიდა კლიმენტი იმ მხარეში იყო გადასახლებული“ (ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, გვ. 171).

ირინეოსს კი მიაჩნდა, რომ ქართველებმა (იბერებმა), რომლებიც იწოდებიან კოლხებად (გეოგრაფიული ადგილის მიხედვით), ქრისტიანობა ჯერ კიდევ რომის იმპერატორ ტრაიანემდე (98-117) მიიღეს. იმავე ცნობით, იმ ქართველებმა, რომლებიც კასპიის ზღვისაკენ კავკასიის მთებთან ცხოვრობენ (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა), ქრისტიანული სარწმუნოება უფრო გვიან მიიღეს. ეს ცნობა სავსებით ეთანხმება „ქართლის ცხოვრებას“, რომლის მონაცემებითაც ქართველთაგან ქრისტიანობა პირველებმა მიიღეს მეგრელებმა (კოლხებმა) და კლარჯებმა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ).

წმიდა იუსტინე 150 წლის მახლობლად ამტკიცებდა, რომ არ არსებობს დედამიწაზე ისეთი კუთხე, თვით ბარბაროს ხალხთა შორისაც კი, სადაც ხალხი ჯვარცმული იესოს სახელს არ ღოცულობდესო. ასეთივე აზრს გამოთქვამს ირინეოსიც (ი. ტაბაღუა, საქ. ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, გვ. 171-172).

მით უფრო, სამისიონერო მოძრაობა გვერდს ვერ აუქცევდა იბერიას, რომელიც I ს. 30-იანი წლებიდან II ს. 60-იანი წლების ჩათვლით ძლიერი სახელმწიფო იყო. I-II სს-ში სამისიონერო მოძრაობა – რომი, იბერია და პართია ერთმანეთს ეცილებოდნენ ვრცელ მიწებს ამიერკავკასიის სამხრეთით. იბერია იმდენად იყო გაძლიერებული, რომ მას შეეძლო რომაელთა დახმარების გარეშე დაემარცხებინა პართიის სახელმწიფო. იბერიამ რამდენჯერმე დაამარცხა კიდევ პართიის ჯარი. ამის გამო რომს უშინოდა იბერიის მეტისმეტი გაძლიერებისა. II ს. 30-50-იან წლებში ქართლში მეფობდა ფარსმან II, რომელსაც ფარსმან ქველი ეწოდა. „ფარსმან II-ის დროს ქართლი, ჩანს, უკვე ყოველგვარი შენიღბვის გარეშე ებრძვის რომს და ცდილობს მის განდევნას კოლხეთიდან და სხვა მეზობელი ადგილებიდან. ამასთანავე, იგი ამ საქმეში როდი ეძიებს პართიის მხარდაჭერას. ქართლის მმართველები... ეტყობა, თამამად უპირისპირდებიან რომსა და პართიას ერთდროულად“ (გ. მელიქიძე, საქ. ახ. წ. I-III სს-ში, საქ. ისტ. ნარკვ. ტ. I. 1970. გვ. 510).

ფარსმანი ისე გაძლიერდა, რომ „თავი დამოუკიდებლად ეჭირა“. იმპერატორი ადრიანე ყოველმხრივ ცდილობდა გაეუმჯობესებინა ურთიერთობა ქართველთა მეფესთან, მაგრამ ფარსმანი არ მიდიოდა დათმობაზე. ფარსმანმა ქედმაღლურად თქვა უარი იმპერატორის მიწვევაზე და რომში არ ჩავიდა. იმპერატორის ბიოგრაფი ელიუს სპარტიანე წერს, რომ ადრიანემ ქართველთა მეფეს ყველაზე მეტი, ურიცხვი ძვირფასი საჩუქარი გაუგზავნა.

მომდევნო იმპერატორის – ანტონ პიუსის (133-161) დროს ფარსმან II საქართველოდან მეუღლითა და დიდი ამალით გაემგზავრა რომში, სადაც მას საზეიმო შეხვედრა მოუწევს. დიონ კასიუსის თანახმად, იმპერატორს „გაუფართოებია მისი სამფლობელო“. ჩანს, რომმა არა მარტო სცნო იბერიის უკვე არსებული საზღვრები, არამედ დაუმატა კიდევ სხვა მიწები შავი ზღვისპირეთსა და სომხეთში. საპატიო ქართველ სტუმარს ნება დართეს მსხვერპლი შეეწირა კაპიტოლიუმში. იმპერატორი დასწრებია ფარსმანის, მისი ძისა და სხვა ქართველი დიდებულების სამხედრო ვარჯიშს.

რომში დაიდგა ფარსმანის ცხენოსანი ქანდაკება. ფარსმანის ჩასვლა რომში მიღებულ იქნა როგორც იმპერატორისადმი პატივისცემა, თანახმად ანტონიუს პიუსის ბიოგრაფის – იულიუს კაპიტოლინისა.

ფარსმანის ვიზიტს ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია რომში, რომ იგი ისაქვია ქოქრონიკას პირველ გვერდზე აღუბეჭდავს, რასაც მოწმობს წარწერა მარმარილოს ფირფიტაზე, რომელიც რომის ძველ ნავსადგურში აღმოჩნდა.

როგორც ზემოთყვანილიდან ჩანს, საქართველო მოციქულთა ეპოქაში, I-II სს-ში, მტკიცე და ძლიერი ქვეყანა იყო, გაფართოებული საზღვრებით, სიმდიდრით, სახელგანთქმული, ეკონომიკური ცხოვრებით დაწინაურებული, მაღალგანვითარებული საზოგადოებრივი ურთიერთობით. ამიტომაც მწელი წარმოსადგენია, მას მოციქულთა და მისიონერთა ყურადღება არ მიეპყრო.

III საუკუნე

საქართველოს ეკლესია დაარსებულია თვით მოციქულთა მიერ. სახარების მქადაგებელთა სამისიონერო მოღვაწეობა იბერიაში II-III სს-შიც გაგრძელებულა. ქრისტიანული თემების გამოჩენას აქ ივანე ჯავახიშვილი სწორედ III ს-ის პირველი ნახევრით ათარილებს. ტერიტორიულ განვრცობასთან ერთად იზრდება ქრისტიანული თემების გავლენაც. მეფე რეე მართალის რეფორმა ვკადლევს საფუძველს დავას კვნათ, რომ ამ დროს ქრისტეს მოძღვრების გავლენას უკვე სამეფო კარამდეც მოუღწევია. ჯერ კიდევ III ს-ში ქრისტიანობის აღიარების შესახებ განკარგულება გამოსცა იმპერატორმა გალიენმა 261 წელს. მსგავსადვე მოიქცა გალიენამდე თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე იბერიის მეფე რეე მართალი (გარდ. 213 წ). ამ მეფეს ჰქონია ქრისტეს სიყვარული და მოსმენილი ჰქონია სახარება. ამიტომ ის ყოფილა მოწყალე და შემწე ყოველთა, თუმცა წარმართადვე დარჩენილა. რომში წარმართული დვთაებისათვის სისხლიანი მსხვერპლის შეწირვა მხოლოდ III ს-ის იმპერატორებმა აკრძალეს. საქართველოში უფრო ადრე გახდა შესაძლებელი მისი ოფიციალურად აკრძალვა სახელმწიფოს მასშტაბებით. „ძველი საისტორიო წყარო ამ კეთილშობილურ საქციელს რეე მართალს მიაწერს“ (გ. გოზალიშვილი, ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური, გვ. 38).

II-III სს-ში საქართველოში ქრისტიანული თემების არსებობას არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს. ა. ბონოჩაძე ნასტაკისის ველზე ქრისტიანული ეკლესიის არსებობის შესახებ წერს: „ნასტაკისის ველზე უფრო ძლიერი დასახლება ყოფილა ადრეულ შუა საუკუნეებში, რასაც ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრილ ნაგებობათა ნაშთები მოწმობს. საცხოვრებელი ნაგებობანი მრავალი ოთახისა და ერთი დიდი დარბაზისაგან შედგებოდა. ამგვარ ნაგებობებში ერთი ოთახი მცირე ეკლესიას წარმოადგენდა – მკვეთრად გამოყვანილი აბსიდითა და ნართექსით. ამ პერიოდში ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ არის გამოცხადებული ოფიციალურ სახელმწიფო სარწმუნოებად, არალეგალურ მდგომარეობაშია და თავშეფარებული ჩანს საცხოვრებელ ნაგებობებში. ამ ფაქტს კი დიდი მნიშვნელობა აქვს ქართლის სამეფოში ქრისტიანული რელიგიის ისტორიის შესასწავლად“.

საინტერესოა, როგორი პრინციპით იყო მოწყობილი ეს ეკლესია? ცხადია, ქრისტიანებს, რომლებიც II-III სს-ში საქართველოში ცხოვრობდნენ, სამღვდელთა დასჯირდებოდა, რადგან ნათლობის, ზიარების და სხვა ქრისტიანული წესების აღსრულება სამღვდელთების გარეშე შეუძლებელია. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქალაქში თუ ქალაქის უბნებში არსებული ქრისტიანული თემები ერთმანეთს არ ექვემდებარებოდნენ. ერთიანი, მთელი ქვეყნის მომცველი ქრისტიანული ეკლესია, ერთი ცენტრითა და ერთიანი

მმართველობით არ არსებობდა. თუმცა, იყვნენ ეპისკოპოსებიც, აქვე აღვნიშნავთ, რომ მოციქულთა ეპოქაში და მის შემდგომაც მღვდელმოქმედებას ეპისკოპოსი ასრულებდა და მღვდელს ეპისკოპოსს უწოდებდნენ.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენში ქრისტიანული ეკლესია და მრევლი (ქრისტიანული თემები) უწყვეტად არსებობდა I ს-დან IV ს-მდე. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ის ნოყიერი ნიადაგი, რამაც განაპირობა საქართველოში წმიდა ნინოს მისიის წარმატებით დაგვირგვინება.

IV საუკუნე

IV ს-ში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება იყო არა მოულოდნელი, შემოტანილი, ანდა თავსმოხვეული აქტი, არამედ ეფუძნებოდა ქრისტიანობის ადგილობრივ სამსაუკუნოვან ტრადიციას.

წმ. ნინოს გაუჭირდებოდა მთელი ქართველი ხალხის გაქრისტიანება, წმ. მოციქულებს შემზადებული რომ არ ჰყოლოდათ ერი ქრისტიანობის საჯარო აღიარებისათვის. ამ თვალსაზრისმა წმ. ნინოს ცხოვრებაშიც ჰპოვა ასახვა, სადაც უფალი წმ. ნინოს უცხადებს, რომ საქართველოში „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირე“, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მოციქულთა მიერ დათესილი სახარების მარცვალს საუკუნეთა მანძილზე ხალხი საერთო სახალხო მონათვისისათვის შეუმზადებია.

უძველესი ქართული წყარო, რომელიც ქართლის მოქცევის შესახებ მოგვითხრობს, არის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. იგიორი ნაწილისაგან შედგება. I ნაწილში მოცემულია ისტორიული ქრონიკა, ხოლო II ნაწილი წმ. ნინოს ცხოვრების საეკლესიო საკითხავს წარმოადგენს. „მოქცევის“ I ნაწილი – ისტორიული ქრონიკები სხვადასხვა დროსაა დაწერილი. წმ. ნინოს ცხოვრება კი, წინა ნაწილისგან დამოუკიდებლად, IV ს-ში უნდა იყოს დაწერილი. ამ რედაქციიდან ჩანს, რომ ნინოს ნაამბობი დაბა ბოდში (ბოდბეში) ჩაუწერიათ სალომე უჯარმელსა და პეროჟავრა სივნიელს. თუმცა სამი დიდი ისტორიკოსი – ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე ამ თხზულებას IX ს-ით ათარიღებს, ჩვენ არავითარი საბაბი არა გვაქვს არ დაუჯეროთ წყაროს და ამიტომ იგი, როგორც ჭეშმარიტი, ისე უნდა მივიღოთ. ამას ერთისაინტერესო ფაქტი ადასტურებს:

IV ს-ის მეორე ნახევარში ბიზანტიაში იმყოფებოდა სალომესა და რევის (მირიან მეფის ძის) შვილიშვილი, ჯერ კიდევ უფლისწული ბაკური, თრდატის ძე. მან ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსებს – გელასი კესარიელსა და რუფინუსს უამბო ქართველთა გაქრისტიანების ისტორია. ეს მონათხრობი „წმიდა ნინოს ცხოვრების“ თავისებური შემოკლებული ვარიანტია.

გელასი კესარიელს „საეკლესიო ისტორიაში“ აღუწერია ქართლის

მოქცევის ამბავი. სამწუხაროდ, ეს თხზულება დღესდღეობით დაკარგულად ითვლება. მაგრამ ცნობები მასზე მერმინდელ ავტორებს შემოუნახავთ თავიანთ ნაშრომებში. მათ შორის უძველესია რომაელი საეკლესიო ისტორიკოსი – რუფინუსი (გარდ. 410 წ.), მას უთარგმნია და თავის თხზულებაში შეუტანია გელასი კესარიელის ცნობა ქართველთა გაქრისტიანების შესახებ. რუფინუსზე დაყრდნობით ეს ისტორია მოთხრობილი აქვს V ს-ის ბერძენ ისტორიკოსს – სოკრატესაც (დაბ. 380 წ.) თავის „საეკლესიო ისტორიაში“. ამავე სათაურის ნაწარმოებში მოგვითხრობს იბერთა გაქრისტიანების ამბავს V ს-ის მეორე ბერძენი ისტორიკოსი თეოდორიტი კვირელი (დაბ. 390 წ.). ქართლის მოქცევის ამბავი გადმოცემულია აქვს აგრეთვე კიდევ ერთ ბერძენ საეკლესიო ისტორიკოსს – სოზომენს. მას უშუალოდ რუფინუსით უსარგებლია. V ს-ის ბერძენი ისტორიკოსი გელასი კვიზიკელიც გელასი კესარიელის „ისტორიით“ სარგებლობდა.

გელასი კესარიელის ისტორია, რომლითაც სარგებლობდნენ შემდეგში ბერძენ-რომაელი ისტორიკოსები, IV ს-ის ბოლოს, ქართლის გაქრისტიანებიდან სულ რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ დაიწერა. უაღრესად საყურადღებოა გელასი კესარიელის ცნობა იმის თაობაზე, რომ მან ქართველთა გაქრისტიანების ამბავი იბერთა სამეფო სახლის ერთ-ერთი წარმომადგენლის – ბაკურისაგან გაუგია.

მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ უძველესი ქართული წყარო, რომელიც ქართველთა გაქრისტიანების შესახებ მოგვითხრობს, IV ს-შია დაწერილი სალომე უჯარმელის მიერ. სავარაუდოა, სწორედ ეს ჩანაწერი გამოიყენა ბაკურმა ბერძენ ისტორიკოსებთან საუბრისას.

რომელ წელს შემოვიდა წმ. ნინო საქართველოში და გააქრისტიანა თუ არა მან მთელი ქართველი ხალხი? ეს საინტერესო საკითხი ძალზე დამაჯერებლად გაარკვია ისტორიკოსმა ვახტანგ გვილაძემ. მისი მსჯელობის თანახმად, წმ. ნინო საქართველოში 303 წელს შემოვიდა. 317-318 წლებში ქართლის სამეფო კარმა ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარა, ხოლო 324 წელს ხალხი მასიურად მონათლა.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ვახუშტი ბაგრატიონი ქართლის მოქცევას 317 წლით ათარიღებდა. ამავე თვალსაზრისს იზიარებდნენ დ. ბაქრაძე და ივ. გვარამაძე. ქართლის მოქცევის თარიღად 318 წელი მიაჩნდათ პ. იოსელიანს, გ. საბინინს და რ. ცამციცესაც.

ქართული ეკლესიის მეთაურის – ეპისკოპოს იოანეს ხელდასხმის თარიღად ვ. გვილაძეს 324 წ. მიაჩნია. იგი ფიქრობს, რომ ქართული ეკლესია არა ანტიოქიური, არამედ კაპადოკიური (პონტოს დიოცეზი) წარმოშობისა უნდა იყოს.

ეს მსჯელობა ძალზე დამაჯერებელია. ამიტომაც უნდა აღდგეს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ გამორკვეული თარიღი და ქართლის მოქცევა 317-318 წლებით დათარიღდეს, ხოლო ქართული ეკლესიის ორგანიზაცია და ხალხის ნათვლა – 324-26 წლებით.

V საუკუნე

V ს-ის დასაწყისში საქართველო უკვე სპარსელთა მიერ უკვე დახარკული ქვეყანა იყო. სპარსელებმა, მართალია, ვერ შეძლეს ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება, მაგრამ ქართველების ასიმილაციას დაუფარავად ცდილობდნენ. უპირველესად, მათ სურდათ, რომ ქართველებს სპარსული სარწმუნოება – ცეცხლთაყვანისმცემლობა მიეღოთ. ისინი ებრძოდნენ და კრძალავდნენ ქართულ ეროვნულ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს. ქრისტიანობა იმ დროს უკვე ქართულ ეროვნულ სარწმუნოებად იყო ქცეული და ამიტომაც ქართველებს ქრისტიანული წეს-ჩვეულებები ჰქონდათ. სპარსელებს იმედი ჰქონდათ, რომ მისი მოშლით ქართველებს ეროვნულ სახეს დაუკარგავდნენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ქართველთა მტრობაში სპარსელებს არც ბიზანტიელები უდებდნენ ტოლს. მათ IV ს-ის ბოლოს საქართველოს სამხრეთის ტერიტორიებს დიდი ნაწილი წაართვეს და უშუალოდ შეიერთეს, ხოლო V ს-ის პირველ ნახევარში დას. საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილიც მიიტაცეს მდინარე ეგრისწყლიდან ვიდრე ციხე-გოჯამდე.

მიუხედავად ამისა, რადგანაც საქართველოს დიდი და უმთავრესი ნაწილი სპარსთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მთავარი საფრთხე სწორედ სპარსელებისაგან მოდიოდა. რწმენით ვახტანგ გორგასალი ბერძნული, ე.ი. მართლმადიდებლური ორიენტაციისა იყო და სიკვდილის წინ ანდერძიც დაგვიტოვა, რომ ქართველებს „ბერძენთა სიყვარული“, ე.ი. მართლმადიდებლობა არ მიეტოვებინათ, თუმცა ბიზანტიელებს შეებრძოლა კიდეც და საქართველოს მათგან მიტაცებული ტერიტორიები დაუბრუნა.

აღსანიშნავია, რომ V ს-ში არსებობდა ორი განსხვავებული მიმართულება ქრისტიანობაში. ერთ მიმართულებას ბიზანტია მფარველობდა, ხოლო მეორეს – სპარსეთი.

სპარსეთის სამეფო კარმა, როცა იგი მიხვდა, რომ მაზდეანობის გავრცელება არცთუ ადვილი იყო და ქრისტიანი ხალხები თავიანთ სარწმუნოებას არ დათმობდნენ, სარწმუნოებრივი პოლიტიკა შეცვალა. სპარსეთს ეჩრვივნა, რომ ისინი ირანოფილურად განწყობილი ქრისტიანული ეკლესიების გავლენისა და კონტროლის სფეროში მოქცეულიყვნენ. ასეთი იყო ანტიბიზანტიურად განწყობილი სირიული და სპარსული ეკლესიები.

ცხადია, ასეთი მდგომარეობა თავის ზემოქმედებას სპარსეთის გავლენის სფეროში მყოფ საქართველოს საზოგადოებაზეც მოახდენდა. საქართველოში V ს-ში უთუოდ არსებობდნენ როგორც ბერძნული (ელინოფილური), ასევე სპარსოფილური ქრისტიანული საეკლესიო დაჯგუფებანი. სწორედ ამიტომ საქართველოს მეფე საგანგებო და დამაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქართველი მეფეები, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ან ერთდროულად ორივე დამპყრობელს – სპარსეთსა და საბერძნეთს ებრძოდნენ, ანდა ბრძნულად

იყენებდნენ წინააღმდეგობას ამ სახელმწიფოთა შორის და ხან ბერძნებს ებრძოდნენ სპარსული ძალით, ხან კი სპარსელებს – ბერძენთა ძალით.

ცნობილია, რომის იმპერატორ კონსტანტინემდე ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია არ ყოფილა. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, ქრისტიანული თემები თავის უფლებით სარგებლობდნენ იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფო არ კარნახობდა ქრისტიანულ ეკლესიას, თუ რა სახის უნდა ყოფილიყო მისი ადმინისტრაციული სტრუქტურა. ამის გამო IV ს-მდე ქრისტიანული თემი მოციქულთა 34-ე კანონის თანახმად ამ თემის მთავარეპისკოპოსს უნდა დაქვემდებარებოდა. თემების მთავარეპისკოპოსები კი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი იყვნენ.

მთავარეპისკოპოსს ირჩევდა თემის („ნათესავის“) სამღვდლოების კრება. ამიტომაც ყოველი საეკლესიო თემი და საეპისკოპოსო თავის უფალი და „ავტოკეფალური“ იყო.

სრულებით შეიცვალა მდგომარეობა სახელმწიფოს მიერ ქრისტიანობის აღიარების, ანუ რელიგიის გასახელმწიფოებრიობის შემდეგ. ამ დროისათვის (IV ს-ის დასაწყისში), როგორც ცნობილია, რომის იმპერიაში დაწესდა „ტეტრარხია“ – „ოთხის მმართველობა“. ადმინისტრაციული მმართველობის თვალსაზრისით იმპერია ცალკეულ ნაწილებად დაიყო. მას მართავდა ორი იმპერატორი და ორი კეისარი. იმპერიის უდიდეს ქალაქებში: რომში, ანტიოქიაში, ალექსანდრიაში და ა.შ. მხარეთა და პროვინციათა მმართველები იხდნენ. ამ მდგომარეობამ დიდ ქალაქებში მსხდომი ეპისკოპოსების გაძლიერება, გამდიდრება, მათი ავტორიტეტისა და გავლენის გაზრდა გამოიწვია, დიდი ქალაქების ეპისკოპოსები ქალაქის საერთო საერო მმართველთან თანხმობით მოქმედებდნენ. საერო მმართველი დაინტერესებული იყო მის ქალაქში მჯდომი ეპისკოპოსის ავტორიტეტისა და გავლენის გაზრდით. ამის გამო უკვე IV ს-ის დასაწყისიდანვე მიმდინარეობს პროცესი, რომელსაც შეიძლება დავარქვათ მცირე, თვითმყოფად ეკლესიათა გაუქმებისა და დიდი ეკლესიების გავლენის სფეროების გაზრდის პროცესი. უკვე IV ს-ში მოწვეული მსოფლიო კრებები, მართალია, ადასტურებენ პატარა ეკლესიების ავტოკეფალიას, მაგრამ ასევე ადასტურებენ მთავარი ქალაქების ეპისკოპოსების გავლენის სფეროების გაფართოებას. ეს პროცესი მთელი IV ს-ის განმავლობაში გრძელდებოდა და საბოლოოდ 451 წელს დასრულდა.

საერთოდ, V საუკუნე იყო თავისთავადი საეპისკოპოსოების დიდ საპატრიარქოებსა და საკათალიკოსოებში გაერთიანების საუკუნე. 451 წლის კრებამ დააარსა ახალი საპატრიარქო იერუსალიმისა, რომელშიც პალესტინის თავისთავადი საეპისკოპოსოები შევიდნენ.

საქართველოს საკათალიკოსოს ჩამოყალიბებაც ამავე დროს, V ს-ში, მოხდა მსგავსი გზით.

ცნობილია, რომ იქ, სადაც ქრისტიანობამ ფეხი მოიკიდა, თითოეულ

ქალაქს ეპისკოპოსი განაგებდა.

საქართველოს სამეფოში საერისთავო ან საპატივსი დაახლოებით ისეთივე ადმინისტრაციული ერთეული იყო, როგორც რომის იმპერიაში – პროვინცია (ძვ. ქართული „სამთავრო“). ქართული ეკლესიის მეთაურს კათალიკოსობის დაწესებამდე ჰქონდა ტიტული „მთავარეპისკოპოსისა“ და ჩანს, რომ ეპისკოპოსთა თავად ითვლებოდა იმ ტერიტორიაზე, რომელიც ქართველი მეფის განმგებლობის ქვეშ შედიოდა.

იმის შემდეგ, რაც ვახტანგმა საქართველო გააერთიანა, შემოუერთა მას უზარმაზარი ტერიტორიები – კლარჯეთისა და ზღვისპირეთისა, მანსა ეკლესიო საქმეთა მოგვარებაც გადაწყვიტა. ამ საქმეში მისთვის მაგალითი იყო როგორც ბიზანტიის, ასევე აღმოსავლეთის ეკლესიები.

ბიზანტიაში ეკლესია იმართებოდა სახელმწიფოს კონტროლით. ასევე იყო სპარსეთის სახელმწიფოშიც. სპარსეთში არსებული სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიის მეთაურებს თვით შაჰი ნიშნავდა (მაგ. სომხეთისას V ს-ში).

თვით საეკლესიო კანონმდებელი ორგანო – მსოფლიო კრებაც კი, ბიზანტიის იმპერიაში იმპერატორების აქტიური ჩარევით იმართებოდა.

საქართველოში კი ეკლესია არა თუ ექვემდებარებოდა ქართველ ხელმწიფებს, არამედ ქართული ეკლესიის მეთაურმა მიქაელმა სამთხვევად მისულ მეფეს ფეხით კბილი ჩაუშტვრია.

საეკლესიო კანონებზე დაყრდნობით და შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობის გამოყენებით ვახტანგმა უმტკივნეულოდ მოიშორა მიქაელი ისე, რომ არ გაუღიზიანებია ქრისტიანული მოსახლეობა, განსასჯელად გაეზავნა კონსტანტინეპოლში. ანტიოქიის პატრიარქმა 12 ეპისკოპოსი გამოავაზნა ქართლში. ჩანს, ვახტანგმა შეცვალა პროსპარსული ორიენტაციის ეპისკოპოსები და მათ ადგილზე ბერძნული ორიენტაციისანი დასვა. ასევე, მან შეცვალა ის ეპისკოპოსები, რომელნიც თავიანთი სიმდიდრისა და გავლენის გამო მეფის ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ.

ვახტანგ გორგასლის მიერ საქართველოს საკათალიკოსოს დაარსებასთან დაკავშირებით უნდა დავასკვნათ: V ს-ში ქართული ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიები გაიზარდა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ვახტანგ გორგასლის დროს ბიზანტიამსა საქართველოს მიტაცებული კლარჯეთი (სამხრეთი საქართველო) და ზღვისპირეთი (ციხე-გოჯიდან კლისურამდე) დაუბრუნა.

ვახტანგ გორგასალმა ინება, რომ ქართული ეკლესია მოწყობილიყო როგორც ერთიანი, ცენტრალიზებული სამამთავრო ეკლესია, ე.ი. დედაქალაქის (მცხეთის) ეპისკოპოსი საქართველოს ეკლესიისათვის საყოველთაო ეპისკოპოსი ანუ კათალიკოსი (ბერძნ. სიტყვიდან – „კათოლიკოს“ – საყოველთაო) გახდა. ამ ეპოქის თითქმის თანადროულ საისტორიო ქრონიკაში – „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ პირველ კათალიკოს პეტრეს მამამთავარი ეწოდება, „აქათგან იწყეს კათალიკოსთა მამამთავრობად. პირველი კათალიკოსი იყო პეტრე“.

VI საუკუნე

VI ს-ის დასაწყისში სპარსეთმა აღმ. საქართველო დაიპყრო, რის შედეგადაც ქართლში მეფობა გაუქმდა. აქვე უნდა ითქვას, რომ მეფობის გაუქმების საკითხი ქართულ და ბერძნულ წყაროებს სხვადასხვაგვარად აქვთ გადმოცემული. ერთი ქართული უძველესი წყარო მიიჩნევს, რომ VI ს-ის პირველ ნახევარში მეფობა არ გაუქმებულა. ასეთივე მდგომარეობაა ბერძნულ წყაროებშიც. კერძოდ, პროკოფი კესარიელის მიხედვით 552 წელს სპარსეთსა და ბიზანტიას შორის დადებული „საუკუნო ზავის“ შემდეგ ქართველებს საკუთარი მეფე აღარ ჰყავდათ. ბიზანტიელი მემკვიდრეები მალაღა და თეოფანე კიასხენებენ ქართველთა მეფეს (დამანარზოს), დედოფალსა და დიდებულებს, რომელნიც 553 წელს კონსტანტინეპოლში ჩასულან იუსტინიანე კეისართან მოლაპარაკებისათვის.

შესაძლებელია, დამპყრობლებმა (სპარსელებმა) ქვეყანას შეზღუდული ავტონომიის მაგვარი რაღაც სტატუსი მისცეს, რომლის სათავეშიც გორგასლიან-ფარნავაზიანთა ძველი დინასტია ყოფილა. ალბათ ქართველთა გარკვეული პოლიტიკური წრეები მეფობის გაუქმებას არ სცნობდნენ და დაპყრობილი ქვეყნის მეთაურს კვლავ მეფეს უწოდებდნენ. ყოველ შემთხვევაში, უდავოა, რომ ქვეყანა VI ს-ის 70-90-იან წლებამდე სპარსთა მიერ იყო დაპყრობილი და ქართული ეროვნული ინსტიტუტები, მათ შორის, ქართული ქალკედონური ეკლესია, დიდ ღვენას განიცდიდა.

აღმოსავლეთ საქართველოს სრული დაპყრობის შემდეგ სპარსელები ბერძენთა განდევნას ცდილობდნენ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან. სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ლაზიკისათვის ომი დასრულდა 563 წლის ზავით. ლაზიკა ბიზანტიელებს დარჩათ. ამ ზავით საქართველო ერთმანეთში ბიზანტიელებმა და სპარსელებმა გაიყვეს.

590-იან წლებში სპარსელებს იბერიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუკარგავთ. 591 წელს სპარსელებმა და ბიზანტიელებმა ერთმანეთს შორის გაიყვეს აღმოსავლეთ საქართველოც.

VI ს-ში სპარსელებისათვის მისაღები სარწმუნოება მონოფიზიტობა იყო (მისი ანტიბიზანტიურობის გამო), ამიტომ ისინი სომხურ ეკლესიას მფარველობდნენ. როცა სპარსეთი იძულებული გახდა უარი ეთქვა მაზდეანობის გავრცელებაზე ამიერკავკასიაში, სამაგიეროდ მონოფიზიტური სარწმუნოების მფარველად იქცა. მან საეკლესიო მწერლობას დაავალა, მონოფიზიტური იდეები და სპარსეთთან განუყრელი კავშირის აუცილებლობა ექადაგა. ამ მიზნით სპარსეთის მეფის ავერტებმა შეთხზეს ლეგენდები, თითქოს ქრისტიანობა სომხეთს, ქართლსა და ალბანეთში ერთი პირის მიერ იყო გავრცელებული. თითქოს ქართული, სომხური და ალბანური ანბანები ასევე ერთი პირის მიერ იყო გამოგონებული და რომ ეს „განმანათლებელი“ ამავე დროს სპარსეთთან იყვნენ დაკავშირებულნი.

სპარსეთის ასეთმა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ სპარსელთა მხრიდან ხანგრძლივი და სასტიკი ზეწოლის, ასევე, სომეხთა მაღალი საეკლესიო იერარქების ქონებითა და გავლენით ცთუნების შედეგად სომხებმა VI ს-ის შუაწლებში, ნერსე კათალიკოსის (548-567) დროს ყვეს კრება ქ. დვინში და მიიღეს მონოფიზიტობა (ხაჩეცარი).

ამის შემდეგ, სპარსეთის მიერ დაპყრობილ ამიერკავკასიის ქვეყნებში ეკლესიებზე ზედამხედველობა სომხეთის ეკლესიამ მოიპოვა. ამის ნება მას სპარსეთმა მისცა. სომხურ ეკლესიას, თავისი ანტიქალკედონური ანუ ანტიბიზანტიური მიმართულების გამო სპარსეთი V-VI სს-ში და არაბობა VII-IX სს-ში აძლიერებდნენ და კარგად ეპყრობოდნენ. თავის მხრივ, ბიზანტიის იმპერია ცდილობდა, თავის მხარეზე გადაეყვანა ძლიერი სომხური ეკლესია დათმობითა და ყოველგვარი ხელშეწყობით.

ამის გამო სომხურმა ეკლესიამ შეძლო თავისი გავლენის სფეროში მოექცია სომხეთის უშუალოდ მეზობლად მდებარე არასომხური პროვინციები, როგორც ალბანეთისა, ასევე საქართველოსი, რის შედეგადაც, მკვიდრი ქართული მოსახლეობა, მაგ. ჰერეთსა და გუგარქში, ანუ ქვემო ქართლში, საეკლესიო თვალსაზრისით „სომხურენოვანი“ ხდებოდა, რადგან იქ სომხურენოვანი ღმრთისმსახურება ინერგებოდა, ხოლო ქართულ ეკლესიებსა და წმიდა წიგნებში სომხური მინაწერები ჩნდებოდა. თუ როგორ გაბატონდა სომხური ეკლესია ქართულ მრევლზე VI ს-ის ქვემო ქართლში ანუ გუგარქში, კარგად აჩვენებს VIII ს. დასაწყისის ამბები.

აი, ერთი ტიპური მაგალითი: გუგარქში ჩვენი დიდი კათალიკოსი კირიონი შეეცადა ქვემო ქართლის (გუგარქის) ქართული მოსახლეობისათვის კვლავ დაებრუნებინა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა. ეს სრულიად მიუღებელი გახდა სომხური ეკლესიისათვის და კირიონის სასტიკად დასჯა გადაწყვიტა. სპარსთა მეფემ, ხოსრომ 614 წელს საეკლესიო კრება მოიწვია, რომელზეც სპარსეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანები დაავალდებულა „მიედოთ სომხური ქრისტიანობა“. ამის გამო კირიონი იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. მალე სპარსეთი ჰერაკლე კეისარმა დაამარცხა და მან სომხურ ეკლესიასთან... მეგობრული კავშირი - „უნია“ შეკრა, გუგარქი კი კვლავ „სომხურენოვანად“ დარჩა საეკლესიო თვალსაზრისით. სწორედ ასეთი გაძლიერებული მონოფიზიტური პროპაგანდის შედეგად ეწოდა ამ მხარეს „სომხითი“. უფრო ადრე კი მას „ქართველთა ველი“ ერქვა. VI ს-ის შუა წლებში საქართველოში ჩამოდიან ასურელი მამები, იწყებენ აქტიურ მოღვაწეობას და საქართველოშივე აღესრულებიან VI ს-ის ბოლოს და VII ს-ის დასაწყისში. თუ შევადარებთ ერთმანეთს იმ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდა ქართული ეკლესია ასურელი მამების ჩამოსვლისას, იმ მდგომარეობასთან, რომელშიც იმყოფებოდა მათი მოღვაწეობის დასასრულს, დავრწმუნდებით, რომ ისინი მონოფიზიტურ მიმდინარეობას ებრძოდნენ და გაიმარჯვეს კიდევ მასზე.

540-იან წლებში, როდესაც, ქართული მატრიარქების მიხედვით, ჩამოსულან ასურელი მამები, ჩვენში მონოფიზიტობას მტკიცე პოზიციები ჰქონდა. სწორედ ამ პერიოდს გულისხმობს გიორგი მცირე, რომელსაც თავის თხზულებაში გიორგი მთაწმინდელის სიტყვები მოჰყავს: „...და ვითარცა ღვარძლი რაიმე, დათესული იყუნეს ქვეყანასა ჩუენსა ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი“. IV-V სს-ში ბერძნული ენიდან მართლად თარგმნილი წმ. წიგნები მონოფიზიტთა გავლენით VI-VII სს-ში სომხურიდან ხელახლა უთარგმნიათ, ანდა რედაქტირება გაუკეთებიათ.

ასურელმა მამებმა 30 წელიწადში გაწეული ღვაწლის წყალობით შეძლეს არა მარტო ქალკედონიზმის სრული გამარჯვებისთვის მიეღწიათ, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ქალკედონიზმის გამარჯვებამ თეორიული საფუძველი შექმნა ქართული და სომხური ეკლესიების ურთიერთდაშორებისათვის, სომხური ეკლესია კი თავისი ენისა და კულტურის გავრცელებას ცდილობდა მთელს ირანულ ამიერკავკასიაში. ასე რომ, ასურელი მამების მოღვაწეობამ განამტკიცა ქართული კულტურის ეროვნული საფუძველი და ჩვენს ხალხს ეროვნულ-კულტურული გადაგვარების აშკარა საფრთხე ააშორა.

ასურელ მამათა ეროვნების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ისინი ქართველები იყვნენ. ეს საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ ფაქტია, რომ მათ წინა პლანზე ქართული ენა ჰქონდათ წამოწეული და განსაკუთრებულ ყურადღებას ქართულად საუბარს, წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე ჩატარებას აქცევდნენ, რადგან ეს ენა ქალკედონიზმის ენად იყო მიჩნეული იმის გამო, რომ ქალკედონიტობა ეროვნულ სარწმუნოებად უკვე VII ს-ის საქართველოში ქცეულა. „ქართლის ცხოვრებაში“ გვაქვს მომენტი, როცა მათ მისაგებებლად გამოსულ კათალიკოსს ასურელი მამები ქართულად პასუხობენ.

როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, ასურელ მამებს თავიანთი მოღვაწეობა მონასტრების საშუალებით განუხორციელებიათ – „არავითარი საბუთი იმისა, რომ ჩვენში ე.წ. ათცამეტ მამათა მოსვლამდე მონასტრები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ყოფილიყო, არ არსებობს.

პირველად მონასტრები ჩვენში დააარსეს აღნიშნულმა მამებმა.“ (კ. კეკელიძე, „ძველი ქართული ლიტურატურის ისტორია“ I. გვ. 88). თუმცა „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, უფრო ადრე ვახტანგ გორგასალს დაუარსებია მონასტერი კლარჯეთში, ამავე პერიოდში ქართველებს უკვე ჰქონდათ მონასტრები იერუსალიმსა და წმიდა მიწაზე, აქ, ოიანელაზის მონასტერში აღმოჩნდა პირველი ქართული წარწერები.

ამრიგად, ასურელი მამების ღვაწლია ის, რომ მათ ქართულ ეკლესიას თავიდან ააცილეს დიდი საფრთხე მონოფიზიტობისა, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, სომხურისარწმუნოების აღიარებისა.

VII საუკუნე

VI ს. უმძიმესი საუკუნე იყო ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოსათვის, მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეროვნული ინსტიტუტები არ ცნობდნენ სახელმწიფოს გაუქმებას VI ს-ში. ამ საუკუნის კატასტროფა დროებით მოვლენად მიაჩნდათ, რომელიც მალე გამოსწორდებოდა. ქართული ეკლესია თავის იურისდიქციას მთელ საქართველოზე ახორციელებდა. VII ს-მდე წირვა-ლოცვის ენა მთელ საქართველოში ქართული იყო. ქართული ეკლესიის ერთიანობას მოწმობს აგრეთვე საეკლესიო ნაგებობათა ერთიანი სტილიც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მთლიანობაზე მუდმივად და დაბეჯითებით წერდა „ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და VIII ს-მდელი სხვა წყაროები. ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობა მისი ხალხის ეთნიკურ ერთიანობას ემყარებოდა. აღნიშნული წყაროების თანახმად, მთელ საქართველოში, ეგრისწყლიდან ჰერეთის ჩათვლით, ერთიანი ქართველი ხალხი ცხოვრობდა. აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს IV-VII სს-ში ეწოდებოდა „ყოველი ქართლი“.

VI ს-ის ბოლო და VII ს-ის დასაწყისი იყო ეპოქა გორგასლის-დროინდელი ქართული სახელმწიფოს აღორძინებისა, ქართული საზოგადოებრივი ინსტიტუტების აღდგენა-აყვავებისა, მაგრამ ამ ახლად აღორძინებულ ქვეყანას ფეხზე დადგომის საშუალება არ მისცა ჰერაკლე კეისრის ლაშქრობამ.

630-იან წლებში ჰერაკლე კეისარმა მიიტაცა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ტერიტორიები და მიუერთა ბიზანტიას, რის შემდეგაც დასავლეთ ეგრისში აღიკვეთა ქართული ენა და მის ნაცვლად აქ დაწესდა ბერძნული ღმრთისმსახურება. დაარსდა ბერძნული საეპისკოპოსოები. ამრიგად, არაბების შემოსევის დროს ქართული სახელმწიფო უკვე განადგურებული იყო ჰერაკლე კეისრის მიერ, რამაც არაბებს გაუადვილა დაშლილი ქართლის დამორჩილება. ფაქტობრივად, არაბებს „ქართლი“, როგორც ერთიანი პოლიტიკური ერთეული არც დახვედრიათ.

ჰერაკლეს აფრთხობდა ქართლის სახელმწიფოს აღორძინება, რადგან ქართლის სახელმწიფო ტრადიციული მეტოქე იყო კავკასიაში ჯერ რომის, შემდეგ კი რომ-ბერძენთა იმპერიისა, ამიტომ იგი სასტიკად გაუსწორდა ჩვენს ქვეყანას. აღმოსავლეთ საქართველოში ჰერაკლემ ეკლესიებში დაახოცინა ქრისტიანები („ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლთან დიოდეს“), დასავლეთ საქართველოში კი მნიშვნელოვანი

მიწა-წყალი ჩამოაცილა ქართულ ეკლესიას. ახლა უკვე ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვარი შავი ზღვის ნაცვლად გადიოდა სკანდა-შორაპნის ხაზზე – არგვეთში. თვით არგვეთის დიდი ნაწილი კვლავ ქართლის სახელმწიფოში დარჩა, იგი არ შესულა ბიზანტიის იმპერიაში. ისტორიულ ეგრისზე კი კონსტანტინოპოლმა განახორციელა თავისი იურისდიქცია.

განსხვავებულია ჰერაკლეს დამოკიდებულება სომხური ეკლესიისადმი (წყაროები მას სომხური წარმოშობისად მიიჩნევენ). VII ს-ის სომხური ეკლესია თავისი მოქნილი პოლიტიკის წყალობით ბიზანტიისათვის მისაღები და ნებადართული გახდა. თვით სპარსეთზე გამარჯვებულმა ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ მასთან ერთობის ხელშეკრულებაც დადო.

ჰერაკლეს ლაშქრობის შემდეგ სომხური ეკლესია ისევ ქალკედონიტობას დაუბრუნდა და პრეტენზია განაცხადა ქართული და ალბანური ეკლესიების უფლებამოსილებაზე. ქართული ეკლესიის მესვეურები იბულებულნი გახდნენ მიემართათანტიოქიის საპატრიარქოსთვის და ეთხოვათ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დასტური, რათა არც ერთ მეზობელ ეკლესიას მასზე უფლება არ ჰქონოდა. ხოლო VI მსოფლიო კრებამ დაუდგინა ქართული ეკლესიის მეთაურს პატრიარქის, მოციქულთა ტახტზე მჯდომისა და მოციქულთა მაგიერის წოდება.

680-81 წლებში კონსტანტინეპოლში შედგა VI საეკლესიო კრება. „ქართლის ცხოვრების“ ჩანართის მიხედვით, ეს კრება მოუწვევია იმპერატორ კონსტანტინე პოლონატს.

კრებამ განიხილა ქართული ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის საკითხი და აღიარა მისი დამოუკიდებლობა, ქართული ეკლესიის მეთაურს მიანიჭა უფლება ეტარებინა პატრიარქის ტიტული. კრებას განუხილავს აგრეთვე ქართული ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალიის საზღვრები.

ამავე კრებამ დაადასტურა ქართული ეკლესიის მიერ მირონის ადგილზე კურთხევის უფლება.

ამრიგად, საქართველოს ერთიანი საპატრიარქო დაარსდა VII ს-ში, რომელმაც იარსება VIII ს-ის შუა წლებამდე.

VIII საუკუნე

VIII ს-ის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფო მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო არაბების შემოსევის გამო. ასეთ პირობებში ქართულ ეკლესიას ძალა არ შესწევდა შეესუსტებინა საქართველოში არსებულ უცხო ეკლესიათა ძლიერება. სომხური ეკლესია ისევ ცდილობდა ქართული ეკლესიის თავისი გავლენის სფეროში მოქცევას. მაგრამ მას შემდეგ, რაც 726 წელს მანასკერტის კრებაზე სომხურმა ეკლესიამ საბოლოოდ და გადაჭრით თავის ერთადერთ სარწმუნოებად აღიარა მონოფიზიტობა და უარყო როგორც მონოთელიტობა, ისე ქალკედონიტობა და დაგმო კავშირი ბიზანტიის ეკლესიასთან, ქართულმა ეკლესიამ, როგორც ქალკედონიზმის ერთგულმა დამცველმა, ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა სომხურ ეკლესიასთან.

VIII საუკუნე ქართული კულტურის გათავისუფლების საუკუნეა. თუმცა პოლიტიკურად საქართველო ისევ გასაჭირშია, მაგრამ ერის სულიერი ცხოვრებისათვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო სომხური ეკლესიის გავლენისაგან თავის დაღწევა, რომ მას შედეგად მოჰყვა კულტურული აღორძინება. შემდეგ საუკუნეებში შეუფერხებლად ვითარდება ქართული ეკლესიის სულიერი საგანძური, ქართული ჰიმნოგრაფია. ამავე საუკუნეებში გამობრწყინდნენ წმ. მოწამენი: აბო თბილელი (ხს. 7 იანვარს), არგვეთის მთავრები მხეიძეები – დავით და კონსტანტინე (ხს. 20 მარტს), რომლებიც აწამეს არაბებმა.

ქართული საისტორიო წყაროების ცნობით IV-VII სს-ში საქართველოს უწოდებდნენ ქართლს, რომელსაც ჰქონდა მკაცრად განსაზღვრული საზღვრები მეზობელ სახელმწიფოებთან. დასავლეთით ქართლის საზღვრებში შედიოდა ეგრისი, აღმოსავლეთში კი ჰერეთი, ხოლო სამხრეთით – ციხე თუხარისი და კლარჯეთი.

ამრიგად, სიტყვა „ქართლის“ ქვეშ, ამ პერიოდში იგულისხმებოდა მთელი საქართველო და ამიტომაც ქართლის საკათალიკოსო თავის იურისდიქციას ახორციელებდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოზე, არამედ დასავლეთ საქართველოზეც საკათალიკოსოს დაარსების დროიდან, ანუ IV ს-დან, ხოლო ქართული ეკლესია თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა მთელ საქართველოზე წარმოქმნის დროიდანვე, ანუ I ს-დან.

VIII ს-ის 80-90-იან წლებში ქართული სამეფო დაიშალა სამ ნაწილად. წარმოიქმნა „აფხაზეთი“, „ქართლი“ და „კახეთი-ჰერეთი“. თუ ამ დრომდე „ქართლი“ აღნიშნავდა მთელ საქართველოს, ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოს უკვე აღარ ეწოდებოდა ქართლი, არამედ ეწოდა აფხაზეთი.

ამ დრომდე „აფხაზეთი“ ერქვა ამჟამინდელი მდ. კელასურის ანუ კლისურის იქით მდებარე ქვეყანას, რომელიც ბიზანტიას ემორჩილებოდა. VIII ს-ში „კლისურის იქითი ქვეყანა“ – აფხაზეთი, ბერძენთა ბატონობისაგან

გათავისუფლდა. აფხაზთა ერისთავ ლეონ I-ს შერთეს ქართლის მეფე მირის ქალიშვილი გურანდუხტი, რომელსაც ძმა არ ჰყავდა, ხოლო ბიძა, მეფე წმ. არჩილი არაბებმა აწამეს. დასავლეთი საქართველო, ვითარცა ქართლის სამეფოს ნაწილი გურანდუხტის საპატრონო ქვეყანა იყო, რომელსაც იგი მისი მეუღლის, ლეონ I-ის ხელით მართავდა, ამიტომაც დასავლეთ საქართველოს აფხაზთა სამეფო ეწოდა მმართველი დინასტიის სახელით მიხედვით.

დასავლეთ საქართველოში დამოუკიდებელ „აფხაზთა სამეფოს“ დაარსებას მოჰყვა ამ სახელმწიფოში თავისთავადი ეკლესიის დაარსება, რაც შეესაბამებოდა საეკლესიო კანონებს.

ამრიგად, VIII-ის შემდეგ ქართულ ეკლესიაში არსებობს ორი ქართული საკათალიკოსო – აფხაზეთის და ქართლის. ამთგან მცხეთის ანუ ქართლის კათალიკოსი უფროს, „უზუცეს“ კათალიკოსად მიიჩნევა, ხოლო აფხაზეთისა – უმცროს, ანუ „უმრწემეს“ კათალიკოსად.

730-იან წლებში სამხრეთ საქართველო გადაწვა მურვან ყრუმ. მისი წასვლის შემდეგ კლარჯეთში აღდგა ოპიზის მონასტერი. ამრიგად, სამონასტრო ცხოვრების აღორძინება სამხრეთ საქართველოში ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელამდე დაიწყო. წმ. გრიგოლმა კი მთელი ეპოქა შექმნა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრებაში, გააჩაღა ფართო სამონასტრო მშენებლობა, ხანძთაში და შატბერდში – მამათა, ხოლო მერესა და გუნათლესში დედათა მონასტრები დააფუძნა. წმ. გრიგოლის მოწაფეებმა მრავალი მონასტერი დააარსეს. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია იშხნის მონასტრისა და საეპისკოპოსოს დაარსება. სამონასტრო მშენებლობა დაიწყო ბარეთელთაში, წყაროსთავში, ნეძესში. წმ. გრიგოლმა დასავლეთ საქართველოში დააფუძნა უბის მონასტერი. კლარჯეთში ჩასვლიდან დაახლოებით 50 წლის შემდეგ წმ. გრიგოლი იქაურ მონასტერთა არქიმანდრიტად დაადგინეს. მას თავისი მონასტრებისათვის იერუსალიმის საბაწმინდის ტიპიკონი აუღია. შეუდგენია ჰიმნოგრაფიული კრებული – საწელიწადო „იადგარი“.

საქართველოს ეკლესიის იმჟამინდელი მდგომარეობის უკეთ წარმოსაჩვენად გავიხსენოთ კიდევ ერთი ფაქტი: საბერძნეთის ეკლესიის მყუდროება თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე დარღვეული იყო ხატმბრძოლთა მიერ. ხატთა თავგანისცემა გამოცხადდა კერპმსახურებად და იღვევებოდა ბიზანტიის კეისრებისა და სამღვდელთა მიერ. არაიშვიათი იყო საპყრობილე და სიკვდილით დასჯაც კი. ამ დროს საქართველოს ეკლესია თითქმის ერთადერთი ეკლესია იყო, რომელიც ძველ წესს იცავდა და ხატთა თავგანისცემას არ უარყოფდა. კონსტანტინოპოლთან გაწვევითა კავშირი გუთეთმაც, როგორც ბერძნული წყაროები ადასტურებენ, გუთეთის ეპისკოპოსის კურთხევა მოხდა იბერიაში.

IX-X საუკუნეები

IX-X სს-ში საქართველო ძირითადად გათავისუფლდა არაბ და სხვა დამპყრობთაგან, რამაც საშუალება მისცა ქართველ ერს შეექმნა თავისი სახელმწიფო ერთეულები – აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთისა და კახეთ-ჰერეთის სამეფოები, ამას შედეგად მოჰყვა ერის კულტურის აღორძინება. ჩნდებიან მწერლები, ეკლესიის საჭიროებისათვის საგალობლებს ქმნიან ეპიფანე მოძღვარი – ხანძთელი (VIII-IX სს.), მაკარი ლუთთელი – ხანძთელ-საბაწმინდელი (IX ს.), ბასილი ხანძთელი (IX ს.), გიორგიმერჩულე (IX-X სს.), მიქაელ მოდრეკილი (X ს.), იოვანე მტბეკარი (X ს.), ეზრა (X ს.), იოვანე ქონქოზის ძე (X ს.), კურდანი-კვირიკე (X ს.). ამ საუკუნეებში იქმნება ჰიმნო-გრაფიული ძეგლები – კრებულები, იქმნება საგალობლები, ძღისპირები, ამ საუკუნეებში მოღვაწეობენ „ნინოს I ჰიმნოგრაფი“ (VIII-IX სს.), „ნინოს II ჰიმნოგრაფი“ (IX-X სს.), „კონსტანტი კახის ჰიმნოგრაფი“ (IX-X სს.), სამოელ მგალობელი, მწერალი იოანე ბოლნელი (IX ს.), „ნინოს III ჰიმნოგრაფი“ (IX-X სს.), მსხემი ზედაზნელი (X ს.), დავით გარეჯელის ჰიმნოგრაფები (IX-X სს.), იოვანე მინჩხი (X ს.), სტეფანე ჭყონდიდელი (X ს.), „აბუკურაის“ მღექსავი (IX ს.), გიორგი საბაწმინდელი-სინელი, იოანე-ზოსიმე, ფილიპე ბეთლემელი (X ს.). ამ საუკუნეებში პალესტინაში იქმნება ჰიმნოგრაფიული კრებულები: „საწელიწადო იადგარი“ და სხვ.

ქართული ენა IX-X სს-ში სრულიად ჰყვავის და ვითარდება.

VIII ს-ის შემდეგ საქართველოში არსებობს ორი ქართული საკათალიკოსო. 830 წელს ეს ფაქტი აღიარა (ცნო) მეფე ბაგრატ III კურაპალატმა და განაწესა კათალიკოსი აფხაზეთს. აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოშობამ საჭირო გახადა გარკვეულიყო მირონის საკითხი. არსებობდა ორი გზა – აფხაზეთის ახალ საკათალიკოსოს ან თვითვე უნდა ეკურთხებინა მირონი, ანდა მიეღო სხვა უზენაესი ეკლესიისგან.

ეფრემ მცირის მიხედვით, V ს-ში 451 წლის ქალკედონის კრების შემდეგ, ყველა ეკლესიას, დამათ შორის ქართულსაც, ნება მიეცა ადგილზე ეკურთხებინათ მირონი. ასე რომ, ეფრემის თანახმად, V ს-დანვე იკურთხებოდა მირონი საქართველოში.

როგორც გიორგი მერჩულე გვაუწყებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, ახლად დაარსებულ აფხაზეთის საკათალიკოსოს იერუსალიმიდან მოჰქონდა მირონი, შემდეგ კი, იერუსალიმის პატრიარქის განწესებით, ქართლის საკათალიკოსოდან ღებულობდა მირონს, ვინაიდან დასავლეთ საქართველო ძველთაგანვე ქართლის ნაწილად მიიჩნეოდა: „რამეთუ პირველად აღმოსავალისა (იუღლის ხმება აფხაზეთისა) კათალიკოსთა მიჰრინი იერუსალიმით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმიერთა ბრძანებითა, მიჰრინის კურთხევა ქართლს

განაწესა იერუსალიმის პატრიარქის განწესებითა და წამებითა სიხარულით, არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“ – ჩანს, ასე უნდა გაიხსნას უძველესი ტექსტის ქარაგმა.

978 წელს ბაგრატ III-ის დროს საქართველო გაერთიანდა და აღდგა იბერიის ანუ ქართლის სამეფო. საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ აღდგენა განაპირობა ქართველი ერის შინაგანმა მონღოლებამ და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებამ.

XI საუკუნე

„ქართლის სამეფოს“ აღდგენა-რესტავრაციის სურვილი იმდენად ძლიერი იყო VI-X სს-ში, რომ VIII ს-მდე ქართული საზოგადოებრივი აზრი არ ცნობდა ერთიან „ქართლის სამეფოს“ დაშლას და „ქართლი“ კვლავ ერთიან ქვეყანად ესახებოდა შავი ზღვიდან ბარდავამდე. VIII ს-ის შემდგომ, მართალია, შეიქმნა „აფხაზთა“, „ტაო-კლარჯეთის“, „კახეთ-ჰერეთის“ სამეფოები, მაგრამ თითოეული ეს ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული ცდილობდა გაერთიანებინა საქართველო და აღედგინა იბერიის ძველი სამეფო.

და აი, 978 წელს მეფე ბაგრატ III-ის დროს აღდგა იბერიის ანუ „ქართლის სამეფო“, საქართველო გაერთიანდა. 1010 წელს ბაგრატ III-მ თავის სამეფოს კახეთ-ჰერეთიც შემოუერთა. ამით რესტავრირებულ იქნა ფარნავაზ მეფის მიერ დაარსებული ფარნავაზიან-ხოსროიანთა იბერიის სახელმწიფო. საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ აღდგენა განაპირობა ქართველი ერის შინაგანმა მონღოლებამ, განსაკუთრებულად გაზრდილმა ეროვნულმა თვითშეგნებამ.

საქართველოს გაერთიანებას, საეკლესიო კანონების თანახმად, თან უნდა მოჰყოლოდა აფხაზეთისა და მცხეთის საკათალიკოსოთა გაერთიანება საქართველოს ერთიან ეკლესიად. მართლაც, აღნიშნული ორი საკათალიკოსოსგან შეიქმნა ერთი საპატრიარქო. შექმნისთანავე მის პირველ პატრიარქს მელქისედეკ I-ს „აღმოსავლეთის პატრიარქი“ უწოდეს მის იურისდიქციის ქვეშა ტერიტორიის სიდიდის გამო.

მელქისედეკ I იყო ბაგრატ III-ის ნათესავი და მისივე გაზრდილი. პატრიარქად დადგომისთანავე მელქისედეკი გაემგზავრა კონსტანტინოპოლში საიმპერატორო კარზე. ჩანს, იმისათვის, რომ კონსტანტინოპოლს ეცნო ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსება.

როგორც ირკვევა, კონსტანტინოპოლმა ცნო საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ღირსება და საპატრიარქო ცენტრს – სვეტიცხოველს და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს მელქისედეკს საჩუქრად გადასცა მდიდარი

მონასტერი და 105 სოფელი. ამ ფაქტს ადასტურებს XI-XIII სს. ისტორიული საბუთები.

თბილისის არაბმა ამირამ – ალიმ მელქისედეკის თხოვნით ეკლესია გადასახადებისაგან გაათავისუფლა.

ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ იწყება ომი ბიზანტიის იმპერიასა და საქართველოს შორის. ეს იყო არა ეპიზოდური შებრძოლებები, არამედ დიდი ომი, რომელიც ათწლეულობით გაგრძელდა და რომელშიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ბიზანტიის იმპერატორები და საქართველოს მეფეები. ომი დაიწყო ბასილი II-ის დროს 1021 წელს და დამთავრდა კონსტანტინე მონომაქის დროს 1054 წელს. იმხანად საქართველოში მეფობდნენ გიორგი I და ბაგრატ IV. სწორედ ბაგრატ IV-ის დროს შეწყდა ბიზანტია-საქართველოს ომი და დაიღო სამშვიდობო ზავი.

ბასილი კეისარს იმედი ჰქონდა, რომ მის შეტევას საქართველოს სამეფო ვერ გაუძლებდა და დაიშლებოდა, მაგრამ ქართული ეკლესია გვერდში ამოუდგა სახელმწიფოს. ქართული ეკლესია ბიზანტიის მიერ დაპყრობილ კუთხეებში სათავეში ჩაუდგა სახალხო ომს დამპყრობთა წინააღმდეგ.

იმდროინდელი შეხედულებით, ბიზანტია და მისი იმპერატორები იყვნენ ბურჯნი მსოფლიო ქრისტიანობისა. იმპერატორებს თავყვანს სცემდნენ, როგორც ღვთის ნების აღმსრულებელთ. ალბათ ამით იყო გამოწვეული ის, რომ ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი ბიზანტიის მხარეს გადავიდა. ქართველ სამღვდელთა ბიზანტიასთან ომში ქართველი „წვრილი ერი“ რომ არ გამოეფხიზლებინა, მტერი გამოიყენებდა მათ გულწრფელ ქრისტიანობას თავის სასარგებლოდ.

ქართული ეკლესიის აქტიურმა პოზიციამ ამ ომში გამოიწვია ბიზანტიის სამეფო კარის რისხვა ქართული ეკლესიის მიმართ. ქართული ეკლესია მწვალებელთა არამართლმადიდებელ ეკლესიად გამოცხადდა. დაიწყო ქართული მონასტრებისა და ბერების ღვენა იმპერიაში. საეკვოდ გამოაცხადეს ქართული ეკლესიის თავიდანვე არსებული მრავალი უფლება.

XI ს-ში სომხური ეკლესია მწვალებელურ ეკლესიად მიიჩნეოდა ბიზანტიაში. ქართულ ეკლესიას იმ დროისათვის ჯერ კიდევ ეტყობოდა სომხური ეკლესიის გავლენის კვალი. სწორედ ეს გამოიყენეს ბიზანტიელმა იდეოლოგებმა ქართული ეკლესიის მართლმადიდებლობაში ეჭვის შესატანად.

სინამდვილეში არავითარი „ღვარძლით“ არ ყოფილა შებილწული ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. ბერძნებმა ღვარძლად მიიჩნიეს ზოგიერთი წმიდა წიგნის თარგმნა-რედაქტირება სომხური ენიდან. ამ აზრს ვერ დავკეთებთ. შეუძლებელია არამართლმადიდებელურად ჩაითვალოს ეკლესია იმ მიზეზით, რომ ის საეკლესიო საჭიროებისათვის წიგნებს სომხური ენიდან თარგმნიდა ან არედაქტირებდა.

როგორც ქართველთა, ისე ბერძენთა შორის ყოფილან „მაბრალობელნი“ და „მაყვედრებელნი“, რომლებიც სწუნობდნენ ქართულ თარგმანებს ამ მხრივ, რომ ისინი არ მიჰყვებოდნენ იმ დროს გავრცელებულ ბერძნულ რედაქციებს. „მაბრალობელთა“ და „მაყვედრებელთა“ გამძაველება XI ს-ის დასაწყისში გამოიწვია „ბიზანტია-საქართველოს“ ომმა.

იმისათვის, რათა მოესპოთ ბერძენებისათვის ქართველთა მწვალებლებად გამოცხადების საბაბი, ექვთიმედა გიორგი მთაწმიდელელები და მათი სკოლა წმიდა წერილის მანამდე არსებულ თარგმანებს მაქსიმალურად უახლოებდნენ ბერძნულ წყაროს.

X ს-ის შუა წლებიდან ბიზანტიის ძლიერების დროს მან თავის გვერდით ვერ იგუა საქართველოს გაერთიანებული სამეფო.

XI ს-ის მეორე ნახევარში სრულიად შეიცვალა ბიზანტიის როგორც საგარეო, ისე საშინაო მდგომარეობა, თურქ-სელჯუკების შემოსევების გამო ამ დროს იმპერია კრიზისს განიცდიდა. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ XI ს-ის 50-იან წლებში ბიზანტიის იმპერიამ გადასინჯა თავისი დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოსადმი. ახალ ეპოქაში ბიზანტიას სჭირდებოდა ერთგული, მასზე დამოკიდებული, მისი გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყანა. ამიტომ სამწლიანი მოლაპარაკება 1054-1057 წლებში ბიზანტიასა და საქართველოს შორის დამთავრდა სამშვიდობო ზავით.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთა მიზანი მოლაპარაკების დროს ბიზანტიასა და საქართველოს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის გარდა იყო საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო უფლებების ცნობა, როგორც ბიზანტიის სახელმწიფოს, ასევე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ.

პირველი წარმატება, რასაც დელეგაცია მიიღწია, იყო ის, რომ შეწყდა ქართველი ბერების სასტიკი დევნა ბიზანტიის იმპერიაში, კერძოდ კი, ივერიონში.

საქართველოს დელეგაცია მოლაპარაკებისას ფრიად წარმომადგენლობითი იყო. კონსტანტინოპოლში ბაგრატ მეფე და მარიამ დედოფალი ჩაბრძანდნენ მთავრებისა და წარჩინებულების თანხლებით. ვინაიდან დელეგაციას საეკლესიო საქმეებიც უნდა მოეგვარებინა, ათონის მთიდან ჩამოვიდა გიორგი მთაწმიდელი – იმ დროის ყველაზე დიდი ავტორიტეტი ეკლესიისა – და დელეგაციის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა.

გიორგი მთაწმიდელი კონსტანტინოპოლიდან გაემგზავრა ანტიოქიასა და იერუსალიმის საპატრიარქოებში. ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ს გიორგი მთაწმიდელთან საგანგებო საუბრები ჰქონდა „კანონთათვის საეკლესიოთა“ და აგრეთვე „სარწმუნოებისთვის მართლისა“.

გიორგი მთაწმიდელს, მას შემდეგ, რაც პეტრე III დაურწმუნებია, რომ ქართული საპატრიარქოს შექმნა არ ეწინააღმდეგებოდა „საეკლესიო კანონებს“ და რომ ამ ახალი საპატრიარქოს შექმნით არ დარღვეულა „მართალი სარწმუნოება“, ანტიოქიის პატრიარქი თავისთან იახლოებს. პატრიარქი

მოხიბლულა გიორგის სულიერი სიმაღლითა და ცოდნით, ამიტომაც ის ანტიოქიის საპატრიარქოს საქმეების მოგვარებასაც კი ქართველ ბერს ანდობდა. თავის პირად ცხოვრებასაც მას უზიარებდა.

პეტრე III-ის დროს ჩატარდა ანტიოქიის საეკლესიო კრება, რომელმაც აღიარა საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო უფლებები და შეწყვიტა ქართული ეკლესიისა და ქართველი ბერების დევნა.

მაგრამ ამ დევნის რეციდივები 1057 წლისათვის მაინც არსებობდა.

ანტიოქიის კრების შემდეგ პეტრე III-ს დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი 1057 წელს გარდაიცვალა. გიორგი მთაწმიდელი შეხვდა ახალ პატრიარქს თეოდოსის (თეოდორე). ბერძენი ბერებისაგან წაქეზებულმა პატრიარქმა გიორგი მთაწმიდელს განუცხადა: ქართული ეკლესია ანტიოქიის ეკლესიას უნდა ემორჩილებოდესო და დაემუქრა კიდევ – თუ ასე არ იქნება, მაშინ მთელს ბიზანტიის იმპერიაში გაგრძელდება ქართული ეკლესიის დევნაო. ანტიოქიის პატრიარქი ეყრდნობოდა „პენტარქიის“ შეთხზულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ავტოკეფალური მხოლოდ ის ეკლესია შეიძლება იყოს, სადაც მოციქულმა იქადაგა. ანტიოქიის ეკლესია პეტრე მოციქულის დაარსებულად მიიჩნეოდა, ხოლო ანტიოქელთა აზრით საქართველოში არ უქადაგაია არც ერთ მოციქულს.

გიორგი მთაწმიდელმა დაუსაბუთა თეოდოსის, რომ საქართველოს ეკლესია ანდრია პირველწოდებულის მიერაა დაარსებული და სვიმონ კანანელიც ჩვენს ქვეყანაშია დაკრძალული. შემდეგ კი პატრიარქს მისივე ლოგიკიდან გამომდინარე პასუხობს: რაკი სიტყვა დამორჩილებას შეეხო, უფრო ჯეროვანი იქნება, თუ თქვენი ეკლესია დაემორჩილება ჩვენს ეკლესიას, ვინაიდან ანდრია ქრისტეს პირველი მოწაფე იყო და მან მოუწოდა თავის ძმას პეტრესო.

პატრიარქი საკვებით დარწმუნებულია, რომ საქართველოში მოციქულებს უქადაგიათ და გიორგი მთაწმიდელის პასუხს მასში კეთილგონიერება აღუძრავს.

ამრიგად, 1054-1057 წლებში ბიზანტიურმა საპატრიარქოებმა აღიარეს ქართული ეკლესიის ფაქტობრივად არსებული *ავტოკეფალურობა* და შეწყვიტეს მისი უკანონო დევნა.



საქართველოს ეკლესიის ისტორიის
II პერიოდი, XII-XVIII სს.
(რუის-ურბნისის კრებიდან ავტოკეფალიის გაუქმებამდე)

XII საუკუნე

XII ს-ში საქართველოში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენები მოხდა. 1089 წელს გამეფდა 16 წლის დავითი, შემდეგ აღმაშენებლად წოდებული. მან მეტად მძიმე მდგომარეობაში მყოფი სამეფო მიიღო. თურქთა თარეშის შედეგად, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა, საქართველო აოხრებული იყო. თბილისი უკვე 400 წლის განმავლობაში არაბთა ხელში იყო. კახეთი დამოუკიდებელ სამეფოდ ქცეულიყო. ქვეყანაში შინააშლილობა სუფევდა, დიდგვაროვან აზნაურებს ღალატისა კენ ეჭირათ თვალი და მეფის ხელისუფლების შესუსტება ეწადათ. მაღალი იერარქი დიდგვაროვან აზნაურთა წრის წარმომადგენელნი იყვნენ.

ქვეყნის ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე ძალები მეფის მოწინააღმდეგე დიდგვაროვნებს უჭერდნენ მხარს, ზოგი მათგანი ეკლესიის მაღალი ფენის წარმომადგენელი იყო, რომელიც ეკლესიაში თავისი მაღალი წარმოშობისა და სიმდიდრის წყალობით იყო მოხვედრილი. მათ რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა „უღირსებს“ უწოდებს.

დავით აღმაშენებელმა ძირითადი უწყებანი (საშინაო, ფინანსთა, სამხედრო) უშუალოდ მეფის ვეზირს – მწიგნობართუხუცესს – ჭყონდიდელს დაუქვემდებარა. მასვე ექვემდებარებოდა სამეფო სპაც. იგი მეფესთან ერთად წყვეტდა ომის დაწყება-არდაწყების საკითხს და ზოგჯერ ომშიც მიდიოდა. გიორგი ჭყონდიდელის უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა ციხე-ქალაქ სამშვილდის აღება 1110 წელს, რასაც ქვემო ქართლის მთავარ ციხეთა განთავისუფლებაც მოჰყვა. სამშვილდის აღებამ თურქებს თავზარი დასცა, სულთანმა 100 000 კაციანი ლაშქარი გამოგზავნა, მაგრამ დავითმა სძლია და თურქები გაიქცნენ. გიორგი ჭყონდიდელმა მტერს რუსთავიც წაართვა – ეს მოხდა 1115 წელს. 1118 წელს ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლების საქმეც დავითმა გიორგი ჭყონდიდელთან ერთად მოაგვარა. ყივჩაღები ქართველ მეფეს საზღვრების დასაცავად და უცხოეთში სალაშქროდ ესაჭიროებოდა. ისინი დასახლებული ჰყავდა საზღვრებზე, თანამედროვე სომხეთსა და აზერბაიჯანში (შირვანთან), ამიტომაც ყივჩაღები ქართველებს არ შერწყმიან.

დავით აღმაშენებლის ყოველი გამარჯვება ქრისტიანობასთან იყო დაკავშირებული, ქრისტიანობის მტრების დათრგუნვისა კენ მიმართული. ჯვაროსანთა ომის დაწყებისას მეფე ყოველმხრივ ეხმარებოდა მათ.

დავით აღმაშენებელი, როგორც ღრმადმორწმუნე ქრისტიანი, უფალს იყო მინდობილი. ასე იყო დიდგორის ბრძოლის დროსაც, როცა შეიკრიბა ურიცხვი თურქი, ვითარცა ზღვა ქვიშისა. 1121 წლის 18 აგვისტოს მოვიდნენ თრიალეთში, მანგლისსა და დიდგორში, ისე, რომ ფენის დასადგმელი ადგილიც არ ჰყოფნიდათ, ხოლო დავით მეფემ, უშიშმა და გულთი უძრავმა წინ განაწყო თავისი სპა.

პირველი შებრძოლებისას უკან დაიხია მტერმა, ხოლო შემდეგ გაიქცა, რამეთუ დავით მეფეს მაღალი ღმერთი შეეწეოდა და წმ. მოწამე გიორგი ცხადად და ყველას სახილველად წინ მიუძღოდა. ეს ბრძოლა სულსამისათი გაგრძელდა. თურქებმა წინააღმდეგობა ვეღარ შეძლეს ქართველების მხრიდან პირველივე კვეთების შემდეგ.

მეორე წელს აიღო მეფემ თბილისი, რომელიც 400 წელი არაბთა ხელში იყო (1122 წელი).

ერთი მხრივ, იგი, როგორც მეფე და სახელმწიფო მოღვაწე, მტკიცე ნებისყოფით, გონიერი მოქმედებითა და სამხედრო და ადმინისტრაციული მართვის ნიჭით ძლიერ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ქმნიდა და ყველას, ერსაც და ბერსაც მის სამსახურში აყენებდა, ხოლო მეორე მხრივ ის, როგორც განათლებული ადამიანი, თავგანსა სცემდა მეცნიერებას, პატიოსნებასა და ერთგულებას, ამის უნიკალური განსახიერება მისი მოძღვარი – არსენ იყალთოელი იყო, წიგნი კი – მისი განუყრელი მეგობარი.

მეფე მუდამ ბერების წრეში ტრიალებდა, ამიტომ დავითი სასულიერო წიგნების უბადლო მცოდნე იყო და მას ღრმა საეკლესიო საღვთისმეტყველო განათლება ჰქონდა მიღებული.

დავით მეფემ დაამშვიდა ქვეყანა, აავსო, აღაშენა დანგრეული და ყველა დროს გადაამეტა მშვიდობით და სიმდიდრით. მან სიბრძნის დედად იპოვა შიში ღმრთისა. ხოლო საღმრთო წერილი – ძველი და ახალი შეიყვარა და შეითვისა. ეს წიგნები წარმოადგენდა მისთვის სულიერ საზრდოს. მუდამ თან ახლდა წიგნებით დატვირთული ჯორები და აქლემები და ცხენიდან ჩამოქვეითდებოდა თუ არა, პირველ ყოვლისა, წიგნებს მთარმთვედნენ ხოლმე. კითხულობდა დაღამებამდე, კითხულობდა ომის დროსაც კი, თავისუფალ საათებში. მუდამ ლოცვა-მარხვაში იყო. საეშმაკო სიმღერები, სახიობანი, განცხრომა, ღმრთის საძულველი გინება და ყოველი უწესობა ლაშქარშიც აკრძალული იყო.

სინას მთაზე, სადაც მოსემ და ელიამ იხილეს ღმერთი, მონასტერი ააშენა და მრავალი ოქრო წარგზავნა.

ყოველივეს გაცემდა არა მოხელეებისგან მიღებულს, ანდა სამეფო საჭურჭლიდან, არამედ თავისი ხელით მოპოვებულს.

არა მარტო მონასტრები და ლავრები გაათავისუფლა მოვალეთაგან, არამედ მისი სამეფოს ხუცებიც – ბეგარისაგან, რათა თავისუფლად აღესრულებინათ საღმრთო მსახურება.

ღმრთის მიერ ისეთი ნიჭი ჰქონდა ბოძებული, რომ არავისი საქმე და სიტყვა, კეთილი თუ ბოროტი არ დაემალებოდა, ამიტომაც ვერც დიდი და ვერც მცირე ორგულობასა და ღალატს ვერ უბედავდა. ასევე მღვდელმთავრები, მღვდლები, დიაკვნები, მონაზვნები და ყოველი კაცი საქმეს წესიერად აკეთებდა, ამიტომაც იყო წესიერება, კანონიერება, პატიოსნება.

ერთხელ მეფეს სომეხთა ეპისკოპოსებმა სთხოვეს, რომ ჩაეტარებინა კრება, სადაც იქნებოდა სიტყვისგება და რჯულის გამოძიება, იმ პირობით, რომ თუ სომეხები დამარცხდებოდნენ, რჯულის ერთობას დათანხმდებოდნენ და თავიანთს შეაჩვენებდნენ, ხოლო თუ გამიმარჯვებდნენ – მაშინ ბრძანება უნდა გაცემულიყო, რათა აღარ ეწოდებინათ მათთვის მწვალებლები და არ შეეჩვენებინათ.

მეფემ მოიწვია ქართლის კათალიკოსი იოანე, ეპისკოპოსები, მეუღაბნონი და არსენ იყალთოელი, სხვა მეცნიერები და ბრძენი კაცები.

დაიწყო კამათი ცისკრიდან საღამოს ცხრა საათამდე. მოეწყინა მეფეს და უთხრა მათ: „თქვენ, მამანო, გაურკვეველ სიღრმეებში შეხვალთ, შეუცნობელს ხედავთ, როგორც ფილოსოფოსები და ჩვენ არ შეგვიძლია გაგება, როგორც უსწავლელებსა და ერისკაცებს. თქვენ იცით, რომ მე შორსა ვარ სწავლელებისა და მეცნიერებისაგან, როგორც სამხედრო საქმეებში აღზრდილი, ამიტომაც უსწავლელი და მარტივი სიტყვებით გეტყვით თქვენ“. ეს რომ თქვა, ისეთი იგავებით გასცა სომეხებს პასუხი, რომ უპასუხოდ და უსიტყვოდ დატოვა ისინი, როგორც ოდესღაც ბასილი დიდმა წარმართები ათენში. მწვალებლებმა საჯაროდ აღიარეს დამარცხება.

მემატიანე დავითს ახსნათებეს, როგორც „მტრებისგანაც კი საწაფელს და სათნოებით საყვარელს“.

მეფობდა 36 წელი და როგორც დავითმა სოლომონი, მან თვითვე დასვა ტახტზე თავისი ძე დემეტრე, ყოვლითურთ მსგავსი მამისა და დაადგა თავზე გვირგვინი პატიოსანი ქვებისა, შეარტყა წელზე მახვილი, სვიანად ხმარებული და შემოსა პორფირით, დაულოცა ცხოვრება. ასე გაცვალა ქვეყნიური მოქალაქეობა ზეციურ სასუფეველზე, სადაც არის შება და სიხარული, სადაც არ არის მწუხარება და არის სიცოცხლე, რომელსაც ვერ შეამღვრევს სიკვდილი. სახელოვანი და დიდებული მეფე 1125 წ. 24 იანვარს გარდაიცვალა.

დავით აღმაშენებლის შემდეგ, თამარ მეფემდე, ე.ი. დემეტრე I-ის, დავით V-ის და გიორგი III-ის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ეს მეფეები სხვაობდნენ ურთიერთისაგან როგორც ზნეობრივ-მოქალაქეობრივ თვისებებით, ისე პოლიტიკური აღღრთი, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სტრუქტურაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. იგივეს ვერ ვიტყვით თამარის პერიოდზე, განსაკუთრებით, მისი მეფობის პირველ წლებზე. აუცილებელია აღინიშნოს რამდენიმე ძირითადი მომენტი.

დავით აღმაშენებლის დროიდან მაღალ თანამდებობებზე არა შთამომავლობითი და გვაროვნულ-წოდებრივი ნიშნებით, არამედ პირადი ღირსებებით აწინაურებდნენ. გიორგი III-საც უმაღლესი „სახელოები“ ღირსეულ და ერთგულ „უგვაროთათვის“ ჰქონდა მიცემული. ახლა, უკვე თამარის დროს, აღარ ისურვეს დიდებულებმა ძველ ხელისუფალთა ხელქვეითობა და მოითხოვეს ყუბასარისა და აფრიღონისათვის თანამდებობისა და ქონების ჩამორთმევა. თამარმა დათმო.

ვაკანტური ადგილებისათვის დიდებულთა შორის ქიშპობა გაჩაღდა. თამარმა უპირატესობა მხარგრძელებს მიანიჭა. განსაკუთრებით აამაღლა ზაქარია, აგრეთვე სარგის, ივანე და ავაგ მხარგრძელები. მემატიანის თანახმად, ივანე მხარგრძელმა, რომელსაც თამარმა მისი თხოვნის თანახმად ათაბაგობა უბოძა, ფაქტიურად უღალატა საქართველოს შალვა და ივანე ახალციხელების შურის გამო. ასევე არ გამოიჩინეს ერთგულება დანარჩენმა მხარგრძელებმაც.

საქართველოს გაერთიანებისას ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესები თავდადებულად იბრძოდნენ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისათვის, საქართველოს გაერთიანებისათვის, ათაბაგობის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ კი საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დამარცხდა და დაიშალა. ჭყონდიდელის დროინდელი კონსოლიდაცია ამ დროს შურმა და ღალატმა შეცვალა. „ოთხმა მხარგრძელმა“ და მათმა შთამომავლებმა ჭყონდიდელობა ვერ გასწიეს.

ცხადია, სამეფო კარზე მონოფიზიტი ამირსპასალარის აღზევებით მართლმადიდებელი ეკლესია კმაყოფილი არ იქნებოდა. აქ საფიქრებელია ის, რომ როგორც კათალიკოსი, ისე ძველი სამეფოს დიდებულები გრძნობდნენ – ახალი პოლიტიკით (მონოფიზიტების აღზევებით) სახელმწიფოს შეიძლებოდა დიდი პოლიტიკური მარცხი განეცადა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს მართლაც ასე მომხდარა და ლაშა-გიორგი ამ მარცხის გამოსწორებას შეეცადა. ლაშა-გიორგი ცენტრალისტური ტენდენციების კენ მიდრეკილი მმართველი იყო. მან განიშორა მხარგრძელები. თამარის ძეს დავით აღმაშენებლობა და მისი უახლოესი მემკვიდრეების დროინდელი მძლავრი სამეფო ხელისუფლების აღდგენა სურდა. ლაშა სასტიკად დაამარცხეს აღზევებულმა დიდებულებმა – ათაბაგმა და სხვა მხარგრძელებმა. მეფეს სახელი გაუტეხეს და ივისხვა დიდებულების, ხალხისა და მორწმუნეების თვალში უნებისყოფო და ამორალურ ადამიანად წარმოაჩინეს. ლაშა ახალგაზრდა გარდაიცვალა. მათ რუსუდანი ვაამეფეს.

აღსანიშნავია, რომ ზაქარია მხარგრძელი ეროვნებით ქურთი, სარწმუნოებით სომეხი, პოლიტიკურად კი ქართველი მხედართმთავარი და მოღვაწე იყო.

თამარის მოღვაწეობის დასახასიათებლად მთავარია მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკური მიღწევები, და ასევე მისი სახელმწიფოს გასაოცარი ჰუმანურობა, რომელიც თავის მხრივ, საფიქრებელია, დავით აღმაშენებლის სულიერ მემკვიდრეობას ეფუძნებოდა.

დავით აღმაშენებლის ანდერძი (აგრეთვე მისი „გალობანი სინანულისანი“) არ იყო დაფარული მისი შემდგომი თაობებისათვის. უფრო მეტიც, ჩანს, მისი აღსრულება ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს თავიანთ მოვალეობად მიიჩნდათ, განსაკუთრებით, თამარ მეფეს. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდგარი სწორედ ამ ანდერძს იღებს საზომად თამარის მოღვაწეობის შეფასებისას.

თამარ მეფეს მაჰმადიანთაგან განთავისუფლებული ქვეყნები უშუალოდ კი არ შემოუერთებია თავისი სამეფოსათვის, არამედ ისინი ყმადნაფიც ქვეყნებად უქცევია. ამით ამ ქვეყნების სამეფო „სახლებისათვის“ სამეფო უფლებები შეუწარმუნებია, უფრო მეტიც, „დაგლახაკებული“ მეფეები გაუმდიდრებია.

დავით მეფემდე, წინა საუკუნეებში, ქართველი ერი თვითონ იყო სხვა ერების აგრესიის ობიექტი; მისი მთლიანი ძალისხმევა იმ დროს თავისუფლების მოპოვებისა და გაერთიანებისაკენ იყო მიმართული, მაგრამ, როგორც კი ერთიანი, კავკასიის მასშტაბის უძლიერესი სახელმწიფო შექმნა, მან უარი განაცხადა სხვათა დაპყრობა-ასიმილაციაზე, გამოამჟღავნა უდიდესი შინაგანი სითბო და სიყვარული, კაცთმოყვარეობა – ეს იყო თამარის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც, როგორც ითქვა, დავითის ჰუმანიზმს ეფუძნებოდა.

სწორედ რომ, საოცარია შუა საუკუნეებისათვის ამგვარი მოქმედება: ხელმწიფე, რომელსაც შეუძლია სხვათა მიწების მითვისება, უარს ამბობს ამაზე, ანდა ინანიებს „სახლის სახლზე“ შერთვას.

ამ კუთხით თუ გადავხედავთ ძველი მსოფლიოს სახელმწიფოთა პოლიტიკას, სულ სხვა სურათს დავინახავთ. ხელმწიფეები იმით ამაყობდნენ, რამდენი ქვეყანა დაიპყრეს, დაანგრეს, მოსპეს. ამ თვალსაზრისით არა მარტო ასურეთის და ურარტუს ხელმწიფეები, არამედ არც რომისა და ბიზანტიის იმპერატორები იყვნენ გამონაკლისნი, თურქულ-სპარსულ სახელმწიფოებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით XIX ს-ის „ცივილიზებული“ სახელმწიფო მოღვაწეებიც ასევე იქცეოდნენ. პავლე ციციანოვი რუსეთისადმი დაუმორჩილებელ ერთ თემს სწერდა: „...თქვენ ნამდვილად ფიქრობთ, რომ მე ქართველი ვარ დაბედავთ ასე წერას. მე რუსეთში დავიბადე და გავიზარდე. ჩემში რუსული სულია. დაიცადეთ ჩემს მოსვლამდე და მაშინ მე თქვენ სახლ-კარს კი არ დაგიწვავთ, თქვენ დაგწვავთ და თქვენს ცოლ-შვილს შიგნეულობას გამოვლადრავ...“

ღიან, მართალია პავლე ციციანოვი, როცა თავის თავს არაქართველ პოლიტიკურ მოღვაწედ მიიჩნევს, რადგანაც ქართველი პოლიტიკოსისათვის მიუღებელია მსგავსი ქმედებანი. ერთი ჩვენი მოღვაწე ამბობდა: „ერი თავის ნამდვილ სახეს უდიდესი სიძლიერის დროს ამჟღავნებს“.

თამარის ამ ჰუმანიზმს არაქართველმა ხალხებმა გასაოცარი სიყვარულით უპასუხეს. იგი არა მარტო ქართველ ერს, არამედ კავკასიის (განსაკუთრებით მთიანეთის, ჩრდილო კავკასიის) ხალხებსაც უყვარდათ.

თამარის სახელმწიფოში მკაცრად იყო დაცული ღარიბთათვის სახელმწიფო შემოსავლის მეათედის განაწილების წესი. აღსანიშნავია, რომ ქართული სახელმწიფოსათვის შემოსავლის მეათედის გადაცემა ღარიბთათვის დავით აღმაშენებლამდე ტრადიციული იყო. მაგრამ თამარი, ისევე, როგორც დავით აღმაშენებელი, ღარიბებს არა მარტო სახელმწიფო ქონებას, არამედ პირად ქონებასაც, თავისი ხელის შრომით შეძენილსაც უნაწილებდა. საინტერესოა, რომ იგი პირად ქონებას სამეფო ქონებისგან განარჩევდა, მაშინ, როცა ჩვეულებრივ, ფეოდალურ ქვეყნებში ასეთი გარჩევა არ იცოდნენ.

მემატიანის სიტყვით, თამარმა სულიერი სიმშვიდე საზოგადოებაშიც დაამკვიდრა. მის დროს მათრახის ცემითა და სხეულის ასობის მოკვეთით დასჯა აღკვეთილი იყო. ფაქტობრივად მოისპო სიკვდილით დასჯა.

თამარის ჰუმანიზმის განსაკუთრებულ გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს მისი დამოკიდებულება სხვა რელიგიური აღმსარებლობებისადმი.

სამეფოს გაფართოებას, აყვავება-გაფურჩქვნას, სახელსა და დიდებას თამარის პიროვნებაში სიამაყე არ აღუძრავს.

თამარის პოლიტიკა, ცხადია, განსხვავდებოდა დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი მიმართულებისაგან, მაგრამ მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ფაქტობრივად ის იყო ქრისტიანულ მორალზე დაფუძნებული პოლიტიკა, და სხვათა შორის, მას თეორიული საფუძველი თვით დავითმა მისცა, როგორც თავისი მოღვაწეობით, ისე ცნობილი ანდერძითა და „გალობანი სინანულისანი“⁴, სადაც იგინანობდა, რომ უფრო მეტად ჰუმანური პოლიტიკის განხორციელება ვერ შეძლო, თამარმა კი განახორციელა.

დავით მეფის სახელმწიფო მოწყობის ზემოთ მოყვანილი შეხედულებანი ქართველ საზოგადოებას მიუჩნევია, როგორც საპროგრამო თეორია, ანდერძი. ამიტომაც, ჩანს, თამარს უცდია აღესრულებინა ის და მთლიანი სახელმწიფო სისტემა მისი განხორციელებისათვის დაუქვემდებარებია.

XIII საუკუნე

თამარის დროინდელი აყვავებული ქვეყანა რუსუდანის მეფობისას მონღოლებმა დაიპყრეს. ამას კი წინ ჯალალედინის ლაშქრობა და თბილისის იავარქმნა უსწრებდა.

1225 წელს ხვარაზმში ჯალალედინის შემოსევისას რუსუდანმა ქართველთა ლაშქარს მხარგრძელი ივანე ათაბაგი უსარდლა. შებრძოლება საქართველოს სოფელ გარნისთან (სომხეთში) მოხდა. ქართველთა ლაშქარი დამარცხდა და მარცხის მიზეზი ურთიერთშური და მტრობა იყო.

ამ ომში ქართველთა ლაშქარში მეწინავენი მესხები იყვნენ – შალვა და ივანე ახალციხელების მეთაურობით. წესით, მთავარსარდალს დამხმარე ძალა უნდა მიეშველებინა ქართველ წინამბრძოლებისათვის, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ახალციხელებმა მრავალგზის შეუთვალეს, ივანე ათაბაგმა ჯარი არ მიაშველა. ივანე ახალციხელი ამ ომში მოკლეს, ხოლო შალვა ტყვედ ჩაიგდეს. იგი ჯალალედინმა მამინვეროდი მოკლა, თავისთან დაიტოვა და დიდი პატივით ეპყრობოდა. ტკბილი სიტყვით შეეცადა, რომ შალვას სჯული დაეტოვებინა, მაგრამ ვერაფრით გატეხა. მრავალი ტანჯვის შემდეგ შალვა ახალციხელი მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა და წმიდანის გვირგვინი ხვდა წილად.

მემატიანე ამბობს, რომ საქართველოს დაცემასა და განადგურებას (ჯერ ხვარაზმელების, შემდეგ კი მონღოლების მიერ) საფუძველი სწორედ ამ ომში დაედო. გარნისის ომში ქართველთა ლაშქარს არც უომია მცირერიცხოვანი ნაწილის გარდა, რომელიც ახალციხელების მეთაურობით მტრის უზარმაზარი ლაშქრის წინაშე მარტო აღმოჩნდა.

მხარგრძელი მთავარსარდალი, ივანე ათაბაგი უკუიქცა და სადღაც ჩაიკეტა. მანდატურთუხუცესმა, ასევე მხარგრძელმა შანშემაც მხოლოდ თავის პირად საგამგებლოზე (ანისზე) იზრუნა. მონღოლებთან მათი მოგვარე ვარამ გაგელიც და ზავდა, ხოლო საქართველოს სხვა კუთხეები სასტიკად ირბეოდა.

ჯალალედინის ლაშქარი გარს შემოადგა თბილისს. რუსუდანი აიყარა და წავიდა ქუთათისს. თბილისის მცველად დატოვა ლაშქარი და ბოცოს ძენი – ბიძინა და ბოცო. თბილისელმა სპარსელებმა მტერს კარი დალატით გაუღეს. ქალაქი ომის ასპარეზად იქცა. მტერი უწყალოდ მუსრავდა თბილისელებს. სულთანმა სიონის გუმბათი მოახსენებინა და ბილწი დასაჯლომელი ააშენებინა. სიონის ხატები – უფლისა და ღმრთისმშობლის, ხიდის თავთან დაადებინა და ბრძანა, რომ შეპყრობილ ქრისტიანებს ფეხით გადაევილოთ მათზე. ვინც უარს იტყოდა, იქვე კლავდნენ. საფიქრებელია, რომ მოკლულთა რიცხვმა 100 000-ს მიაღწია. თავის მხრივ არც უფალმა მიატოვა თავისი სამწყსო – ქართველი ერი და მას ამ გასაჭირში მრავალგზის შეეწია.

XIII ს-ის დამდეგიდან ჩინგიზ ხანის მეთაურობით მონღოლთა გაერთიანებულმა სახელმწიფომ მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი აზიასა და

ევროპაში – ჩრდ. ჩინეთი, შუა აზია, ირანი, ავღანეთი და სხვა ქვეყნები დაიმორჩილა. ჩვენიმემატიანე წერს, რომ მონღოლები ლაშქრობდნენ „დიდსა საყვიჩაღეთსა ზედა, ოვსეთს, ხაზარეთს და რუსეთს ვიდრე ბნელეთამდე“. „ბნელეთს“ მემეტიანე ჩრდილოეთის პოლარულ ზონას უწოდებს. დასავლეთიდან ისინი მიუახლოვდნენ ევროპის ცენტრებს – „ვიდრე ბოღართდა სერბეთამდე“.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთმა უძლიერესმა სახელმწიფომ საქართველოს სრული დაპყრობა და ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება ვერ შეძლო. იგულისხმება, რომ დასავლეთ საქართველო მონღოლებს არასოდეს დაუპყრიათ, რის გამოც საქართველოს სამეფო ცენტრიც აქ იქნა გადატანილი. მონღოლების ძირითადი ძალების შემოსევის დროს საქართველოს სახელმწიფოს სათავეში რუსუდან მეფე იდგა, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი გამოუცდელსა და ქვეყნის მესაჭეობისათვის გამოუსადეგარ პიროვნებას უწოდებს.

შეეძლოთ თუ არა საქართველოს მთავრობასა და მთავარსარდალს არ შეეწყვიტათ ბრძოლა და მონღოლებს გამკლავებოდნენ? უთუოდ შეეძლოთ. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ მონღოლებმა, მიუხედავად დიდი მონდომებისა, დასავლეთ საქართველოში შესვლა ვერც ერთხელ ვერ შეძლეს.

მონღოლებმა ფაქტიურად უბრძოლველად დაიმორჩილეს აღმოსავლეთ საქართველო. ასეთ დროს ქართულმა ეკლესიამ საჭიროდ მიიჩნია შეწეოდა საქართველოს დამშვიდების საქმეს. ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა კიდევ ერთხელ ინება საქართველოს შეკრება ერთ მთლიან ქვეყნად. დაახლოებით 1242 წელს „რუსუდან მეფემ ბათო ყაენთან ვოლგისპირეთში არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი გაგ ზავნა“. მან მონღოლებთან ზავს მიაღწია, რომლის თანახმადც მონღოლთა უმაღლესი ხელისუფლება სცნობდა ერთიან, განუყოფელ საქართველოს სახელმწიფოს ქართველი მეფის მეთაურობით. აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეული ვადლებულება უნდა ეკისრა, ხოლო დასავლეთ საქართველო, როგორც დაუპყრობელი მხარე, ამ ვადლებულებისაგან თავისუფალი იყო, თუმცა ხარკის გადახდა მთელ საქართველოს დაეკისრა.

1259 წელს მონღოლებს თბილისში მჯდომი საქართველოს ორი მეფიდან ერთ-ერთი, დავით ნარინი – რუსუდანის ძეაუჯანყდა და დას. საქართველოში გადავიდა. ამის შემდეგ საქართველოს ეს ნაწილი მონღოლთა ბატონობას გამოეთიშა და ამ მხარის მმართველები ქართულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას აგრძელებენ.

სამწუხაროდ, მონღოლთა ბატონობის დროს, პოლიტიკური მმართველობის თვალსაზრისით საქართველო სამ ნაწილად გაიყო: აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ „საქართველოებად“. მაგრამ მათ ქართული ეკლესია აერთიანებდა. სწორედ ამიტომ, ამ დაშლის ჟამსაც, ქართველებს თავიანთი ქვეყნის საზღვრებამდე მკვლევარადვე ნიკოფისია და დარუბანდი ჰქონდათ წარმოდგენილი. აქვე უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში აღმოსავლეთ საქართველოს საზღვარი „თეთრწყალზე“ (ანუ ახსუზე) გადიოდა, საიდანაც დარუბანდამდე, ანუ კასპიის ზღვამდე მხოლოდ 60-70 კმ-ია. ეს მდინარე ქართველთა ეთნიკური განსახლების

აღმოსავლეთ საზღვარს არა მარტო მონღოლების დროს, არამედ წინა საუკუნეებშიც წარმოადგენდა. მაგალითად, როცა X ს-ის მეორე ნახევარში კახეთი და ჰერეთი გაერთიანდა, ეს გაერთიანება ვრცელდებოდა მდ. ახსუმდე. ამ კუთხეში ქართველები, კერძოდ, ჰერები მჭიდროდ იყვნენ დასახლებულნი, შემდეგ, იმის გამო, რომ ამ კუთხის მახლობლად მონღოლებმა საძოვრები გაიჩინეს, ეს ქვეყანა მოსახლეობისაგან დაიცალა, ან გადაგვარდა.

სამხრეთსაქართველოს საზღვარი გადიოდა მდ. არაქსზე (რახსზე). ანისი და დვინიც ძველებურად კვლავ საქართველოს ქალაქებად ითვლებოდა.

ტაოც საქართველოს ეკუთვნოდა. კონტასთავის შეთქმულთა შორის ტაოელი მემამბოხეებიც მოიხსენიებიან.

მესხეთში ბექას მთავრობის დროს საქართველოს საზღვრებში ჭანეთიც კი შედიოდა, რომელიც ბიზანტიამ დათმო. აქვე აღვნიშნავთ, რომ სამცხის მთავართა ოჯახი დიდად ღმრთისმოსიში იყო. დიდ პატივს სცემდა სამღვდელ-ლობას, ების კოპოსებს, მონაზვნებს. ბექა მონასტერთა და ეკლესიათა მშენებელი, მონაზონთა და მოწესეთა პატივისმცემელი იყო. ცის კრის, სამხრისა და მწუხრის ლოცვას არც თვითონ აკლდებოდა და არც ლაშქარს დააკლებდა, რისთვისაც მას ღმერთი მუდამ სწყალობდა.

დასავლეთ საქართველოს საზღვარს შავი ზღვა წარმოადგენდა – ნიკოფსიამდე.

მონღოლთა მძლავრობის უსასტიკეს საუკუნეში ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა თავისი ეროვნული საზღვრები, სახელმწიფოებრიობა, ეთნიკური ერთობის გრძნობა, მაშინ, როცა საქართველოს მეზობელ ქვეყნებს მონღოლებმა ეთნიკური სახეც შეუცვალეს. საქმე ის იყო, რომ მონღოლებმა ვერ შეძლეს საქართველოში ჩასახლება, მაშინ, როცა მათ საქართველოს მეზობლად მდებარე რანი, მულანი, შარვანი და ასევე სომხეთის ტერიტორიები საზამთრო და საზაფხულო ბანაკებად აქციეს. ჩვენი მეზობელი ალბანელები, რომელთაც თურქ-სელჯუკების შემოსევის შედეგად ეთნიკური სახე დაკარგეს, მონღოლების ბატონობის ჟამს სრულებით გაქრნენ, ხოლო სომხეთის უმთავრესი ქალაქებიდან ლტოლვილი სომხები საქართველოსა და სხვა ქვეყნებს აფარებდნენ თავს.

აღსანიშნავია, რომ მონღოლთა მძლავრობას ქართველმა ხალხმა მაღალი ქრისტიანული მორალით, ურთიერთ-სიყვარულით, ურთიერთგატანით, თავდადებით უპასუხა. მრავალმა ქართველმა დადო სული მოყვასისა და სამშობლოს გადასარჩენად. თავს დებდა არა მარტო რიგითი ქართველი – მეფისა და მამულისათვის, არამედ მეფეც – ერის გადასარჩენად.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ქართველები თავს მხოლოდ სარწმუნოებრივი მოსაზრებით დებდნენ და ამ თავდადების სანაცვლოდ ქრისტესგან მოელოდნენ სულის ცხონებას. ცხადია, ასეც იყო, ოღონდ მონღოლთა ბატონობის დასასრულს. საქართველოში შემოსვლისას კი მონღოლები ქრისტიანებს არ ავიწროებდნენ (ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ მაჰმადიანები).

ამიტომ სარწმუნოებისათვის თავდადება შემდეგ გახდა საჭირო. ისლამი მხოლოდ ყაზან ყაენის (1295-1304) დროს გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად (მალე „თათარი“ არა მონღოლის, არამედ მაჰმადიანის სინონიმად იქცა). საინტერესოა, რომ მონღოლებს ქრისტიანთა დევნა სპარსელთა წაქეზებით დაუწყიათ.

საყოველთაოდ ცნობილია დემეტრე II-ის თავდადება ერისათვის. მეფემ წარმართ მონღოლთა მსგავსად სამი ცოლი მოიყვანა. ბასილი მონაზონმა მეფის უწესო ქორწინება ამხილა, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ მან მეფეს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ძალით უწინასწარმეტყველა, რომ თუკი არ შეისმენდა და ცოდვას არ განეყენებოდა, მეფობა ჩამოერთმეოდა, ხოლო მისი შვილები განიბნეოდნენ. ერის გასაჭირის ჟამს დემეტრეს პიროვნებაში მამულის სიყვარულმა იძძლავრა და მან თავი დასდო თავისი ერისათვის. მეფე თავისი ნებით წავიდა ურდოში, სადაც იგი დააპატიმრეს. სასიკვდილო განაჩენის მოლოდინში მას საშუალება მიეცა ურდოდან გაპარვისა. ერთგულებმა ურჩიეს, აჰა, შენი თავი შენს ხელშია, ღამით წაიყვანე მორბედი ცხენები და წადი, განშორდი ამათ, რამეთუ არ არსებობს შენი სულის ნაცვალიო. მაშინ უთხრა მეფემ: „ისმინეთ ჩემი, რამეთუ თავიდანვე ციციდი, რომ სიკვდილი მელოდა, მაგრამ დავდე თავი ჩემი და სული ჩემი ერისათვის. ახლა თუ გავიპარები, უბრალო ერს მოაოხრებენ და რა სიკეთე იქნება ჩემთვის ყოველი სოფელი შევიძინო და სული წარვიწყმიდო“.

დემეტრე მეფის დამსჯელი არღუნი რამდენიმე წლის შემდეგ, ავადმყოფობით დაუძლეურებული, იმავე დღეს (12 მარტს) და იმავე საათზე დაახრჩეს, რომელ ზეც მეფედემეტრეს მოჰკვეთეს თავი.

სწორედ თავდადებისა და ურთიერთსიყვარულის გამო გადაარჩინა დედა ღმრთისმშობელმა ქართველთა ლაშქარი ალაშუთის ბრძოლების დროს. ცნობილია, რომ ალაშუთის ციხის აღება მონღოლებს გაუჭირდათ და ბრძოლა, რომელშიც ქართველთა ჯარიც მონაწილეობდა, 7 წელს გაგრძელდა. ალაშუთის მეპეტრონე მუღიღები ცნობილი იყვნენ როგორც კაცის მიპარვით მკვლენი. ერთხელაც, ერთმა მუღიღმა მონღოლთა ნონინი-ჩიდატა მოკლა. მონღოლებმა მისი მოკვლა ქართველებს დააბრალეს და მათკენ დაიძრნენ. ქართველთა წარჩინებულებმა შეიბრალეს ქართველი მოლაშქრენი, ამიტომაც გადაწყვიტეს არ შებრძოლებოდნენ უთანასწოროდ მრავალ მონღოლებს. თუ არ შევებრძოლებით, მარტო ჩვენ, წარჩინებულებს დავგზოცავენ და ქართველთა უმრავლესობა ამით გადარჩება, ხოლო თუ შევებრძოლებით – ყველას ამოგზოცავენო. უკლებლივ ყველა ქართველმა სამ-სამჯერ მოიდრიკა მუღიღი და ღმრთისმშობელს შევედრა: „მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღმრთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავცენთ, არამედ განვერნეთ წინააღმდეგომა მტერთაგან“. შეიბრალა ყოვლადწმიდამ ქართველთა ლაშქარი და მკვლელს დანაშაული აღიარებინა.

ასევე დაიფარა ღმერთმა ოპიზა, რომლის გაძარცვაც მონღოლებმა მოინდომეს. უკვე მონასტერთან მიახლოებულთ მძლავრმა წვიმამ და სეტყვამ

გზა აუბნია და მონასტერიც დარბევას გადარჩა.

მემატიანე ქართველთა თავდადების უამრავ შემთხვევას აღწერს. მაგალითად, ივანე ახალციხელის ძის – დავითისა, რომელიც რუსუდან მეფის მიერ მონღოლთა ყაენთან გაგზავნილ საქართველოს ამირსპასალარს – ავაგს ახლდა თან; მესხეთის მთავრის სარგის ციხისჯვარელისა – საქართველოს მეფის – ულუ დავითის გადასარჩენად თავი რომ გაწირა (1264). მსგავს თავდადებათა რიცხვს მიეკუთვნება წმიდა ცოტნე დადიანის სახელოვანი გმირობაც (1246 წ.).

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, მონღოლთა შემოსვლისას, მართალია, საქართველოს მთავრობამ უსუსურობის გამო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოახერხა, მაგრამ ერმა თავისი შინაგანი მაღალსულიერებით საქართველოს გადარჩენა და მონღოლთა ბატონობის უღლის გადაგდება შედარებით მოკლე დროში შეძლო. მონღოლები აღმოსავლეთ საქართველოში 100 წელი ბატონობდნენ (რუსეთში – 300 წელი), თანაც დასავლეთ საქართველო და უპყრობელი დარჩათ. რაც მთავარია, არ მოხდა მონღოლ-ქართველთა ურთიერთშერევა და ქართველობა უცხო ხალხში არ ასიმილირდა, მაშინ, როცა სხვა ერებს მონღოლებმა თავიანთი ეთნიკური სახე მისცეს.

ერთგულება და სიყვარული ძველქართული თვისებაა, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ქართველებისათვის არც ერთმანეთისადმი შური და მტრობა ყოფილა უცხო, შურდათ განსაკუთრებით გამორჩეული ადამიანებისა. შური მტრობას ბადებდა, რაც გამოჩენილ ქართველებს ერთმანეთს აშორებდა. ქართველთა ეს თვისება მონღოლებსაც შეუმჩნევიათ – „თქვენ, ქართველნი, არა კეთილს უყოფთ მხნედ მბრძოლთა წყობათა შინა“. ამ ნაკლს თვითონ ქართველებიც კარგად გრძნობდნენ: „ჩვენ ურთიერთს დაუმორჩილებელ ვართ“.

ჩანს, ეს თვისებაც იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მონღოლებთან საბრძოლველად ერთიანი ქართული ფრონტი ვერ შეიკრა, ქართველი წარჩინებულები ვერ გაერთიანდნენ მონღოლების წინააღმდეგ, თუმცა ცალ-ცალკე ძალ ზემნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ.

საქართველოს განადგურებას, შინააშლილობის გარდა, ხელი მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც შეუწყო. იგი ერთმანეთისადმი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ ორ ურდოს შორის (ჩრდ. და სამხრ. ურდოები) აღმოჩნდა. კავკასიონის გადმოსასვლელელები, დარიალისა და, ნაწილობრივ, დარუბანდის კარები ქართველთა ხელში იყო, ამიტომაც ურდოთა შორის ატეხილი ქიშპით პირველ რიგში სწორედ ქართველები ზარალდებოდნენ.

ასეთ სასტიკ დროს ქართული სამღვდელეობა არათუ საქართველოში იცავდა ქრისტიანობას, არამედ მის ფარგლებს გარეთაც კი ავრცელებდა. ქართველი მისიონერები წმიდა სახარებას კავკასიის მთიანეთში – დაღესტანში ქადაგებდნენ. ასუები იყვნენ პიმენ სალოსი გარეჯიდან და ანტონ ნაოხრებელის ძე, მესხეთიდან.

XIV საუკუნე

XIV ს-ის დასაწყისში გამოეფა გიორგი ბრწყინვალე. მან თავისი სკიატრის ქვეშ მთელი დასავლეთი, სამხრეთი (მესხეთი) და აღმოსავლეთი საქართველო შემოიკრიბა.

პირველ რიგში მან მესხეთი (სამცხე-კლარჯეთი) შემოიმტკიცა (მონღოლთა თანხმობით). შემდეგ ქვეყნის საზღვრებიდან ოსები გააძევა, რომელთაც ადგილ-ადგილ დაბები და ციხეები ეჭირათ. ამ დროისათვის, ჩანს, ოსებს მონღოლებისაგან ზურგი ისე აღარ ჰქონდათ გამაგრებული, როგორც წინა მეფეების დროს. მონღოლი ხელისუფალნი გიორგი მეფისადმი კარგად იყვნენ განწყობილნი. მეფემ კავკასიის უღელტეხილებიც თვითონ დაიჭირა და კავკასიაში ყოველი მოწინააღმდეგე შემუსრა. ამით ოსებს ქართლში შემოსასვლელი გზები მოეჭრა და ქვეყანამ მათგან მოსვენა. ოსების ქართლიდან გაძევება მონღოლთა ბატონობის გადაგდების ნიშანიც იყო. მალე თვით მონღოლ ხელისუფალთა შორის სასტიკი ომები დაიწყო, მათი სახელმწიფოს ერთობა მოისპო და ქვეყანა თითქმის დაიშალა. ამით სასწრაფოდ ისარგებლა მეფე გიორგიმ და საქართველო მონღოლთა ბატონობისაგან გაათავისუფლა. ეს ფაქტი საქართველოს სახელმწიფოს ძლიერებაზეც მიუთითებს, რადგან სხვა ქვეყნებში მონღოლები ამის შემდეგაც კვლავ დიდ ხანს ბატონობდნენ.

მეფემ საქართველოს აღდგენა ძველ საზღვრებში – ნიკოფსიიდან დარუბანამდე ინება. მან ჯერ დარუბანდის მიმართულებით შემოიმტკიცა რანი, რის შემდეგ დასავლეთ საქართველოს შემოიმტკიცება გადაწყვიტა.

მან დაშლილი საქართველო კვლავ გააერთიანა და მსგავსად დავით აღმაშენებლისა, ადავსოიგი და ალაშენა, დანგრეული და მოხრებული ეკლესიები განაახლა და განანათლა. რანი, მოვაკანი, შარვანი თავის მოხარკეებად აქცია. ყველა მტერი, სადაც უმჯობესი იყო ბრძოლით და ძალით, ხოლო სადაც სჯობდა, სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერებით დაიმორჩილა და დაამშვიდა.

გიორგი ბრწყინვალეს უყურადღებოდ არც საეკლესიო საქმეები დაუტოვებია. მან შეკრიბა ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსები, ეპისკოპოსები სრულიად საქართველოსი და შესაბამისი დადგენილება მაღლებინა. კრების მონაწილეებმა „განაახლეს წესნი... და უწესურნი განჰკვეთეს“. მან საქართველოს ფარგლებს გარეთაც განამტკიცა ქართული ეკლესიის უფლებები, კერძოდ – იერუსალიმში.

ამ დროს იერუსალიმისა და მახლობელი აღმოსავლეთის წმიდა ადგილებს ეგვიპტის სულთნები ფლობდნენ. არადა, უკვე XII ს-დან მთავარი სალოცავი ადგილები ქართველებს ჰქონდათ დაკავებული. დავით აღმაშენებელმა სინას მთის ის მწვერვალიც დაიკავა, სადაც ძველი ალექსის თანახმად მოსეს ღმერთი გამოეცხადა.

საქართველოს პოლიტიკური ძლიერების შერყევითანავე ქართველების მდგომარეობა პალესტინაშიც შეირყა. იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან (რომელიც პროხორეს თაოსნობით იყო აგებული) ქართველი ბერები XIII ს-ის 60-70-იან წლებში მაჰმადიანებმა გააძევეს და ტაძარი მიზგითად აქციეს. როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, ქართველებმა 1305 წლისათვის, მართალია, „სარკინოხთაგან“ (მამლუქებისაგან) ჯვრის მონასტრის გათავისუფლება შეძლეს, მაგრამ საზრუნავი ბევრი რჩებოდა. მაგალითად, ქრისტეს „აღდგომის ეკლესია“, „გოლგოთა“ და ქრისტეს „საფლავი“ (ერთი სამონასტრო კომპლექსია) კვლავ ეგვიპტელებს ეპყრათ.

გიორგი მეფეს ორჯერ გაუგზავნია ელჩები ეგვიპტის სულთანთან 1316 და 1320 წლებში. დიდი ძღვენით ეახლა პიპაის სულთანს, სულთანმა სიხარულით მიიღო ძღვენი და „მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი“.

1331-41 წლებში იერუსალიმში მყოფი უცხოელი მოგზაური აღნიშნავს: ქრისტეს საფლავის სალოცავის გასაღები ქართველების ხელშია და კენჭსაც არავის აძლევენ ამ საფლავიდანო.

ქრისტეს საფლავის გასაღები ქართველთა ხელში XV ს-ის შუა წლებამდე ყოფილა, სანამ მათ იგი ფრანცისკანელებმა არ ჩამოართვეს.

XIV ს-ში მონასტრებში კვლავ გაჩაღებულია შემოქმედებითი მუშაობა. ამ დროს შეიქმნა ორიგინალური ქართული თხზულებანი – ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალის მარტვილობანი, შედგა კრებულები, შეგროვილ იქნა ხელნაწერები.

XIV ს-ში ქართველებს პეტრიწონის მონასტერიც მტკიცედ ეპყრათ. იმ დროს იქვე კიდევ ქართულენოვანი სასწავლებელი – სემინარია არსებობდა.

გიორგი ბრწყინვალე იღვწოდა, რათა კვლავ აღედგინა საქართველოს სახელმწიფოს გავლენა ტრაპიზონის საკეისროში და წარმატებითაც.

გიორგი ბრწყინვალე „კეთილი მეფობით მეფობდა“ 28 წელი. იგი თბილისში გარდაიცვალა 1346 წელს.

თემურ-ლენგის შემოსევამდე საქართველო შედარებით მშვიდად და დაწყნარებით ცხოვრობდა. ქვეყანა ერთიანი და თავისუფალი იყო. ქართული სახელმწიფო ფაქტობრივად მთელ ამიერკავკასიას მოიცავდა.

ასე იყო არა მარტო გიორგი ბრწყინვალეს დროს, არამედ მისი მემკვიდრეების, საქართველოს მეფეების – დავით IX-ისა (1346-1360) და ბაგრატ V-ის დროსაც. სწორედ ბაგრატ V-ის სამეფოს შემოქმედია თემურ-ლენგი.

თემურ-ლენგმა ხანგრძლივი დაპყრობითი ომების შედეგად უზარმაზარი სახელმწიფო შექმნა, რომელიც აღმოსავლეთით ჩინეთის დიდ კედლამდე იყო გადაჭიმული, ჩრდილოეთით – ცენტრალურ რუსეთამდე, დასავლეთით ხმელთაშუა ზღვამდე და ეგვიპტემდე.

მართალია, საქართველოს თითქმის მთელი კავკასია თავისი კონტროლის ქვეშ ჰყავდა მოქცეული, მაგრამ ის თემურის სახელმწიფოსთან შედარებით მაინც

უმნიშვნელო იყო. მოუხედავად ამისა, თემურ ლენგს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა გაუჭირდა და მისი დაპყრობა ფაქტიურად ვერც შეძლო, თუმცა კი სასტიკად გაანადგურა. საბოლოოდ მრავალწლიანი ომი ამ ორ სახელმწიფოს შორის ზავით დამთავრდა.

1386-1403 წლებში თემურ-ლენგის საქართველოს 8-ჯერ შემოესია. მის წინააღმდეგ ქართველები არა მარტო თავდაცვით ომს აწარმოებდნენ, არამედ ზოგჯერ მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებშიც იჭრებოდნენ და თემურის მტრებს დახმარებას უწევდნენ (ალანჯის ციხის აღება, ნახიჭევანის სანახების დარბევა, იქიდან გამოქცეული თემურის მოსის ხლე უფლისწულ ტაჰერის დაფარვა). ქართველები თემურ-ლენგის მოსის ხლე ოქროს ურდოს კავკასიის კარებს უხსნიდნენ.

თემურის ლაშქრობის შემდეგ საქართველომ შეძლო თავისი სახელმწიფოებრივი ერთიანობა, ქრისტიანობა და ეროვნული კულტურა ძველებურად დაეცვა, მაგრამ ჩრდილო კავკასიური ტომები მისგან უკვე არა მხოლოდ მოწყვეტილნი, არამედ უფრო მეტიც, დაპირსპირებულნი იყვნენ, რამაც მომდევნო საუკუნეებში საქართველოს ძლიერების დამხობას დიდად შეუწყო ხელი. თემურ ლენგამდეც, ირანელი ილხანების მონღოლური სახელმწიფოც მუდამ ცდილობდა თავისი კონტროლის ქვეშ მოექცია კავკასიის გადმოსასვლელები და ამით თავისი უპირველესი მტრის – ოქროს ურდოსთვის ირანში და ამიერკავკასიაში შემოჭრის შესაძლებლობა მოესპო. თავის მხრივ, ზოგიერთი ქართველი ხელმწიფე ოქროს ურდოსთან კავშირით ილხანთა მოგერიებას ცდილობდა. ოქროს ურდოსთან დაკავშირებით თავისი პოლიტიკა საქართველოს არც თემურ-ლენგის დროს შეუცვლია. ამიტომაც, თემური, მსგავსად ძველი ირანელი პოლიტიკოსებისა, შეეცადა კავკასიელი ტომები მაჰმადიანობის გავრცელებით დაემორჩილებინა. ამით, ფაქტიურად უკვე XV ს-ის დასაწყისშივე შეიქმნა საქართველოს გარშემო მუსულმანური გარემოცვის რკალი, რამაც დასრულებული სახე ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მიიღო.

თემურ-ლენგმა კარგად იცოდა, რომ ძალა, რომელიც აერთიანებდა, იცავდა და მტრის წინააღმდეგ მედგრად აბრძოლებდა საქართველოს, ქრისტიანობა იყო, ამიტომაც ის ყოველი ღონით ცდილობდა ქრისტიანობის აღმოფხვრას და მაჰმადიანობის გავრცელებას, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. თემურ-ლენგმა მრავალსაეკლესიო განძი გაზიდა საქართველოდან, მათ შორის უმთავრესი – წიგნები. სადაც კი შეეძლო, ეკლესია-მონასტრებს ყველგან ანგრევდა, ხოლო ქრისტიან მოსახლეობას არ ინდობდა. მიუხედავად ამისა, ქართველი ქრისტიანებისასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ თემურს. მას უჭირდა ქართველთა წინააღმდეგ ომი. ეს მის ისტორიკოსსაც კი აღუნიშნავს – საქართველოში ომი ადვილი არ იყო – ამ ქვეყანაში თვით ალექსანდრე მაკედონელმაც სირცხვილი ჭამა – თემურმა კი გამარჯვება მოიპოვაო – დაუკვეხნია მას.

ქვათახევის მონასტერში თემურ-ლენგის ჯარისკაცებმა ცოცხლად დაწვეს ქართველი ქრისტიანები, სამღვდლოება, ბერ-მონაზვნები. წინასწარ მათ ქრისტიანობის უარყოფა შესთავაზეს, მაგრამ უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, სასტიკად აწამეს, შემდეგ კი ხელფეხშეკრულნი დაუწვავთ წმიდა დიდმოწამენი. ამ დროს ისინი გალობდნენ. ქვათახევის ღმრთისმშობლის მონასტრის კედლებსა და იატაკს დიდხანს აჩნდა დამწვარი წმიდანების ნეშტთა კვალი.

XV საუკუნე

1403 წელს თემურ-ლენგმა ზავი დადო საქართველოს მეფესთან. მტერი იძულებული გახდა ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობა ეცნო. 1405 წელს თემურ-ლენგი გარდაიცვალა. მტრის ურდოების წასვლისთანავე მეფე გიორგი VII-მ ქვეყანა არათუ გაწმინდა მომხდურთა ნაშთებისაგან, არამედ სამხედრო მოქმედება ქვეყნის გარეთ გადაიტანა. ილაშქრა ნახიჭევანსა და განჯაში, ანსა და არზრუმში. 1407 წელს გიორგი მეფე ბრძოლის ველზე დაიღუპა. ტახტზე მისი ძმა კონსტანტინე ავიდა, რომელიც ასევე ბრძოლის ველზე მოკლეს – შირვანში. მის შემდეგ მისი ძე ალექსანდრე გამეფდა, დიდად წოდებული.

ალექსანდრე მეფეს (1412-1442 წწ.) სრულიად საქართველო ემორჩილებოდა, თუმცა კი თემურ-ლენგის შემდგომად საქართველოს მიწა-წყალი შემცირებული იყო. შეცვლილი იყო ეთნიკური გარემოცვაც. საქართველოს მეზობლად ახლა უკვე თურქები, ანდა გათურქებული მოსახლეობა ცხოვრობდა. მოსახლეობის გათურქებას ხელს უწყობდა ისიც, რომ ამ დროისთვის თვით მონღოლთა გათურქების პროცესიც მიმდინარეობდა, მონღოლები კი ქვეყნის მპყრობელები იყვნენ. ამის გამო საქართველოს სამეფოს მიწა-წყალი აღმოსავლეთის მიმართულებით შემცირდა. ასეთივე მდგომარეობა იყო სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებითაც, კერძოდ, საქართველოს შემადგენლობაში არა თუ ანისი აღარ შედიოდა, არამედ ლორეც კი მაჰმადიანთა მიერ ყოფილა მიტაცებული.

ქართული სახელმწიფო და, ცხადია, ქართული ეკლესია ვერ შეურიგდებოდა ქართული მოსახლეობის გამაჰმადიანება-გათურქების პროცესს, განსაკუთრებით კი ლორეს მცხოვრებთა, რომელიც თბილისთან – საქართველოს ცენტრთან ახლოს მდებარეობდა. ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელს, კათალიკოს-პატრიარქ თეოდორეს, მაჰმადიანთა მიერ დაპყრობილი ლორეს ციხის წინააღმდეგ გალაშქრებაში ძალზე მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიუღია. ბრძოლის წინ კათალიკოსი ამხნევებდა და სულიერად

განამტკიცებდა ლაშქარს. „კათალიკოზ თეოდორეს მოქადაგეობას უმოქმედნია და მისი ჩაგონებითა და გამხნევებით აღფრთოვანებულს საქართველოს ჯარს ლორე მტრისათვის წაურთმევია და თვითონ დაუჭერია“ (ივ. ჯავახიშვილი). ეს 1431 წელს მოხდა.

1434-35 წლებში ალექსანდრე მეფეს საქართველოსთვის სივნიეთის მხარე შემოუერთებია 60 000 ქრისტიანი სულით.

სამეფოს ძველი ძლიერების აღდგენას ხელს დიდად უშლიდა ის, რომ მოსახლეობის რიცხვი საქართველოში საერთოდ, და განსაკუთრებით აღმოსავლეთში, ძალზე შემცირდა. ამიტომ მეფე დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის ნაწილს აღმოსავლეთ საქართველოს შეთხელებულ მხარეებში ასახლებდა.

ალექსანდრე მეფე დიდად ზრუნავდა საქართველოს განადგურებული ეკლესია-მონასტრებისა და ციხეების აღდგენისათვის. 1412 წლიდან, გამეფებისთანავე გაუგრძელებია თავისი სულკურთხეული ბებია – რუსას დაწყებული სამუშაოები სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრის აღსადგენად და დაახლოებით 1431 წელს დაუმთავრებია.

ალექსანდრე მეფეს უზრუნია აგრეთვე საბერძნეთში და პალესტინაში მდებარე ქართულ ეკლესია-მონასტრებზეც.

მაშინდელ მსოფლიოში საქართველოს იცნობდნენ, როგორც დიდ ქრისტიანულ ქვეყანას. ცნობილია, რომ სწორედ ამ საუკუნეში შედგა საერთაშორისო ხასიათის საეკლესიო კრება – ფერარა-ფლორენციისა. ეს კრება ვითომდა საეკლესიო გაერთიანებას ისახავდა მიზნად. მასზე, როგორც ამას წესი მოითხოვდა, დიპტიხი იქნა დაცული. სხდომის დარბაზში ერთ მხარეს თანმიმდევრობით დასხეს ჯერ საპატრიარქო ღირსების მქონე მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლები, მათ შემდეგ კი მათზე რანგით დაბლა მდგომნი. საპატრიარქო ეკლესიების რიგში კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის პატრიარქების წარმომადგენლების შემდეგ საქართველოს საპატრიარქო ეკლესიის (საბუთებშია – „საქართველოს მეფის“) წარმომადგენელიც დასვეს, რომელიც იმ დროისთვის მიტროპოლიტი სოფრონი ყოფილა, რომელმაც ამ კრებაზე მტკიცედ დაიცვა მართლმადიდებლობა.

ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ეკლესიის ღირსების გრძნობა იმ დროისათვის ისევე მაღალია, როგორც ეს XI-XII სს-ში იყო.

ალექსანდრეს დროს ქვეყანაში ერთიანობა და მშვიდობა სუფევდა, ხოლო საგარეო პოლიტიკაში ძველებურად აღდგა საქართველოს გავლენა მის მეზობლებზე. მეფეს თავისი სიყვარული ქრისტეს მიმართ იმითაც გამოუმჟღავნებია, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მეფობაზე უარი უთქვამს, ბერად შემდგარა და მონაზვნად აღკვეცილა.

ალექსანდრეს სიცოცხლეშივე გამეფდა მისი ძე ვახტანგ III (1442-1446), ხოლო შემდეგ მისი ძმა – გიორგი VIII (1446-1466). ქვეყანაში გაუთავებელი

შინაფეოდალური ბრძოლები დაიწყო, რასაც, ბუნებრივია, შედეგად საქართველოს პოლიტიკური დაშლა მოჰყვა. 1451 წელს მესხეთში გაათავაგდა ყვარყვარე, რომელიც გეგმაზომიერად შეუდგა საქართველოსაგან მესხეთის ჩამოშორებას, რაშიც მესხეთის სამღვდელეობაც აიყოლია. გიორგი VIII-ს ფაქტიურად აღარ ემორჩილებოდნენ მესხეთის, სამეგრელო-აფხაზეთის, გურიის მთავრები.

1453 წელს ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, 1461 წელს – ტრაპიზონის საეისრო. საქართველო მოექცა მუსულმანურ-თურქულ რკალში და ევროპას მოსწყდა. 1459 წელს სასტიკი შიდა ომი დაიწყო. 1462 წელს ყვარყვარემ მაჰმადიანებიც კი მოიწვია (ირანის მბრძანებელი) მეფე გიორგის წინააღმდეგ და დაამარცხებინა. მალე გიორგი VIII-ს აუჯანყდა იმერეთის ერისთავი ბაგრატიც და დაამარცხა. 1478 წელს ქართლ-იმერეთის ტახტზე ალექსანდრე I-ის შვილიშვილი კონსტანტინე II ავიდა. მას, ცხადია, არაკანონიერად მიაჩნდა კახეთისა და იმერეთის სამეფოების, მესხეთისა და სხვა სამთავროების წარმოქმნა თავისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მაგრამ ამ სახელმწიფოებრივი ერთეულების წარმოქმნა უკვე ფაქტი იყო. ქვეყანა ძალზე დაკნინდა.

ქართველი ერის ისტორიას ვერ გავიაზრებთ ქართული ეკლესიის მონაწილეობის გარეშე და პირიქით, ისტორია ქართული ეკლესიისა არის ისტორია ქართველი ქრისტიანი ერისა.

მართალია, ქართველ ხალხს ეროვნული ერთიანობის შეგნება უკვე ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე ჰქონდა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ყოველმა ქართველმა ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო და შეიყვარა, ერის ისტორია ქართული ეკლესიის ისტორიის გარეშე წარმოუდგენელია.

ამიტომაც, საეკლესიოდაყოფას მოჰყვა არა მარტო სარწმუნოების დაცემა, არამედ გამოყოფილ ნაწილში ეროვნული გადაგვარებაც.

XV ს-ის ბოლოს ქართველ მეფე-მთავრებს შორის ამტყვადარ შინა ომებში მესხეთის მთავარი განსაკუთრებულ სეპარატიზმს იჩენდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, „ყვარყვარე ათაბაგი იმდენად დაბრმავებული ყოფილა ამ მტრობით და განკერძოებისთვის ბრძოლით, რომ უთანხმოება საეკლესიო სფეროშიც გადაუტანია... მესხეთის საკათალიკოზო საყდრისაგან ჩამოშორება და სრული დამოუკიდებლობის მოპოვება სურდა“...

საოცარი ისაა, რომ ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოები ხელ შეწყობის ნაცვლად ყოველნაირად ცდილობდნენ დაეშალათ ერთიანი ქართული ეკლესია, რათა შემდეგ წილი მათაც რგებოდათ. ყოველგვარი საეკლესიო კანონების დარღვევით, წმ. მსოფლიო კრებებზე მიღებული კანონების არად ჩაგდებით, რომელნიც ამგვარ მოქმედებას კრძალავდნენ, ისინი იჭრებოდნენ საქართველოს საეკლესიო საეპისკოპოსოებში და წმ. ნინოს ღვაწლით საუფლო კვართზე დაფუძნებულ წმ. ანდრეას სამოციქულო საყდარს არღვევდნენ. ყოველივე ამან თავისი შედეგი გამოიღო – ქვეყნის ამ ნაწილში (მესხეთში)

ქრისტიანობის ავტორიტეტი დაეცა, ამან კი ლოგიკურად მაჰმადიანობის მიმართ წინააღმდეგობა შეამცირა.

ერის, ან მისი რომელიმე ნაწილის სულიერ ცხოვრებასა და ფიზიკურ არსებობას შორის ღრმა ურთიერთკავშირის დასტურად აწყურის სასწაულთმოქმედი ხატის ისტორია გავისხენოთ.

ცნობილია, რომ ანდრია მოციქულმა საქართველოში შემოსვლისას ღმრთისმშობლის ხატი ჩამოაბრძანა. მოციქულმა წმ. ხატი აწყურში დააბრძანა, სადაც იგი XV ს-მდე ესვენა.

ბიზანტიაში ხატმებრძოლობის ერესის მძვინვარების დროს საქართველოში ხატთა თავყანისცემა არა თუ არ შემცირებულა, პირიქით, გაძლიერებულა კიდევ.

აწყურის სასწაულთმოქმედი ხატი უდიდესი სიწმიდე იყო და მას ისევე, როგორც ღმრთისმშობლის სხვა ხატებს საქართველოში, უხვად ამკობდნენ ძვირფასი ქვებით, თვალმარგალიტით, ხოლო საქართველოს მეფენი მდიდარ შესაწირავებს უძღვნიდნენ.

1477 წელს საქართველოს ირანის მბრძანებელი შემოესია. სამცხეში შეჭრილმა აწყურის ხატი გაიტაცა და, ცხადია, გაძარცვა. მაგრამ იმ მხარეს, სადაც იგი მიასვენეს, ღმრთის რისხვა დაატყდა თავს, ამიტომაც ხატი სამცხეში დააბრუნეს.

1486 წელს სამცხეს იაკუბ ყაენი შემოესია. აწყურის წმიდა და დიდებული ხატი ეკლესიიდან ციხე-სიმაგრის „საჭურჭლეში“ გადაასვენეს მაწყვერელმა ეპისკოპოსმა და ციხიონმა. იმ პირობით, რომ მტერი აწყურის ტაძარს არ დაარღვევდა, ციხე მტერს უბრძოლველად ჩააბარეს, მაგრამ მომხდურებმა პირობა გატეხეს, ხოლო ხატი ყოვლადწმიდისა დაატყვევეს, გაძარცვეს და მიჰგვარეს უსჯულო მთავარს. მან ცეცხლში ჩააგდო იგი, მაგრამ ცეცხლი დაიშრიტა, ხოლო ხატი უვნებლად დარჩა. ეს რომ იხილა ერთმა ქრისტიანმა, მაგრამ არამართლმადიდებელმა – ხატი თავის ქვეყანაში წაასვენა. გამოეცხადა მას ყოვლადწმიდა და უთხრა: „უკეთუ არა წამიყვანო ქვეყანასა ჩემსა, დიდი ბოროტი მოვაწიო შენზედა“.

ხატი დააბრუნეს აწყურში, მემატიანის გადმოცემით წმ. ხატმა იაკუბ ყაენს, რომელიც მას მახვალთი შეეხო, საშინელი რისხვა დაატეხა, მთელი მისი ნათესაობა დასახლობა ამოწყდა.

1546 წელს აწყურის წმ. ხატი აწყურიდან ციხისჯვარში გადაუსვენებია იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს, ხოლო 1553 წელს ციხისჯვარიდან იმერეთში გადაუბრძანებიათ და იგი ბაგრატ III-ის ძის, გიორგი II-ის (იმერეთის მეფის) ხელში მოხვედრილა. „ბილწითა ხელითა“ მრავალგზის გაძარცული ხატი გიორგიმ ახლად მოაჭედინა.

აწყურის ღმრთისმშობლის მიერ მესხეთის დატოვების შემდეგ სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობა ძირითადად გამაჰმადიანდა-გათათრდა და დაეკარგა

ქართველ ერს. წმ. ხატი იქ ქრისტიანობასა და ქართველობას იცავდა. ის ამჟამად ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

მაშინ მესხეთის ათაბაგებმა, მიუხედავად ძლიერი მოწადინებისა, მესხეთის ეკლესიის ჩამოშორება საქართველოს დედა ეკლესიისაგან ვერ შეძლეს. მართალია, ქართულმა დედა ეკლესიამ ამ ცხარე ომში გაიმარჯვა, მაგრამ საბოლოო ჯამში ქრისტიანობა დაკნინდა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ დღეს მესხეთში აწყურის ოდესღაც ცნობილი კათედრალის ნანგრევებია დგას, ხოლო მისი ძველი, ყოფილი სამწყსო ძირითადად თურქულ-თათრულ მასაშია ასიმილირებული და განხეული.

XV ს-ის 70-იან წლებში საქართველოში ჩამოსულა ანტიოქიელი-იერუსალიმელი პატრიარქი მიქაელი, რომელსაც დაუწერია „მცნებაჲ სასჯულოდ“, სადაც ამბობს, რომ წინათ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსნი ანტიოქიის პატრიარქისგან იკურთხებოდნენ, რაც, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება სინამდვილეს.

ყოველივე ეს იმისთვის სჭირდებოდა, რომ თვითონ ეკურთხებინა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ახალი მეთაური და ამით დასავლეთ საქართველოს ეკლესია ერთიანი დედა-ეკლესიისათვის ჩამოეშორებინა. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო დამოუკიდებლობა იმერეთის იმდროინდელ მეფეს, ბაგრატსაც სურდა.

XV ს-ის მიწურულსა და XVI ს-ის დასაწყისში ყოველად გაუგონარი ამბავი მოხდა – ქართული ეკლესიის წიაღში წარმოიშვა სეპარატიზმი. საბედნიეროდ, ეს არ იყო სარწმუნოებრივი განხეთქილება. ერესი და სექტანტობა უცხო იყო ქართველი ქრისტიანებისათვის. სეპარატიზმი იმაში გამოიხატა, რომ საქართველოს ეკლესიის სამოციქულო საყდრისგან ადმინისტრაციული განდგომა დააპირა მესხეთის ეკლესიამ, ხოლო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ზოგიერთმა იერარქმა, სამოციქულო ღირსების, მცხეთიდან – თავიანთ ეპარქიებში გადატანის სურვილი გამოამჟღავნა.

ეკლესიის დაშლის შემდეგაც დასავლეთ საქართველოსა და მესხეთის ეკლესიებში წირვა-ლოცვა და ყოველგვარი საეკლესიო ადათი თუ ჩვევა ძველებურადვე ქართულ რჩებოდა. მხოლოდ ეს იყო, რომ წირვისა და ლოცვის დროს სრულიად საქართველოს მეფისა და კათალიკოს-პატრიარქის სახელებს აღარ მოიხსენიებდნენ. ამ დიდ ცოდვაში უდიდესი წვლილი მესხეთის ათაბაგების უგუნურ სარწმუნოებრივ და ეროვნულ პოლიტიკას მიუძღვოდა.

სეპარატიზმის იდეა ეკლესიის წიაღში არ ჩასახულა, ეს იყო შედეგი ეკლესიაზე უხეში ზემოქმედებისა საერო ხელისუფალთა მიერ. არც ამ დაუმორჩილებლობას მოჰყოლია კარგი შედეგი. საბოლოოდ მთელი ქართველი ერი დაზარალდა. მას მესხების უდიდესი ნაწილი ჩამოშორდა. აქ გზა გაეხსნა უცხო რელიგიებსა და ეკლესიებს, რასაც შედეგად სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის გამაჰმადიანება (გათათრება), გაკათოლიკება (გაფრანგება),

გამონოფიზიტება (გასომხება) მოჰყვა, ხოლო დარჩენილი მართლმადიდებლები კონსტანტინოპოლის ბერძნული საპატრიარქოს ხელში მოექცნენ, რამაც მათში „ბერძნული“ ეროვნული თვითშეგნება დაბადა – ისინი გაბერძნდნენ. ვერც დასავლეთ საქართველოს ეკლესიამ შეძლო თავისი მრევლის პატრონობა ისე, როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა, ამის გამო აქაც ქრისტიანთა ერთი ნაწილი გამაჰმადიანდა (ქვემო გურია-ბათუმი-ქობულეთი, აჭარის მხარე), ხოლო მეორე ნაწილი (აფხაზეთი) კი შემოხიზნულ მთიელ წარმართებში (ჩერქეზ-აფსუა-ადილე) აირია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებამდე (1801-1810 წწ.) „სომხების“, ისევე როგორც „ფრანგების“ და „ბერძნების“ დიდი ნაწილის დედა-ენა კვლავინდებურად ქართული იყო, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ მათი ქართველობა არ აღიარა, რის შედეგადაც მათში ყოველგვარი ნაშთი ქართველობისა საბოლოოდ აღმოიფხვრა.

ასე რომ, ყოველი ქართველი, რომელიც განუდგა დედა ეკლესიას – განშორდა თავის ერსაც და გადაგვარდა, უცხო ერებში ასიმილირდა.

XVI საუკუნე

XV ს-ის მიწურულს ერთიანი საქართველოს სამეფო სამად გაიყო. ერთი მეფე დაჯდა იმერეთს (ალექსანდრე ბაგრატიის ძე), მეორე კახეთს (ალექსანდრე გიორგი VIII-ის ძე), ხოლო ქართლში კონსტანტინე II (ალექსანდრე I-ის შვილიშვილი) გაძევდა.

მუდმივი შინაშფოთი იყო საქართველოში. ყველა მეფე ცალ-ცალკე საქართველოს გაერთიანებისთვის იბრძოდა და დანარჩენთ ებრძოდა. ისინი თავიანთ თავს სრულიად საქართველოს მეფეებს უწოდებდნენ.

თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ გარეშე მტრებმა შემოტევები შეანელეს, ქვეყანამ ამოისუნთქა, დაწყნარდა. მხოლოდ მმართველი ფენები ვერ ისვენებდნენ, მუდამ ეომებოდნენ ერთმანეთს.

ზმალი, გუთანი და სარწმუნოება ძველებურადვე ასულდგმულებდა ჩვენებურ კაცს, მაგრამ დიდი იდეალები უკვე აღარ იყო. ქვეყანა სულიერად მოეშვა, მოითენთა.

საქართველო კახეთის, ქართლის, იმერეთის სამეფოებად, დადიანის, გურიელის, ათაბაგის სამთავროებადაა დაშლილი და, ამავე დროს, კიდევ უფრო მეტი დაშლის ტენდენციებიც აშკარად იკვეთება, სწორედ ეს დაშლილი ნაწილები ეურჩებიან, მტრობენ და არბევენ ერთმანეთს, ზოგადად კი საქართველო ვრცლადაა გადაჭიმული. კახეთის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი კასპიის ზღვიდან სულ 200-მდე კილომეტრითაა დაშორებული და შაქთან გადის;

სამხრეთით – ქართლის საზღვარი სევანის ტბამდე აღწევს, ათაბაგების სამთავროს კი – ვალაშკერტთან და არზრუმთან; გურია – ჭანეთის მოიცავს, ხოლო დასავლეთით იმერეთსა და სადადიანოს შავი ზღვა და ჯიქეთის ქვეყანა ესაზღვრება.

XV-XVI სს-ში საქართველო, განსაკუთრებით კახეთი, სავსე და მძლარი ქვეყანა იყო.

„უჩემოდ ვით იმღერეთაო,“ – კითხულობდნენ ქვეყნიერებაზე ახლად მოვლენილი თავადები (აქამდე საქართველოში არც ბატონყმობა იყო და არც თავადები).

ქართველებთან ომი და, მით უმეტეს, მათი დამორჩილება არც ისე ადვილი იყო. მათ ერთი პირი და ერთიანი სახელმწიფო რომ ჰქონოდათ, ვერც თურქეთი და ვერც სპარსეთი ვერარას დააკლებდნენ, თუმცა არც დაშლილსაქართველოსთან უადვილდებოდათ ომი.

ქართველთა სულისკვეთება და თავგანწირვა კარგად ჩანს მეფე სვიმონის ერთ წერილში: „გონებ, თქვენც შეიტყობდით, რაოდენი შეწუხება და ტანჯვა გამოვიარეთ, მაგრამ გული მაინც არ გავიტეხეთ. ჩემს თავს გავწირავ ერთიანად და აგრეთვე ჩემს ქორთა შვილსაც, დავღვრი ჩემს სისხლსა ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე ჯვარცმულის იესო ქრისტეს და ღვთის სიყვარულისათვის, ვიდრე პირში სული მიდგია, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზე, არასოდეს უქმად ვყოფ იმ დაუფასებელ სისხლსა, რომელიც იესო ქრისტემ დაღვრა ჩემთვის“ ... ამ ნაწყვეტიდან კარგად ჩანს, თუ რატომ ვერ გააუქმა ევროპაში გაჭრილმა თურქეთმა არა თუ სრულიდ საქართველოს სახელმწიფოებრიობა, არამედ დასავლეთ საქართველოსიც კი, თუმცა ქართულ მიწა-წყალს თითქმის ერთი მესამედ ნაწილი – საათაბაგო მოჰკლიჯა და გაათათრა.

მართალია, საქართველოს სამეფოს ასუსტებდა სამთავროების ერთმანეთთან ბრძოლა, მაგრამ, როცა ერთად შეიკრიბებოდნენ, ზოგადქართული სამხედრო ძალა საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. ამით უსარგებელია თურქეთის სულთანს და, ქართულ წყაროთა თანახმად, საქართველოს მეფეები მიუგზავნიან იერუსალიმის ასაღებად. როგორც წყაროებიდან ჩანს, XVI ს-ში ქართველებს მაგრად მოუყიდებიათ ფეხი იერუსალიმში.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ, მართალია, ქართველები მამაცი მებრძოლები იყვნენ და ხმალიც უჭრიდათ, მაგრამ გონიერებაზე წინ ემოციებს აყენებდნენ. პატივმოყვარეობას არასოდეს ივიწყებდნენ, მაშინაც კი, როცა ეს საერთო საქმისათვის საზიანო იყო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დაიშალა და წარმოიქმნა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულები: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები, გურიის, სამეგრელოს, სამცხის, სვანეთის სამთავროები, პასუხისმგებლობა ეთნიკური ერთობის წინაშე მოსახლეობას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა, მაგრამ დაშლის პროცესს

თანსდევდა ერთიან ქართველ ხალხში თემობრიობის აღორძინების პროცესი.

დაშლის დროს ქართველი ერის თანამედროვე ეთნოგენეზები – იმერლობა, ქართლელიობა, კახელობა, მეგრელობა, გურულობა, მესხობა და სხვ. განსაკუთრებით აღორძინდა და ერთიანი სახელმწიფოს დაშლის კვალდაკვალ ჩამოყალიბდა.

ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ კუთხურ-ქართულ სახელმწიფოში მცხოვრებ ქართველობას კუთხურ-თემური თვითშემეცნება უჩნდებოდა. ეროვნული თვითშემეცნება ძალზე დაეცა.

საერთო-ქართული იდეის მატარებლად ეკლესია დარჩა. საეკლესიო თვალსაზრისით საქართველო ერთიან მთლიან ორგანიზმს წარმოადგენდა. ამ დროისათვის ქართულ ეკლესიას უკვე ორი ცენტრი ჰქონდა – მცხეთა და ბიჭვინთა. აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიას ქართლის საკათალიკოსო განაგებდა, დასავლეთისას – აფხაზეთის საკათალიკოსო.

ქართლ-კახეთის სამეფოები ხშირად ერთიანდებოდნენ. ასევე ერთიანდებოდნენ დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთეულებიც. ამ ფაქტს, ალბათ, ქართლის ერთიანი საკათალიკოსოსა და აფხაზეთის ერთიანი საკათალიკოსოს არსებობაც განაპირობებდა.

ეკლესია ხელს უშლიდა ქართველი ერის ტომობრივ დანაწილებას. ის ეროვნული მაკონსოლიდირებელი ძალა იყო.

XVII საუკუნე

XVII ს, შეიძლება ითქვას, უმძიმესი საუკუნე იყო ქართველი ერის ისტორიაში. თუ წინათ მტრები საქართველოს დაპყრობით, ანდა დახარკვით კმაყოფილდებოდნენ, ამ საუკუნეში სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებმა ყველაფერი იღონეს ქართველი ერის გასანადგურებლად. ასეულ ათასობით ქართველი საქართველოშივე დახოცეს, უფრო მეტი სპარსეთში გადაასახლეს. კახეთი გააუკაცრიელეს და მომთაბარე თურქმანული ტომები ჩამოასახლეს. მესხეთში იძულებით გაამაჰმადიანეს (გაათათრეს) მკვიდრი ქართველობა, მოწინააღმდეგენი მოსპეს, ანდა აიძულეს გადასახლებულიყვნენ. დასავლეთ საქართველო კი უჩვეულო ანარქიამ მოიცვა: დაიწყო ტყვეთა სყიდვა. ქართველები თუ არაქართველები მასიურად ატყვევებდნენ ქართველებს და მონებად ჰყიდდნენ. ქართველები აფრიკელთა მსგავსად მონათა ბაზარში იყიდებოდნენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ოსმალეთ-სპარსეთის საზოგადოებრივმა წყობილებამ არა მარტო ქართველები გაიყვანა მონათა ბაზარზე, არამედ სხვა ევროპელი დაპყრობილი ხალხებიც: ბოსნიელები, ალბანელები და სხვ.

ყოველივე ამას თან დაერთო დასუსტებულ და გაუკაცრიელებულ საქართველოში ჩრდილოკავკასიური ტომების ჩასახლება. დაღესტნელები აღმოსავლეთ კახეთში ჩასახლდნენ და, არა მარტო ჩასახლდნენ, არამედ ადგილობრივ ქართველობას ატყვევებდნენ, იმონებდნენ, არბევდნენ და ძარცვავდნენ. შიდა ქართლის მთიანეთში ჩრდილო კავკასიიდან გაოსებული დვალები ჩასახლდნენ. ეგრის-აფხაზეთშიც ჩრდილო კავკასიელები – ადიღეელები, აფსუა-აბაზები, აფსარები, ჩერქეზები დამკვიდრდნენ.

დაპყრობილ საქართველოში ქართველები მიზანმიმართულად იდევნებოდნენ. ცხადია, ასეთ დროს ამუშავდა გადარჩენის ინსტიქტი – ქართველობის ერთი ნაწილი უარყოფდა ეროვნებას, ზოგი თათრდებოდა, ზოგი სომხდებოდა (გრიგორიანული სარწმუნოების ქრისტიანებს სპარსეთ-ოსმალეთი არ სდევნიდა), ზოგი „ფრანგდებოდა“ (კათოლიკეებიც ნაკლებად იდევნებოდნენ). ამის გარდა, ქართველები ლეკდებოდნენ, ოსდებოდნენ, აფხაზდებოდნენ.

საბედნიეროდ, დენაციონალიზაციისა და ეროვნული გადაგვარების საფრთხეს ქართველების დიდი ნაწილი მტკიცედ დაუდგა.

უნდა აღინიშნოს, რომ ერის გადარჩენაში უდიდესი ღვაწლი ქართულ ანუ საქართველოს სამოციქულო ეკლესიას მიუძღვის. საქმე ისაა, რომ მხოლოდ ქრისტიანობის შენარჩუნებით ქართველები ეროვნებას ვერ ინარჩუნებდნენ. მაგალითად, გრიგორიანული ქართველები კვლავ ქრისტიანული სარწმუნოების მატარებელი იყვნენ, მაგრამ თანდათან გასომხდნენ. ძირითადად იგივე ითქმის კათოლიკე ქართველებზეც. ქართველობა მხოლოდ მართლმადიდებლებმა – საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წევრებმა შეინარჩუნეს.

ქართველი ერის ამ საშინელი განსაცდელის დროს, სარწმუნოების შენარჩუნებისას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მაგალითის ძალას. მაღალი ფენის წარმომადგენლები: მეფე-დედოფლები, მთავრები, თავადაზნაურობა და მათი ოჯახის წევრები სამაგალითონი იყვნენ მოსახლეობის დაბალი, მრავალრიცხოვანი ფენებისათვის.

წარჩინებულთა გამაჰმადიანების შემდეგ მესხეთი თითქმის სრულიად გამაჰმადიანდა. მალე სარწმუნოებადაკარგულმა მოსახლეობამ ეროვნებაც – ქართველობა დაკარგა.

ასეთი ვითარების დროს განსაკუთრებით დასაფასებელია კახეთის დედოფლის – ქეთევანის თავდადება სარწმუნოებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ მამული და ერი სულიერ-ხორციელი მოსპობისაგან და სხვა ხალხებში ასიმილაციისაგან წმიდა ქეთევანის, წმიდა მეფის ლუარსაბ II-ის, სხვა წარჩინებულთა, საეკლესიო მოღვაწეთა თუ ერისკაცთა ქრისტესადმი თვითშეწირვამ გადაარჩინა.

XVII ს. გამორჩეულია ქრისტეს მოწამეთა სიმრავლით. ქართულმა ეკლესიამ მხოლოდ ზოგიერთი მათგანის კანონიზირება შეძლო, რადგან დიდი იყო მათი რიცხვი. კანონიზირებულია 1616 წელს დავით გარეჯის უდაბნოში

ამოწყვეტილი 6000 წმ. მოწამე; საქართველოს დიდებული წმ. მეფე ლუარსაბი, ქრისტესათვის წამებული 1622 წელს; დიდმოწამე საქართველოს მნათობი კახეთის დედოფალი წმ. ქეთევანი, ნაწამები 1624 წელს; ცხრა ძმა ხერხეულიძე, დედითა და დით და მათთან ერთად მარაბდის ბრძოლის ველზე 1625 წელს ამოწყვეტილი 9 000 ქართველი; საქართველოს ეკლესიის მეთაური წმ. მამა **ევდემოზ** კათალიკოსი, წამებული 1642 წელს; წმ. ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავები, წამებულნი 1661 წელს; 1696-1700 წლებში გარეჯის მონასტერში ლეკთაგან ამოწყვეტილი ღირსი მამები: შიო ახალი, დავითი და გაბრიელი; მათ გარდა კიდევ მრავალმა დასდო თავი ქრისტესა და სამშობლოსათვის. მათ შორისაა ჩვენი წმ. მამა – თევდორე, 1669 წელს წამებული, წმ. ქეთევანის თანმხლები მღვდელი და უამრავი წმ. მოწამენი, რომელთაც გააბრწყინეს ქართული ეკლესია. ქართველმა ერმა და ქართულმა ეკლესიამ უბედურებისას დიდი სიმტკიცე გამოამჟღავნა.

XVII ს-ის პირველი დედად გაძლიერდა შაჰ-აბასის მმართველობის დროს. შაჰს ძალზე აფრთხობდა და აღიზიანებდა კახეთის სამეფოს კავშირი რუსეთთან და ოსმალეთთან.

1615 წლის 15 სექტემბერს ალავერდობის სადღესასწაულო წირვის შემდეგ კახელები აჯანყდნენ. მალე იმერეთიდან თეიმურაზი ჩამოვიდა და აჯანყებულებს ჩაუდგა სათავეში. აჯანყდა შირვანიც. თეიმურაზმა თვითონ უსარდლა ქართველთა ჯარს, სპარსელებს წინაშე მუდმივად დაუხვდა და რამდენიმე საათში მუსრი გააკლო. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება იხვიეს.

შაჰი საქართველოს ისევ შემოესია და ააოხრა, მაგრამ წავიდა თუ არა, კახელები კვლავ აჯანყდნენ. მართალია, შაჰმა დიდძალი ჯარით აჯანყების ჩახშობა შეძლო, მაგრამ ქართველებმა გული არ გაიტეხეს და მის სისასტიკეს ისევ აჯანყებით უპასუხეს. 1617 წ. შაჰი მეოთხედ შემოიჭრა საქართველოში.

თეიმურაზი არათუ შედრკა, არამედ ყიზილბაშთა წინააღმდეგ დიდ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში და შეეცადა ოსმალთა ჯარის დახმარებით მიეღწია თავისი მიზნისათვის, მაგრამ ოსმალელებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. თეიმურაზმა 1618 წელს რუსეთსაც სთხოვა დახმარება. ოსმალეთთან და რუსეთთან მისი კავშირით გაცოფებულმა შაჰ-აბასმა შური თეიმურაზის ოჯახის წევრებზე იძია. 1620 წელს თეიმურაზის ვაჟები – ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისებინა, რის შედეგადაც უმცროსი გარდაიცვალა, ხოლო უფროსი – ჭკუიდან შეიშალა.

ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, რუსეთის მთავრობა საქართველოში საჭირო დამხმარე ჯარისა და ზარბაზნების ჩამომსხმელი ოსტატების ნაცვლად აგზავნიდა რუს სამღვდლოებას, რომელიც ამრეზით იქცეოდა და ეკლესიებში წირვასაც არ კადრულობდა. თავიანთ სამშობლოში მწვალებლობას მიჩვეულნი ქართულ საეკლესიო ღმრთისმსახურებას ეჭვის თვალით უყურებდნენ.

1624 წელს შაჰ-აბასმა თეიმურაზის დედა – წმ. ქეთევანი – სასტიკად აწამა და მოკლა. ქეთევან დედოფალი ქართულმა ეკლესიამ წმიდანად შერაცხა.

მან თავისი მაგალითით სრულიად საქართველო გამაჰმადიანებაც-
გათათრებისაგან იხსნა.

შაჰ-აბასს განზრახული ჰქონდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის სრულიად
აყრა და სპარსეთში გადასახლება, ხოლო მათ ადგილას სპარსელებს
ჩაასახლებდნენ. ამ მიზნით მან გიორგი სააკაძემ გამოეზავნა უზარმაზარი
ლაშქრით. მაგრამ გიორგი სააკაძემ შეიტყო, რომ ქართლ-კახეთის მოხრებისა
და თავისი მიზნის განხორციელების შემდეგ შაჰს მისი მოკვლა ჰქონდა
განზრახული, ამიტომ იგი დაუკავშირდა ზურაბ ერისთავს და შეითანხმა
აჯანყებულებიყენენ სპარსთა წინააღმდეგ. აჯანყება ქართველთა გამარჯვებით
დამთავრდა. ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი გამარჯვება ქართველი ერის ისტორიაში.
ეს მოხდა 1623 წელს.

შექმნილ სიტუაციაში „უძლეველმა“ შაჰმა თეიმურაზთან შერიგება
გადაწყვიტა. 1631 წელს შაჰმა თეიმურაზი გაერთიანებული ქართლ-კახეთის
მეფედ აღიარა.

თეიმურაზი შიშის ზარს სცემდა მაჰმადიან მმართველებს, ამიტომ მის
მეფობას შაჰიდიდხანს ვერ მოითმენდა. მან საქართველოსკენ კვლავ უზარმაზარი
ჯარი გამოავაზვნა, რომელსაც თეიმურაზის გაძევება და „გურჯისტანის ვალად“
როსტომ-ხანის დასმა ევალებოდა.

1632 წლიდან გაძევებული თეიმურაზის ნაცვლად ქართლის მეფედ
67 წლის როსტომი დაჯდა.

დიდი წინააღმდეგობის გაწევისა და ქართველთა მრავალი აჯანყების
მიუხედავად თეიმურაზმა ვერ შეძლო როსტომის დამარცხება, რადგან ის
ყიზილბაშთა ძალას ეყრდნობოდა. თეიმურაზი კახეთში გადავიდა.

1642 წელს დიდი შეთქმულება მოეწყო როსტომის წინააღმდეგ. მასში
მონაწილეობდა კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე. როსტომმა დაამარცხა
აჯანყებულები, ხოლო კათალიკოსი ციხეში ჩასვა, მცირე ხნის შემდეგ კი
მოაკვლევინა და კოშკიდან გადმოაგდებინა. როსტომმა, რომელიც საქართველოს
ეკლესიის სულს, აზრსა და იდეას ებრძოდა, ჯარები კახეთს შეუსია და დაამარცხა
თეიმურაზი, რომელიც იმერეთში გაიხიზნა. როსტომი ქართლ-კახეთის მეფედ
იქცა.

ბერად აღკვეცილი თეიმურაზი 74 წლისა გარდაიცვალა. უფრო
ადრე გარდაიცვალა როსტომი. მის ადგილზე მუხრანელი ბაგრატიონი –
გამაჰმადიანებული ვახტანგი (შაჰნავაზი) დასვა.

თეიმურაზისა და სხვა ერთგულ შვილთა თავდადებამ ქრისტეს
სარწმუნოებისადმი იმდროს ქვეყანა სრული გადაგვარებისაგან იხსნა. ქართველთა
ორიენტირი კვლავ სარწმუნოება და მამული იყო.

იმჟამად სპარს-ოსმალები გააფთრებით ებრძოდნენ არა ზოგადად
ქრისტიანობას, არამედ საქართველოს სამოციქულო ეკლესიას –
მართლმადიდებლობას. ისინი გრიგორიანებსა და კათოლიკეებს არ ებრძოდნენ,

პირიქით, ქრისტიან სომხებს და მათ საეკლესიო ცენტრებს უპირატესობას ანიჭებდნენ, ხოლო საქართველოს ეკლესიის წევრებს სასტიკად სდევნიდნენ და ავიწროებდნენ. აიძულებდნენ მიეღოთ მაჰმადიანობა, ან, თუ ისევ ქრისტიანებად დარჩებოდნენ, „გასომხებულებიყვნენ“ ან „გაფრანგებულებიყვნენ“.

თუ რატომ ებრძოდა თეიმურაზ მეფე როსტომს და რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველობის შენარჩუნებისათვის თეიმურაზის დაუმორჩილებლობას, ეს როსტომის დახასიათებიდან კარგად ჩანს. ისტორიკოსები წერენ, რომ იგი ქართლში გაბატონდა და მეფედ იქცა უცხო ძალის მეშვეობით, სპარსთა სამხედრო ძალით. როსტომი თავისი ზნე-ჩვეულებებით უფრო სპარსელი იყო, ვიდრე ქართველი. ბერი ევნატაშვილის ცნობით, მაშინ ქართველები გულწრფელნი იყვნენ. როსტომმა წამოიყვანა სპარსეთიდან გათათრებული ქართველები და განაწესა მოხელეებად. გამრავლდა ქართლში ანგარება და სიმდიდრისმოყვარება. ბილწების მოქმედ ქართველებს დიდ პატივს სცემდა და უსმენდა როსტომი, ხოლო სიმართლის მოყვარულთ პირიქით ექცეოდა... ამ დროიდან შემოვიდა ტყვეთა გაყიდვა თავადთა მიერ და გამრავლდა ცოდვა. მოუძღურდა სჯული და საეკლესიო წესი განირყვნა, რადგან აღარ იღვწოდნენ სულისთვის, არამედ მხოლოდ ხორცისათვის ზრუნავდნენ.

ტყვეთა სყიდვა მანამდე ჩვენი ხალხისათვის უცხო იყო. მისიონერთა დაკვირვებითაც ჩანს, რომ სპარსელებსა და თურქებს საქართველოდან ტყვეთა სყიდვა ქრისტიანობისა და ქართველობის აღმოფხვრისათვის ნებავდათ.

ქართველი ხალხი ძალზე მწარედ განიცდიდა ტყვეთა სყიდვას, რომელსაც შედეგად ქრისტიანობის და კარგვაც მოსდევდა. ამ უბედურების ფუძემდებელი აღმოსავლეთში როსტომ-ხანი, ხოლო დასავლეთ საქართველოში – ლევან დადიანი იყო. ამ უსაშინლესი ცოდვის ნიშნების გამოჩენისთანავე საქართველოს ეკლესიამ განგაში ატეხა. მოწვეულ იქნა კრება, რომელმაც ამ ბოროტების ჩამდენი ყველა ადამიანი შეაჩვენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სენს საეკლესიო კრების განჩინებამაც ვერაფერი უშველა.

ქართულ ეკლესიას, ცხადია, არ შეეძლო მშვიდად ეყურებინა ქართველთა სულიერი გადაგვარებისათვის. უთუოდ ამის გამო მოუწყო აჯანყება როსტომს ქართლის კათალიკოსმა ევდემონ დაისამიძემ, რომელსაც სურდა ქართველობისათვის თავდადებული მებრძოლი თეიმურაზი ეხილა ქართლის სამეფო ტახტზე. როსტომმა კათალიკოსი მოაკვლევინა, სამაგიეროდ სამღვდლო პირებს ჯამაგირი განუწესა, ააშენა მცხეთის სვეტიცხოვლის გუმბათი და სხვა ეკლესიებიც, რომლებიც დანგრეული იყო, რათა ხალხის გული მოეგო.

როსტომ მეფემ საფუძველი დაუდო ქართლ-კახეთში ახალი ტიპის სახელმწიფოს. ერთი მხრივ, არ მოშალა ძველი ქართული სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, არ შეცვალა სახელმწიფო მმართველობანი, ძველთაგანვე არსებული ქართული სახელო-თანამდებობანი და თავის თავსაც „მეფეს“ უწოდებდა, მაგრამ მეორე მხრივ, გზა გაუხსნა „ყიზილბაშურ რიგს“, შემოიღო

ყიზილბაშური თანამდებობები. ორსაზა (ორპირი) ხასიათი მისცა მმართველობას. ქვეყანა ირყვნებოდა და მოსახლეობა ეჩვეოდა მაჰმადიანურ წესსა და რიგს, მაჰმადიანურ ჩვეულებებს. თუ ადრე სპარსეთთან უშუალო ბრძოლისას ქართველები ინარჩუნებდნენ მაღალსულიერებას, ქართველობასა და ეროვნული კულტურის სიწმინდეს, მაგრამ ძლიერ ზარალდებოდნენ მატერიალურად, ახლა, მართალია, მატერიალურად აღარ ზარალდებოდნენ, მაგრამ სანაცვლოდ კინდებოდა ქართული კულტურა და სულიერება. ქვეყანა ეროვნულ-სარწმუნოებრივი გადაგვარების გზას დაადგა.

საქართველოს ეკლესია ერთადერთი ეროვნული ბურჯი იყო ქართველობისა, მაჰმადიანურ იმპერიებთან მებრძოლი, ამიტომაც მათთვის მიუღებელი. მაჰმადიანებმა შეძლეს მოესპოთ ბერძნული სახელმწიფო, ამის გამო ბერძნული ეკლესია მათთვის საშიში აღარ იყო, – შეძლეს მოესპოთ სომხური სახელმწიფო, ამის გამო სომხური ეკლესია მათთვის საშიში აღარ იყო, მაგრამ ვერ შეძლეს ქართული სახელმწიფოებრიობის სრული მოსპობა, რომლის სულსა და გულს და მამოძრავებელ ძალას საქართველოს ერთიანი ეკლესია წარმოადგენდა. ამიტომ ებრძოდნენ ისინი საქართველოს ეკლესიას. გარდა ამისა, მათ ბიზანტიისა და სომხეთის დაპყრობის გამო შეძლეს როგორც ბერძნული, ისე სომხური ეკლესიები თავიანთი ზედამხედველობის სფეროში მოექციათ. ორივე ამ ეკლესიას, რომელთაც დიდძალი მრევლი ექვემდებარებოდა მაჰმადიანურ ქვეყნებში, მაჰმადიანი მმართველები მართვა-გამგეობის საქმეშიც იყენებდნენ.

როსტომი, როგორც სპარსი მოხელე, ვალდებული იყო განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა გამოეჩინა სომხური ეკლესიისადმი. მონოფიზიტებისადმი როსტომის გულმოწყალება იმდენად უსაზღვრო იყო, რომ თვით სომხებს იგი სომხად მიუჩნევიათ, ძველი სომეხი დინასტიების ანისელი ბაგრატიონების შთამომავლად. აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი ქართული საზოგადოების მაღალი ნაწილიც სომხოფილური ტენდენციების მატარებლად იქცა.

როსტომის ისტორიკოსი, მის კარზე აღზრდილი და სპარსეთში მოღვაწე ფარსადან გორგიჯანიძე საერთოდ კარგად არ იცნობდა ქართულ ისტორიოგრაფიას, სამაგიეროდ იცნობდა სომხურს და ამიტომაც დაწერა საქართველოს ისტორია, სომხოფილური ტენდენციებით.

ასეთ ვითარებაში ჩააყენა საქართველო და საქართველოს ეკლესია როსტომის „კომპრომისულმა“ ქართულ-სპარსულმა სახელმწიფომ.

თეიმურაზს ემხრობოდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. მისი მეფობა ქართველთა სურვილი იყო.

XVIII საუკუნე

XVIII ს-ის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკურმა დაშლილობამ უკიდურესისაზე მიიღო, რასაც თან სდევდა შინა ომები.

მეფის გავლენა ძლიერ დასუსტდა. თავადები თავიანთ მამულში სრულ ხელმწიფობას იჩემებდნენ.

საქართველოს ერთიანობის აღდგენისათვის მარად იბრძოდნენ გამოჩენილი მოღვაწენი, მაგრამ სპარსეთ-ოსმალეთი თითქმის ყოველსაუკუნეში ანახლებდა 1555 წლის ზავს, რომლის ძალითაც აღმოსავლეთ საქართველო – ირანის, ხოლო დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ვასალურ მხარეებად ითვლებოდა.

ერთიანი სახელმწიფოს დარღვევამ ტომობრიობა და თემობრიობა ააღორძინა. თანდათან ჩამოყალიბდა ქართველი ერის ჯგუფები – ქართლელი, კახელი, იმერელი. იმერეთის სამეფოს გამოეყვნენ ოდიშის, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი პოლიტიკური დაქუცმაცებულობისა, ხალხში აღმოჩნდა ძლიერი ეროვნული თვითშეგნება, რასაც განამტკიცებდა საქართველოს ეკლესია.

აფხაზეთის საკათალიკოსომ, რომელიც XVI ს-ის დასაწყისში დიდ ტერიტორიას მოიცავდა, მოსახლეობის გამაჰმადიანების გამო მისი დიდი ნაწილი დაკარგა ჩრდილოეთით და სამხრეთით.

როგორც ითქვა, ჩრდილოეთიდან ჩამოსახლდნენ ადიღე-ჩერქეზული ხალხები, რომელთაც აფხარებს უწოდებდნენ ძველ საქართველოში. მათ შეძლეს აფხაზთა დაბალი ფენების ასიმილაცია. აფხაზთა მაღალ ფენებს არ დაუკარგავთ ეთნიკური თვითშეგნება. ძველებურადვე ქართულ კულტურულ წრეს მიაკუთვნებდნენ თავიანთ თავს.

ასევე კახეთში ჩამოსახლდნენ ლეკები, ხოლო ქართლში – ოსები, რამაც ქართველთა ასიმილაცია გამოიწვია. მთიდან ჩამოსახლებულთა შორის მაჰმადიანები და წარმართები ჭარბობდნენ, რასაც შედეგად ეკლესია-მონასტრების, საეპისკოპოსოებისა და თვით საკათალიკოსო ტაძრების ქონების დატაცება მოჰყვა. გაუქმდა მრავალი საეპისკოპოსო. მკვიდრი მოსახლეობა – სამწყსო ნადგურდებოდა. მათ ან იტაცებდნენ და მონებად ჰყიდდნენ, ანდა შინაყმებად და მოსამსახურებად აქცევდნენ, რასაც თან სდევდა მათი გაწარმართება და ეროვნული გადაგვარება.

ყოველივე ამის წინააღმდეგ იბრძოდა ქართული ეკლესია. მისი უპირველესი ამოცანა იყო დაეხსნა ქრისტიანები ტყვეობისაგან და დაესახლებინა თავიანთ მამულებში. დახმარებოდა ღარიბს, ობოლს, საცოდავს. აღესრულებინა ქველი საქმე და შეეწყალებინა უქონელი. ყურადღებას აქცევდა აგრეთვე

ხელოსნების, წიგნის გადამწერებისა და მხატვრების ქონებრივ უზრუნველყოფას.

ეკლესიის ქონების ერთი ნაწილი ხმარდებოდა ტაძრების შემკობას და მონასტრებს. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის მამები და მამამთავრები სწირავდნენ პირადი შემოსავლით შექმნილსაც.

თუმცა სულთ ერთიანი ქართული ეკლესია ორ საკათალიკოსოდ იყო გაყოფილი, მათისაღმრთისმსახურო ენა ქართული იყო. წმიდა ნინოს დროიდან XIX ს-მდე საქართველოს ეკლესიაში არ ყოფილა გამოყენებული სხვა ენა.

ვახტანგ VI-მ, თავისისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დაწყებისთანავე, 1705 წელს, მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც ქართლის კათალიკოსად ვახტანგის ძმა – რუსეთიდან ახლად დაბრუნებული დომენტი აკურთხა, რომელიც თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ვახტანგს ენერგიულად შეველოდა სახელმწიფოს საქმეთა მოგვარებაში.

ვახტანგ VI ბაგრატიონთა უმცროს შტოს – მუხრანბატონთა დინასტიას ეკუთვნოდა. მან და მასთან დაახლოებულმა თავდადებულმა ქართველებმა დასახეს საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომის“ გეგმა. „გამოხსნაში“ იგულისხმებოდა მაჰმადიანური ქვეყნებისაგან თავის დაღწევა, ხოლო „აღდგომაში“ – საქართველოს გაერთიანება.

„აღდგომისა და გამოხსნისათვის“ საჭირო იყო ქრისტიანული სახელმწიფოების თანადგომა. ამ პროგრამაზე იყო აგებული ვახტანგ VI-ისა და ქართველი მოღვაწეების საგარეო პოლიტიკა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ევროპულმა, ისე რუსულმა ორიენტაციამ კრაზი განიცადა და, საბედნიეროდ, თვით ქართველთა შორისვე აღმოჩნდა ძალა „აღდგომისა და გამოხსნისათვის“.

XVIII ს-ის დასაწყისში ირანის სახელმწიფოს ძლიერება უკიდურესად დაეცა. დასუსტდა აგრეთვე ოსმალეთიც. მოხდა ისე, რომ ირანის ვასალური ქართლისა და კახეთის სახელმწიფოებიდან სპარსეთში ჩასული ქართველი დიდებულები აქტიურად მონაწილეობდნენ და გარკვეულწილად წარმართავდნენ კიდევ ამ ქვეყნის ცხოვრებას, ხოლო სპარსეთში ქართველთა ჯარი უძლიერესი იყო. ასეთ ვითარებაში თუ ქართველები გაერთიანებას შეძლებდნენ, მათ წინ ვერავინ აღუდგებოდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, გაერთიანება ჭირდა.

ქართველთა მართლმადიდებლობა ოსმალთა და სპარსთა მიერ განიხილებოდა, როგორც მათ საწინააღმდეგოდ მიმართული პოლიტიკური ორიენტაცია. მით უმეტეს მაშინ, როცა მართლმადიდებელი რუსეთის იმპერია კავკასიის მთავრეხილს მოადგა და ქართლ-კახეთის მეფეები ერთმორწმუნეობის გამო რუსეთს კავკასიის კარის გაღებას შეჰპირდნენ.

როგორც ითქვა, ამ მიზეზების გამო მაჰმადიანები არც ერთ ქრისტიანულ აღმსარებლობას ისე არ სდევნიდნენ კავკასიაში, როგორც ქართველთა

მართლმადიდებლობას. ისინი ავიწროებდნენ მართლმადიდებელ ქართველებს და აიძულებდნენ მათ შეეცვალოთ სარწმუნოება, მაჰმადიანობა, კათოლიკობა ან მონოფიზიტობა მიეღოთ, რაც ქართველთა დენაციონალიზაციას იწვევდა.

1713 წელს მომზადდა ელჩობა ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის მეთაურობით, რომელსაც მიზნად დასახული ჰქონდა:

1. ქართლის ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობა იურიდიულად უნდა ეცნო ირანს, რაც ვახტანგ VI-ის, როგორც ქრისტიანი მეფის, ირანიდან საქართველოში დაბრუნებით მიიღწეოდა.

2. საქართველოს გაერთიანება.

3. ჩრდ. კავკასიელთა შემოსევების შეწყვეტა.

4. ქართველთა დენაციონალიზაციის შეწყვეტა.

მაგრამ სულხან-საბა ხელცარიელი დაბრუნდა საქართველოში 1715 წელს. ეს ქართველი მეფის ევროპული ორიენტაციის კრახს ნიშნავდა.

ირანის სახელმწიფოს უკიდურესმა დასუსტებამ, ავღანთა მიერ მისი მმართველი დინასტიის ჩამოგდება, ქვეყნის უკიდურესმა შინაგანმა კრიზისმა, როგორც ჩანს, საქართველოს პოლიტიკოსებს საშუალება მისცა აშკარად გამოეხატათ სწრაფვა მართლმადიდებელი რუსეთისაკენ.

1722 წელს ვახტანგ VI-მ საქვეყნოდ გაამჟღავნა თავისი გადაწყვეტილება რუსეთთან სამხედრო კავშირის შეკერვისაკენ. ამან ძალზე შეაშფოთა მაჰმადიანური ქვეყნები და ჩრდილოკავკასიური ტომები.

რუსეთს სპარსეთში განსაკუთრებული ეკონომიური ინტერესები ჰქონდა. პეტრე დიდს სურდა, სპარსეთის ვაჭრობა რუს ვაჭრებს ჩაეგდოთ ხელში. პეტრემ ელჩი გამოუგზავნა ვახტანგ VI-ს. თუმცა სახელმწიფოს დარბაისელთა ერთი ჯგუფი ვახტანგს სიფრთხილეს ურჩევდა.

ვახტანგისა და რუსეთის კავშირმა შეაშფოთა და ააღელვა მთელი ახლო აღმოსავლეთი და თვით ევროპა. კონსტანტინოპოლში დაისვა საკითხი პეტრე I-სა და ვახტანგ VI-ის საომარ მოქმედებათა წინააღმდეგ აქტიური ზომების მიღების შესახებ.

ირანი, ოსმალეთი და დაღესტანი ქართლის სამაგალითო დასჯისათვის მოემზადნენ.

პეტრე I-მა 1724 წელს მოულოდნელად შეკრა ზავი სპარსეთთან. საქართველო მტრის სათარეშოდ გადაიქცა. ვახტანგ VI უზარმაზარი ამალით რუსეთს გადავიდა.

მაღე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ რუსეთის მთავრობა თავს არ იწუხებდა საქართველოსთვის.

ამრიგად, ვახტანგის რუსული პოლიტიკაც კრახით დამთავრდა.

მტერთა შემოსევებმა, ცხადია, ქართული ეკლესიაც დიდად დააზარალა. მრავალი საეპისკოპოსო და ეპარქია საერთოდ გაუქმდა, ხოლო საეკლესიო მამულებისა და ყმების მნიშვნელოვანი ნაწილი შინაომების პერიოდში საერო

ფეოდალებმა მიიტაცეს. მაგრამ საქართველოს ეკლესიამ შეინარჩუნა ის სულიერი ღვრიტა, რომელიც შემდეგ 1744–45 წლებისათვის, ქართული ქრისტიანული სახელმწიფოებრიობის აღორძინებას დაედო საფუძვლად.

1744 წელს შესრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება. საქართველოს სამეფო ტახტზე ქრისტიანი მეფე დაჯდა. ეს ბედნიერება კახელ ბაგრატიონთა სახლის შვილს – თეიმურაზ II-ს ერგო.

ქართველთა სიხარული უსაზღვრო იყო. კათალიკოს-პატრიარქმა ანტონმა მოიძია მეფედ კურთხევის უძველესი ქართული წესები და სამღვდელთა დასი საგანგებო სადღესასწაულო ცერემონიისათვის მოამზადა. გახარებულმა ხალხმა ქუჩები, მოედნები, ბაზრები მორთო. ჩირაღდნებითა და გალობით შეეგება მეფეს, დედოფალსა და ბატონიშვილებს. მეფედ მირონცხების სადღესასწაულო სიხარული განუზომელი იყო.

ქართული სახელმწიფოს სუვერენობის აღდგენით განხორციელდა „გამოხსნის“ იდეა, რის შედეგადაც ხორცი შეისხა „აღდგომის“ იდეამაც. ამაში იგულისხმებოდა იმ ქართული მიწა-წყლის დაბრუნება, რომელიც ჩამოცილებული ჰქონდა საქართველოს.

1758 წელს სოლომონ I-მა, ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადეს. მოწვეულ იქნა საგანგებო საეკლესიო კრება 1759 წ. 4 და 5 დეკემბერს. კრებამ აკრძალა ტყვეთა სყიდვა. აღდგა ქუთათელის კათედრა, ეკლესია განთავისუფლდა გადასახადისაგან.

XVIII ს-ის 70-იან წლებში აღდგა დასავლური ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა ქვეყნიდან თურქთა გარნიზონები გააძევა.



საქართველოს ეკლესიის ისტორიის III პერიოდი

ქართული ეკლესია XIX-XX საუკუნეებში

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის 2000-წლოვანი ისტორიის ორი, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი XIX-XX სს-ს განეკუთვნება. ეს არის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ და მისი აღდგენა ქართველი ერისა და სამღვდლოების ბრძოლის წყალობით. XIX ს-ის ქართული ეკლესიის სავალალო მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნებულია უამრავი მასალა.

საქართველოში მოციქულთა ქადაგებისა და მათ მიერ სამოციქულო ეკლესიის დაარსების შემდეგ ქრისტიანობა ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებად იქცა. და ასე იყო საუკუნეების მანძილზე.

1811 წლიდან ქართული ეკლესია, ქრისტიანული სარწმუნოების დამცველი მთელ კავკასიაში, რუსული ბიუროკრატიული სისტემის დანაშაულოვან გადაქცევას განიცდიდა.

საქართველოში რუსეთის შემოჭრამდე ქართული ეკლესია ფლობდა დიდხალ ქონებას. იგი იყო ეკონომიურად დამოუკიდებელი ერთეული, ამით იგი მკვეთრად განსხვავდებოდა რუსეთის ეკლესიისაგან, რომელიც რუსეთის ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს ნაწილად იყო გადაქცეული. მას 1722 წლიდან ობერპროკურორი ხელმძღვანელობდა, რომელიც წმ. სინოდს ედგა სათავეში. იგი საერო პირი იყო და დიდი უფლებები ჰქონდა. საერო ხელისუფლებისადმი ეკლესიის დამორჩილების საქმე, რომელიც პეტრე დიდმა წამოიწყო 1721 წელს პატრიარქობის გაუქმებით, 1784 წელს დაასრულა ეკატერინე II-მ. ასეთი მდგომარეობის გამო, რუსეთი, ცხადია, ვერ მოითმენდა საქართველოში ეკლესიის როგორც ეკონომიურ დამოუკიდებლობას, ისე უდიდეს გავლენას საერო ხელისუფლებაზე. და ამიტომ მან მიზნად დაისახა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზება.

1810 წლის 3 მარტს კათალიკოსი ანტონ II თითქმის ძალით გაიწვიეს პეტერბურგს. 1811 წლის 30 ივლისს შეიქმნა დიკასტერია და საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია. დიკასტერიის მეთაურად დაინიშნა ვარლამ ერისთავი და ებომა მას საქართველოს ეგზარქოსის ტიტული. ამ დროიდან დაიწყო უმძიმესი პერიოდი საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში. რუსეთის ხელისუფლება აქტიურად შეუდგა ეპარქიების შემცირებას, რასაც იგი ადრეც მიმართავდა. ეს ხდებოდა მთავრობისათვის არასასურველი პირების კათედრიდან ჩამოსაშორებლად.

1815 წლის 30 აგვისტოს დიკასტერია გადაკეთდა „საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორად“. რუსულმა მთავრობამ მას დაუმორჩილა გურია-სამეგრელოს ეკლესიებიც.

1817 წელს ვარლამ ერისთავი პეტერბურგში გაიწვიეს. ამავე წლიდან ეგზარქოსად დაინიშნა რიაზანელი არქიეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი. მის შემდეგ მხოლოდ რუსი ეროვნების ეპისკოპოსები მართავდნენ საქართველოს საეგზარქოსოს. თეოფილაქტემ 1819 წელს შეამცირა იმერეთის საეპისკოპოსოები მათი ერთ ეპარქიად გაერთიანების გზით. თითო-თითო ეპარქია დატოვა გურიასა და სამეგრელოში. დასავლეთ საქართველოს 12 ეპარქიიდან დარჩა 3. ამას გარდა, ეგზარქოსი ამცირებდა მოქმედი ეკლესიების რაოდენობას.

რუსეთის მთავრობისათვის საქართველოს ეკლესია განიხილებოდა, როგორც სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთი წყარო. მთავრობა ფიქრობდა, სასულიერო პირთა რაოდენობისა და სხვადასხვა ხარჯების მკვეთრი შემცირებით ხელს შეუწყობდა ხაზინაში ეკლესიიდან შესული შემოსავლის ზრდას.

რუსეთის იმპერიის ანტიეკლესიურმა პოლიტიკამ ალაშფოთა ქართველი ხალხი.

1818 წლის ივლისში დაიწყო აჯანყება მშობლიური ეკლესიის დასაცავად. მოჯანყებებმა წამოაყენეს ლოზუნგი „სამშობლოს განთავისუფლება“. მოსახლეობის ყველა ფენა მონაწილეობდა ბრძოლაში – არტილერიით შეიარაღებული პოლკებისა და ბატალიონების წინააღმდეგ.

1820 წელს დააპატიმრეს მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გელათელი, სხვა გავლენიანი პირები, რამაც უფრო გააძლიერა აჯანყება.

მოხუცი მიტროპოლიტი – დოსითეოს ქუთათელი (წერეთელი) ტომარაში ჩაუსვამთ და რუსეთისკენ წაუყვანიათ. იგი ტომარაშივე ცემით მოუკლავთ გორთან ახლოს. მეორე მიტროპოლიტი ექვთიმე გელათელი (შერვაშიძე) ხელისუფლებამ დააპატიმრა, როგორც აჯანყების ერთ-ერთი მოთავე.

მიტროპოლიტები და საერთოდ ეპისკოპოსები ხელშეუხებელნი იყვნენ და მათ მაჰმადიანებიც კი პატივს სცემდნენ. რუსთა ქმედებამ აჯანყება გააძლიერა. რუსის ჯარმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შემდეგ გაჭირვებით გაიმარჯვა უდიდესი დანაკარგებით. მთარბიეს და გადაწვეს რაჭა, არტილერიით მიწასთან გაასწორეს შემოქმედის ციხე გურიაში. სოფლები გადაწვეს, ზოგი მოჯანყე ჩამოახრჩეს, უამრავი რუსეთში გადაასახლეს, მათი ქონება საზინას გადასცეს.

1820 წლის 21 მაისს სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლმა 2 000 ქართველმა დადო თავი. მათ შორის იყვნენ მებრძოლი მღვდლები, ბერები და სასულიერო პირები.

ქართულ ეკლესიას ისტორიულად ათეულობით საეპისკოპოსო ანუ ეპარქია ჰქონდა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში. საეპისკოპოსოთა მოსაპოვებლად დაეცა ქრისტიანული სარწმუნოება ქართველთა

შორის. ამიტომ ქართველი სასულიერო პირები მოითხოვდნენ გაუქმებული ეპარქიების აღდგენას.

საეგზარქოსოს პოლიტიკა იწვევდა მრევლის სარწმუნოებრივ ინდიფერენტიზმს, უკარგავდა ქართულ ეკლესიას ეროვნულ სახეს. ხალხს განსაკუთრებით ალაშფოთებდა ქართული ენის აკრძალვა ეკლესიებსა და სასწავლებლებში. გააუქმეს ქართულენოვანი სასულიერო სასწავლებლები და გახსნეს რუსულენოვანი, რაც იწვევდა მომავალ სამღვდელ პირთა გაუნათლებლობას. ქართველი ახალგაზრდების ნაწილი გაუუცხოვდა ქართულს. დაეწაფნენ რუსულ და ევროპულ იდეებს სოციალიზმისას, ათეიზმისა და ანარქიზმისას.

ეკლესიებიდან და მონასტრებიდან დაიკარგა საუკუნეთა მანძილზე ანგროვები უძვირფასესი ქონება, ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით შემკული სასულიერო ნივთები. ხაზინამ ეკლესია-მონასტრებს ჩამოართვა მიწები.

ასეთ ვითარებაში არ არის გასაკვირი ქართველი სასულიერო პირების აქტიური მონაწილეობა საქართველოს გასათავისუფლებლად მოწყობილ აჯანყებებში 1804, 1812 და სხვა წლებში. 1832 წლის აჯანყების ერთ-ერთი აქტიური წარმართველი იყო არქიმანდრიტი ფილადელფოს კიკნაძე.

ეგზარქოს პავლე ლეგედევის დროს 1886 წელს სემინარიიდან გარიცხულმა ოსიებ ლალიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი დეკანოზი ჩუდუცი. მის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ეგზარქოსს დაუწყევლია მკვლელის „წარმომშობი ხალხი“. აღშფოთებული ქართველების აზრი გამოხატა დიმიტრი ყიფიანმა. მან მოუწოდა ეგზარქოსს, თუ მართალი იყო ხალხში გავრცელებული ხმა, მაშინ „შემჩვენებელი განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან“. დიმიტრი ყიფიანი ამისათვის დასაჯეს გადასახლებით, სადაც 1887 წელს მოკლეს.

ქართული ეკლესიის დასაცავად ხმა აიმაღლეს თვით რუსი ერის საუკეთესო შვილებმა. ერთ-ერთი ასეთი იყო ცნობილი სწავლული სლავოფილი ნიკოლოზ დურნოვი. მან საქართველოს ეკლესიის საკვალალო მდგომარეობა ასახა თავის ნაშრომში „ბედი ქართული ეკლესიისა“.

სამწუხაროდ, XIX ს-ში, რუსეთის იმპერიაში საქართველოს ყოფნის დროს, ქართველ ხალხში განელდა მხურვალე სარწმუნოება.

XX ს-ში რუსეთის იმპერიამ იწყო რღვევა, რაც ეკლესიის ცხოვრებაშიც აისახა.

რუსეთის იმპერიის განსამტკიცებლად საჭირო იყო იმპერიაში ეცხოვრა ერთ ენაზე მოლაპარაკე ერთი სარწმუნოების მქონე, ქვეყნისადმი ერთგულ მოსახლეობას. დღის წესრიგში დადგა ქართველობის, ისე როგორც სხვა ხალხების, რუსებში ასიმილაცია-შერწყმის საკითხი. გაძლიერდა ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლა. ეგზარქოსების მიზანი იყო მრევლის გარუსება. ქართველმა ხალხმა შესაბამისად უპასუხა იმპერიის ამ ქმედებას.

1908 წელს მოკლეს ეგზარქოსი ნიკონი. რუსი იერარქები საქართველოს „ველურ და სასტიკ მხარეს“ უწოდებდნენ და ახალ ეგზარქოსებს ეშინოდათ საქართველოში ჩამოსვლისა.

ქართული ეკლესიის მამები და ერის საუკეთესო შვილები მიხვდნენ, რომ სარწმუნოების გადასარჩენად საჭირო იყო საქართველოს ეკლესიის განშორება რუსული იმპერიული მანქანისაგან, ე.ი. საჭირო იყო ავტოკეფალიის აღდგენა.

რუსეთის იმპერიაში რევოლუციური პროცესების დაწყებამაც დააჩქარა ავტოკეფალიის მოთხოვნის წამოწყება. ამ მოთხოვნებით მრავალჯერ მიმართეს რუსეთის იმპერატორსა და წმ. სინოდს.

ქართველი მღვდელმთავრების მიერ წამოწყებულ ავტოკეფალიის მოთხოვნას აქტიურად დაუჭირა მხარი ქართულმა ინტელიგენციამ: წმ. ილია მართალმა (ჭავჭავაძემ), წმ. ექვთიმე თაყაიშვილმა, იაკობ გოგებაშვილმა, ალ. ცაგარელმა, ალ. ხაზანაშვილმა, ნიკო მარმა და სხვ. ქართული ეკლესიის ავტოკეფალას მხარს უჭერდა ორი რუსი მეცნიერი სოლოვიოვი და ზაოზერსკი.

ილიას მოკვლისა და იმპერიაში რეაქციის გამარჯვების შემდეგ ქართველმა ავტოკეფალის ტებმა გადაწყვიტეს თავიანთი იდეის ხალხის გულამდე მიტანა წიგნების გამოცემით. მათ ეკლესიის თავისუფლება მიაჩნდათ საწინდრად საქართველოს მომავალი თავისუფლებისა.

რუსეთის იმპერიაში 1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველმა სამღვდელოებამ გადაწყვიტა უსწრაფესად ესარგებლა შექმნილი მომენტით. 1917 წ. 12 მარტს მცხეთაში შეიკრიბა ათიათასობით მორწმუნე. წირვისას, „განიცადე ზე“ სიტყვით გამოვიდა ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე) და გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-გამგეობის აღდგენა. ამავე წლის 17 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი). 1918 წლის 26 მაისს საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყნის სათავეში მოხვდა არა ეროვნული პარტია, არამედ – სოციალისტური. 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფში მოკლეს წმ. კირიონი.

საქართველოს სოციალისტური მთავრობა ათეისტურად იყო განწყობილი, ამიტომ იგი ვერ აფასებდა საქართველოს ეკლესიის მნიშვნელობას ქართველი ერისათვის. ეს ყოველივე კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს აღშფოთებას იწვევდა.

„მენშევიკებმა“ ვერ გაითვალისწინეს „მღუღარე რუსეთიდან“ მოსალოდნელი საფრთხე და 1921 წლის თებერვალში რუსეთმა კვლავ დაიპყრო საქართველო.

1921 წელს ლეონიდეს გარდაცვალების შემდეგ საეკლესიო კრებამ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩია წმ. ამბროსი (ხელაია).

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ სახელმწიფომ გაატარა საგანგებო მეთოდური ღონისძიებანი, რათა საერთოდ მოესპო ეკლესია. ქრისტიანებმა მრავალი ღვენა განიცადეს საუკუნეთა მანძილზე,

მაგრამ ამ მხრივ, ალბათ, ვერაფერი შეედრება კომუნისტ-ბოლშევიკების მიერ XX ს-ის 20-30-იან წლებში ქრისტიანთა დევნა-შევიწროებას. ბოლშევიკები ანგრევდნენ ეკლესიებს, ღმრთისმსახურებს აწამებდნენ როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, მარცვავენენ ეკლესია-მონასტრებს.

XX ს-ის 20-იან წლებში დახურეს ათასზე მეტი ეკლესია, გააუქმეს ღმრთისმსახურება.

სწორედ ამ ნგრევა-განადგურების დროს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა – წმ. ამბროსი ხელაიამ ჭეშმარიტად გასწირა თავი ქართველი ერისათვის და გენუის კონფერენციას გაუგზავნა მიმართვა, რომლითაც მსოფლიოს ამცნო ქართველი ერის უბედურება. იგი თავის მიმართვაში მოითხოვდა, რომ სასწრაფოდ გაეყვანათ რუსეთის საოკუპაციო ჯარი საქართველოდან და ქართველ ერს მისცემოდა საშუალება „სხვათა ძალდაუტანებლად და უკარნახოდ“ მოეწყო „ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა“, რომელიც მისთვის მისაღები იყო.

რუსეთის მთავრობა დიდად გაანაწყენა კონფერენციისადმი საქართველოს პატრიარქის მიმართვამ, ამიტომ წმ. ამბროსი ხელაია და მისი თანამოაზრენი: ქუთაისის მიტროპოლიტი წმ. ნაზარი ლეჟავა, არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე, ქაშუეთის ეკლესიის დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, დიკონი დიმიტრი (ლაზარიშვილი) და სხვები, დააპატიმრეს და გაასამართლეს. გამოძიების პროცესში ცდილობდნენ წმ. პატრიარქის სულიერ გატეხას, ცდილობდნენ მას უარეყო გენუის კონფერენციისადმი წაყენებული მოთხოვნები. მაგრამ წმ. ამბროსიმ კიდევ უფრო განამტკიცა ეს მოთხოვნები თავისი ვრცელი საბოლოო სიტყვით. წმ. ამბროსის მიუსაჯევს 7 წლით პატიმრობა. დაავადებულ პატრიარქს სასჯელის ვადა შეუმცირეს. იგი გარდაიცვალა 6 წლის ასაკში, 1927 წლის 28 მარტს.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართული ეკლესიის ხვედრს და ყოფას განსაზღვრავდა მთავრობის დამოკიდებულება საზოგადოდ ეკლესიის მიმართ. შეიძლება ეს პერიოდი სამ ეტაპად დავყოთ. 1943 წლამდე ეკლესიის დევნა-შევიწროება ძველებურად გრძელდებოდა. გერმანიასთან ომის დროს საბჭოთა მთავრობამ მოწყალეობის თვალთ გადასწვთა და ეკლესიას, აღიარა რუსეთის ეკლესიის თავისთავადობა, მისცა პატრიარქის არჩევის უფლება, შესაბამისად, გაუძღობესდა ქართული ეკლესიის მდგომარეობაც.

1943 წელს რუსეთის ეკლესიამ აღიარა ქართული ეკლესიის სამი უფლება (ავტოკეფალია, საპატრიარქო ღირსება, VI ადგილი დიპტიხისში).

ეკლესიის მდგომარეობა ისევ გაუარესდა ნ. ხრუშჩოვის დროს. მის მიერ გატარებული ე.წ. „დემოკრატიული დათბობა“ არ განვრცობილა ეკლესიის მიმართ.

ამ პერიოდში იღვენებოდნენ სამღვდლო პირები, ოღონდ ახლა სხვა მეთოდებს მიმართავდნენ. მათსა ხელს უტეხდნენ საგანგებო სახელმწიფოებრივი

ორგანოები. ასეთი დევნის ობიექტი იყო, მაგალითად, ეფრემ II. ეკლესიის ზნეობრივი დევნა გრძელდებოდა კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ზეობის პირველ ხანებშიც ვიდრე 1985 წლამდე.

1985–86 წლიდან მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, მაგრამ 70-წლიანი ბატონობის დროს კომუნისტებმა მთელი თაობები აღზარდეს ეკლესიისა და სასულიერო პირთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით. ამ ბარიერის დაძლევა ხალხისათვის ადვილი აღარ იყო. მმართველობის ბოლო წლებში საბჭოთა ხელისუფლება აღარ კრძალავდა წმ. წერილის (ბიბლიის) ბეჭდვა-გავრცელებას, მის საგაზეთო პუბლიკაციებს. ამ ფონზე, როცა ბიბლიის ავტორიტეტი ისევ გაიზარდა, ხოლო ეკლესიისა და სასულიერო პირთა ავტორიტეტი ხალხის თვალში დაცემული იყო, მყარი საფუძველი მიეცა სექტანტობის გავრცელებას; ბაპტიზმს, იეღოველობას და სხვა სექტებს მოქმედების ასპარეზი გაეხსნათ, რადგანაც ისინიც ბიბლიის ავტორიტეტს აღიარებდნენ, ხოლო სამღვდლოებას კი არ ცნობდნენ.

მართალია, 1917 წლის 12 მარტს გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, მაგრამ რუსეთის ეკლესიამ ეს ფაქტი მხოლოდ 1943 წელს სცნო, ხოლო მსოფლიო მართლმადიდებელმა ეკლესიებმა – 1990 წლის 25 იანვარს. მაგრამ დღემდე გადაწყვეტილი არ არის დიპტიხის საკითხი. ქართული ეკლესიის ადგილი დღემდე დაუდგენელია და წარმოადგენს მსოფლიო ეკლესიათა შესწავლის ობიექტს.

XX ს-ის ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საქართველოს საუკეთესო შვილებს ლოცავდა და აკურთხებდა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II და წმიდა სინოდი. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართველმა ხალხმა სიყვარულით უპასუხა წმიდა ეკლესიას, XXI ს. დასაწყისიდან განმტკიცდა მართლმადიდებელი სარწმუნოება, ყოველდაბა-სოფელსა და ქალაქში აიგო ახალი ეკლესიები, დაიღო შეთანხმება წმიდა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, რათა განმტკიცდეს ქართველი ერისა და მისი წმიდა მართლმადიდებელი სარწმუნოება, ამინ.



[„საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორიის“, ერთი ნაწილი წარმოადგენს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ ოთხტომეულის ნ. ბუკიას მიერ შესრულებულ შემოკლებულ რედაქციას]

[მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნის „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორიის“ ტესტები შეადგინა ლევან მათეშვილმა]



ტესტები

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნის

„საქართველოს მოკლე ისტორიის“ ტესტები

ვარიანტი № 1

1. ბიბლიის მიხედვით იაფეტის შთამომავლობიდან რომელნი ითვლებიან ქართველთა ეთნარქებად?

- | | |
|--------------------|--------------------|
| ა) გომერი, თირასი; | გ) იავანი, თირასი; |
| ბ) მაგოგი, მადაი; | დ) თუბალი, მეშექი; |

2. რომელი უძველესი ქართული წყარო მოგვითხრობს არიან-ქართლზე?

- | | |
|-------------------------|-----------------------------|
| ა) „ქართლის ცხოვრება“; | გ) „ასწლოვანი ისტორია“; |
| ბ) „მოქცევაი ქართლისი“; | დ) ეპიგრაფიკული მონაცემები; |

3. ყოვლად წმიდა ღვთისმშობელს წილად ზვდა შემდეგი ქვეყანა:

- | | |
|--------------|------------|
| ა) ალბანეთი | გ) ივერია |
| ბ) ჩერქეზეთი | დ) ჰერეთი. |

4. ხალხთა და ენათა შორის ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი განსაკუთრებით მფარველობდა:

- | |
|--|
| ა) ლათინ ხალხსა და ლათინურ ენას; |
| ბ) ქართველ ხალხსა და ქართულ ენას; |
| გ) ურარტუელ ხალხსა და ურარტუელთა ენას; |
| დ) პონტოს ხალხსა და პონტოელთა ენას. |

5. ვინ გვაწვდის ცნობას, რომ ანდრია მოციქულმა საქართველოში მესამე მოგზაურობისას სხვა მოციქულებიც ჩამოიყვანა?

ვარიანტი № 2

1. რა ერქვა კიმერიელთა შემოსევისას კოლხეთიდან გამოძევებული სამხედრო არისტოკრატის მიერ სამხრეთით დაარსებულ ახალ სახელმწიფოს?

- ა) ქართლი; გ) არიან-ქართლი;
ბ) ივერია; დ) ქართველთა სამეფო;

2. ვისი ცნობაა, რომ იბერებმა, რომლებიც კოლხებად იწოდებოდნენ, ქრისტიანობა ჯერ კიდევ რომის იმპერატორ ტრაიანამდე (98-117 წწ) მიღეს?

- ა) ევსევი კესარიელის; გ) ბალსამონის;
ბ) ირინეოს ლიონელის; დ) ლაზარე ფარფეცის;

3. როდის დაარსდა აფხაზეთის საკათალიკოსო?

- ა) VIII ს. გ) X ს.
ბ) IX ს. დ) XI ს.

4. XI საუკუნეში რომელ წლებში მიმდინარეობდა ბიზანტიასა და საქართველოს შორის ომი?

- ა) 1011-1021 წწ. გ) 1054-1064 წწ.
ბ) 1021-1054 წწ. დ) 1064-1080 წწ.

5. XI ს-ში რა იყო მიზანი საქართველოს მეთაურთა მოლაპარაკებების დროს ბიზანტიასა და საქართველოს შორის?

- ა) ბიზანტიის მიერ ანექსირებული ტერიტორიების დათმობა;
ბ) საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო უფლებების ცნობა;
გ) ერთობლივი სამხედრო ექსპედიციების მოწეობა;
დ) საეკლესიო რეფორმის ჩატარება;

6. XII ს-ში ვისი უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა ციხე-ქალაქ სამშვილდეს აღება?

- ა) დავით აღმაშენებლის;
- ბ) გიორგი ჭყონდიდელის;
- გ) ყუბასარის;
- დ) დემეტრე ბატონიშვილის;

7. რა იყო XVI ს-ის სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოს მაკონსოლიდირებელი ძალა?

- ა) ქართლის მეფე;
- ბ) გარეული მტერი;
- გ) ქართული ეკლესია;
- დ) იმერეთის მეფე;

8. რომელ წელს მოხდა თეიმურაზ II-ის ქრისტიანული წესით მეფედ კურთხევა?

- ა) 1740 წ.
- ბ) 1744 წ.
- გ) 1746 წ.
- დ) 1749 წ.

9. 1832 წლის შეთქმულებაში რომელი სასულიერო პირი იღებდა მონაწილეობას?

- ა) ვარლამ ერისთავი;
- ბ) ექვთიმე გაენათელი;
- გ) ფილადელფოს კიკნაძე;
- დ) გაბრიელ ქიქოძე;

10. როდის მოკლეს კირიონ II კათალიკოსი?

- ა) 1917 წ.
- ბ) 1918 წ.
- გ) 1919 წ.
- დ) 1920 წ.

ვარიანტი № 3

1. მეფე ფარნავაზის სამეფოში შემავალ ეგრისისსაერისთავოს მართავდა დიდი სახელმწიფო მოღვაწე:

- | | |
|----------------------|------------------|
| ა) ვახტანგ გორგასალი | გ) ქუჯი ერისთავი |
| ბ) მირიან მეფე | დ) ბაგრატ დიდი. |

2. ქრისტეშობამდე IV-III სს-ში დაარსებული ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური სახელი იყო:

- | | |
|---------------------|--------------------|
| ა) ურარტუს სამეფო | გ) კახეთის სამეფო |
| ბ) ალბანეთის სამეფო | დ) ქართლის სამეფო. |

3. მეფე ფარნავაზის სამეფოს დასავლეთი საზღვარი გადიოდა:

- | | |
|----------------------------------|-----------------------------------|
| ა) შავ ზღვასა და მდ. მტკვარზე | გ) სევანის ტბასა და მდ. ბამბაკზე |
| ბ) შავ ზღვასა და მდ. ეგრისწყალზე | დ) კასპიის ზღვასა და მდ. არაქსზე. |

4. მეფე ფარნავაზმა პირველი ერთიანი საქართველოს სახელმწიფო ენად გამოაცხადა:

- | | |
|-----------------|-----------------|
| ა) ბერძნული ენა | გ) ურარტუს ენა |
| ბ) ლათინური ენა | დ) ქართული ენა. |

5. კიმერიელთა შემოსევისას ქრისტეშობამდე VIII ს-ში კოლხეთის სამეფოს სამხედრო არისტოკრატია გადასახლდა:

- | | |
|---------------|-----------------|
| ა) ჩრდილოეთით | გ) აღმოსავლეთით |
| ბ) სამხრეთით | დ) დასავლეთით. |

6. კიმერიელთა შემოსევების შემდეგ კოლხეთის სამეფოს სამხედრო არისტოკრატამ სამხრეთით დააარსა ახალი სამეფო სახელწოდებით:

- ა) მიდია-სპარსეთი გ) არიან-ქართლი
 ბ) პონტო-კაპადოკია დ) ტაშირ-ორაკერტი.

7. უძველეს ქართველთა ეთნიკურ-ეროვნული და ენობრივი მთლიანობის შესახებ ქრისტეშობამდე 600 წლით ადრე წერდა:

- ა) პოლიკარპე სიცილიელი გ) დიოგენე ეფესელი
 ბ) ჰეკატოს მილეტელი დ) ნიკონ ალექსანდრიელი.

8. რატომ შეიცვალა XI ს-ის II ნახევარში ბიზანტიის როგორც საგარეო, ისე საშინაო მდგომარეობა საქართველოს მიმართ?

- ა) ბიზანტია დასუსტდა; გ) თურქ-სელჩუკები გამოჩნდნენ;
 ბ) საქართველო გაძლიერდა; დ) ბიზანტიის იმპერია დაიშალა;

9. რომელ საუკუნეებში დაიწყო ქართველებს ქრისტეს საფლავის გასაღები?

- ა) XII ს-ის II ნახევრამდე; გ) XIV ს-ის II ნახევრამდე;
 ბ) XIII ს-ის II ნახევრამდე; დ) XV ს-ის II ნახევრამდე;

10. ვინ იყო გაგზავნილი რუსუდან მეფის მიერ ბათო ყაენთან მოსალაპარაკებლად?

- ა) შანშე მხარგრძელი; გ) არსენ ჭყონდიდელი;
 ბ) ავაგ მხარგრძელი; დ) ივანე თორელი;

ვარიანტი № 4

1. „მოსხები – კოლხური ტომია“ – ამ სიტყვებით ჰეკატოს მიღებული აღნიშნავდა, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა

- | | |
|--------------------|-----------------------|
| ა) ცნობილი ტომებია | გ) ერთიანი ხალხია |
| ბ) უცნობი ტომებია | დ) სხვადასხვა ხალხია. |

2. დედა ღვთისმშობელმა თავის ნაცვლად საქართველოში საქადაგებლად გამოაგზავნა წმიდა მოციქული:

- | | |
|----------|-----------|
| ა) პეტრე | გ) ანდრია |
| ბ) პავლე | დ) იოანე. |

3. რომელ წელს აღიარეს ქართლის სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად:

- | | |
|-----------|-----------|
| ა) 326 წ. | გ) 311 წ. |
| ბ) 329 წ. | დ) 337 წ. |

4. ქართულ წყაროთა მიხედვით, სად გადიოდა მეფე მირიანის დროს ქართლის სამეფოს დასავლეთი საზღვარი:

- | | |
|------------------------|------------------|
| ა) კავკასიის მთებში | გ) სევანის ტბაზე |
| ბ) მდინარე ეგრისწყალზე | დ) ალბანეთში. |

5. როგორი იყო მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესიები?

- ა) მოციქულების დაქვემდებარებაში;
- ბ) იერუსალიმის იურისდიქციაში;
- გ) ავტოკეფალურები;
- დ) უპირატეს ეპისკოპოსს დაქვემდებარებული;

6. ვინ იყო ქართლის პირველი კათალიკოსი?

ა) იოანე; ბ) პეტრე; გ) მიქაელი; დ) სამოელი;

7. როდის აღსდგა დასავლეთ ეგრისში ქართულ-ენოვანი ღვთისმსახურება?

ა) VIII ს-ში, აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ;
ბ) XI ს-ში, საქართველოს გაერთიანების შემდეგ
გ) XVI ს-ში, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ
დ) XVIII ს-ში, ქართლ-კახეთის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ

8. დასავლეთ ეგრისში როდის აღიკვეთა ქართული ენა და დაწესდა ბერძნული ღვთისმსახურება?

ა) 530-იან წლებში; გ) 730-იან წლებში;
ბ) 630-იან წლებში; დ) 830-იან წლებში;

9. რამ გამოიწვია XI ს-ის დასაწყისში “მაბრალობელთა“ და “მაცყედრებელთა“ გამრავლება?

ა) ბიზანტია-საქართველოს ომმა;
ბ) ქართული ეკლესიის სისუსტემ;
გ) ქართული ეკლესიის სიძლიერემ;
დ) საქართველოს სახელმწიფოს სისუსტემ;

10. რომელ წელს დააპატიმრეს ათეისტებმა საქართველოს წმიდა პატრიარქი ამბროსი ხელაია?

ა) 1899 წ. ბ) 1903 წ. გ) 1906 წ. დ) 1924 წ.

ვარიანტი № 5

1. როგორია ს. ჯანაშიას ქართველთა წინაპართა განსახლების კონცეფცია?

- ა) ქართველები ცხოვრობდნენ: შუამდინარეთში;
- ბ) ქართველები ცხოვრობდნენ: წინა აზიასა და სამხრეთ ევროპაში;
- გ) სამხრეთ აზიაში;
- დ) სინას ნახევარკუნძულზე;

2. რუის-ურბნისის კრების მიხედვით, ანდრია მოციქულმა გააქრისტიანა ანუ მოაქცია

- ა) აღმოსავლეთსაქართველოს მოსახლეობა;
- ბ) დასავლეთსაქართველოს მოსახლეობა;
- გ) სრულიადსაქართველოს მოსახლეობა;
- დ) მესხეთის მოსახლეობა.

3. პროკოფი კესარიელის მიხედვით ვის ექვემდებარებოდნენ დასავლეთ საქართველოს ქრისტიანები?

- ა) კონსტანტინოპოლის პატრიარქს;
- ბ) იერუსალიმის პატრიარქს;
- გ) გუთეთის ეკლესიას;
- დ) კათალიკოსს (ქართლისა);

4. როდის გახდა ჩრ. კავკასია მაჰმადიანური?

- ა) მონღოლების დროს;
- ბ) თემურ-ლენგის დროს;
- გ) უზუნ-ჰასანის დროს;
- დ) შაჰ-აბასის დროს;

5. რატომ ებრძოდნენ უფრო მეტი გააფთრებით ირან-ოსმალები საქართველოს ეკლესიას, ვიდრე სომეხთა და ბერძენთა ეკლესიებს? იმიტომ რომ:

- ა) ქართველები სძულდათ;
- ბ) საქართველოს ეკლესია აგრესიული იყო მაჰმადიანების მიმართ;
- გ) საქართველოს ეკლესიას დიდი გვლენა ჰქონდა კავკასიაში;
- დ) მათ შეძლეს მოესპოთ სომხური და ბერძნული სახელმწიფოები, ქართული კი არსებობდა;

6. ვინ მოიძია მეფედ კურთხევის უძველესი ქართული წესი?

- ა) ამბროსი ნეკრესელმა;
- ბ) გაიოზ რექტორმა;
- გ) ანტონი I კათალიკოსმა;
- დ) არსენ საფარელმა;

7. რომელ წელს გაიწვიეს ანტონ II კათოლიკოსი პეტერბურგში?

- ა) 1809 წ.
- ბ) 1810 წ.
- გ) 1811 წ.
- დ) 1812 წ.

8. ვინ გამოაცხადა 1917 წ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია?

- ა) კირიონ საძაგლიშვილმა;
- ბ) ლეონიდე ოქროპირიძემ;
- გ) ამბროსი ხელაიამ;
- დ) ნიკიტა თალაკვაძემ;

9. ვინ გამოაცხადა 1917 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-გამგეობის აღდგენა?

- ა) კირიონ საძაგლიშვილმა;
- ბ) ლეონიდე ოქროპირიძემ;
- გ) ამბროსი ხელაიამ;
- დ) ნიკიტა თალაკვაძემ;

10. რომელ წელს აღიარა რუსეთის ეკლესიამ საქართველოს ეკლესიის სამი უფლება – ავტოკეფალია, საპატრიარქო ღირსება, VI ადგილი დიპტისში?

- ა) 1917 წ.
- ბ) 1927 წ.
- გ) 1943 წ.
- დ) 1990 წ.

ვარიანტი № 6

1. როდის გამოცხადდა წმ. ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგება ლეგენდა?

- ა) X ს. ბ) XV ს. გ) XIX ს. დ) XX ს.

2. სად დაარსა წმ. ანდრია მოციქულმა საქართველოში პირველი საეპისკოპოსო?

- ა) ოძრახეში; გ) აწყურში;
ბ) ბიჭვინთაში; დ) გონიოში;

3. რუის-ურბნისის კრების მიხედვით, წმიდა ნინომ განანათლა ანუ გააქრისტიანა

- ა) დასავლეთ საქართველოს ქართველობა;
ბ) აღმოსავლეთ საქართველოს ქართველობა;
გ) „ყოველნი ქართველნი“ ანუ სრულიად საქართველოს ქართველობა;
დ) მესხეთის ქართველობა.

4. საქართველოს ეკლესიას რა სახელწოდება ჰქონდა უძველეს დროიდან?

- ა) საქართველოს საკათალიკოსო ეკლესია;
ბ) საქართველოს საპატრიარქო ეკლესია;
გ) საქართველოს სამოციქულო ეკლესია;
დ) საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია;

5. რომელმა მთავარეპისკოპოსმა შეუმუსრა კბილები ვახტანგ გორგასალს?

- ა) იოანე; გ) მიქაელმა;
ბ) პეტრემ; დ) სამოელმა;

6. როდის ჩამოვიდნენ ასურელი მამები საქართველოში?

- ა) VI ს-ის შუა წლებში;
- ბ) V ს-ის ბოლოს;
- გ) VI ს-ის ბოლოს;
- დ) VII ს-ის დასაწყისში;

7. რატომ იყო მონოფიზიტობა VI ს-ში სპარსელებისთვის მისაღები სარწმუნოება?

- ა) სპარსეთში ბევრი მონოფიზიტური ეკლესია არსებობდა;
- ბ) ანტიბიზანტიური აღმსარებლობა იყო;
- გ) მონოფიზიტობა ლოიალური იყო მაზდიანობისა;
- დ) მონოფიზიტები რეგულარულად იხდიდნენ ხარკს;

8. ევრემ მცირეს მიხედვით რომელმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ მისცა ნება ყველა ეკლესიას, მათ შორის საქართველოსაც ადგილზე ეკურთხებინათ მირონი?

- ა) ეფესოს;
- ბ) ქალკედონის;
- გ) კონსტანტინეპოლის;
- დ) ტრულის;

9. როდის შემოუერთა ბაგრატ III-მ ერთიან საქართველოს კახეთ-ჰერეთი?

- ა) 990 წ.
- ბ) 1003 წ.
- გ) 1010 წ.
- დ) 1013 წ.

10. რა უწოდეს მეღქისედეკ I-ს, მის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ეკლესიის ტერიტორიის სიდიდის გამო?

- ა) დიდი პატრიარქი;
- ბ) სრულიად იბერიის პატრიარქი
- გ) აღმოსავლეთის პატრიარქი;
- დ) ერთიანი საქართველოს პატრიარქი;

ვარიანტი № 7

1. VIII-X სს-ში „აფხაზთა სამეფოს“ მოსახლეობის კულტურისა და სახელმწიფო ენა იყო

- ა) აფხაზური ენა გ) ბერძნული ენა
ბ) ქართული ენა დ) საზარულ ენა

2. სად არის აღმოჩენილი საქართველოს II-III საუკუნეთა ქრისტიანული ეკლესიის ნაშთები?

- ა) ნეკრესში; გ) ნოქალაქეში;
ბ) ნასტაკისში; დ) ვანში;

3. რომელი წლით ათარიღებს ვახუშტი ბაგრატიონი ქართლის მოცქვეს?

- ა) 317 წ. გ) 327 წ.
ბ) 324 წ. დ) 337 წ.

4. საქართველოს რომელმა მეფემ დატოვა ანდერძად ზერძენთა სიყვარული“

- ა) მირიანმა; გ) ბაგრატ III;
ბ) ვახტანგ გორგასალმა; დ) დავით აღმაშენებელმა

5. რა არის ასურელი მამების ყველაზე დიდი ღვაწლი, რომელიც მათ გაუწიეს ქართულ ეკლესიას?

- ა) განუმტკიცეს ქართველებს სარწმუნოება;
ბ) ჯერ კიდევ მოუქცევველი მხარეები გააქრისტიანეს;
გ) ეკლესიას ააცილეს მონოფიზიტობის საფრთხე;
დ) განამრავლეს სამღვდლო დასი;

6. რატომ გააწყვიტა გუთეთის ეკლესიამ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან კავშირი?

- ა) დამოუკიდებლობის მოთხოვნის გამო;
- ბ) ხატმებრძოლების გამო;
- გ) ბიზანტიის კეისრის აგრესიის გამო;
- დ) მეზობელ ეკლესიასთან დაახლოების გამო.

7. რომელ საუკუნემდე ჰქონდათ ქართველებს ქრისტეს საფლავის გასაღები?

- ა) XII ს-ის II ნახევრამდე; გ) XIV ს-ის II ნახევრამდე;
- ბ) XIII ს-ის II ნახევრამდე; დ) XV ს-ის II ნახევრამდე;

8. რა მიზეზით იყო გამოწვეული XV ს-ის მიწურულსა და XVI ს-ის დასაწყისში ქართული ეკლესიის წიადში წარმოშობილი სეპარატიზმი?

- ა) სექტანტობით;
- ბ) სარწმუნოებრივი განხეთქილებით;
- გ) კათოლიციზმით;
- დ) ადმინისტრაციული განდგომით;

9. 1434-35 წლებში ალექსანდრე დიდს საქართველოსთვის რომელი მხარე შემოუერთებია 60 000 ქრისტიანი სულით?

- ა) შირვანი; გ) სივნიეთი (ყარაბაღი);
- ბ) ანისი; დ) დვალეთი;

10. რა აკრძალა 1759 წლის საეკლესიო კრებამ?

- ა) თავადური სეპარატიზმი; გ) უცხო რჯულზე გადასვლა;
- ბ) ტყვეთა სყიდვა; დ) ბატონყმობა;

ვარიანტი № 8

1. ვისი წინასწარმეტყველებაა: „ვიამე, ხიზანი ვარ მეშექისა, ვბინადრობ კედარის კარვებთან“?

- ა) იერემიას; გ) ეზეკიელის;
ბ) დავითისი; დ) ამბაკუმისა;

2. როგორი სახელმწიფო იყო მოციქულთა ეპოქის იბერია?

- ა) დასუსტებული;
ბ) დანაწევრებული ირანსა და რომს შორის;
გ) შინა ომებით დასუსტებული;
დ) ძლიერი სახელმწიფო ამერიკაგუასიაში;

3. სად არის დაკრძალული მატათია მოციქული?

- ა) არტანუჯში; გ) ოძრხეში;
ბ) გონიოში; დ) ტრაპეზუნტთან;

4. რომელ წელს შემოვიდა წმ. ნინო საქართველოში?

- ა) 303 წ. გ) 325 წ.
ბ) 313 წ. დ) 329 წ.

5. უძველესი ქართული წყაროს მიხედვით ქართლში მეფობა გაუქმდა:

- ა) VI ს-ის დასაწყისში; გ) VI ს-ის II ნახევარში;
ბ) IV ს-ის II ნახევარში; დ) VII ს-ის დასაწყისში;

6. როდემდე იარსება საქართველოს ერთიანმა საპატრიარქომ?

- ა) VIII ს-ის შუამდე; გ) XVI ს-ის შუამდე;
 ბ) IX ს-ის შუამდე; დ) XIX ს-ის I ნახევრამდე;

7. ეგრემ მცირეს მიხედვით რომელი საუკუნიდან იკუთხებოდა საქართველოში მირონი?

- ა) IV ს-დან; გ) IX ს-დან;
 ბ) V ს-დან; დ) XI ს-დან;

8. რა ერქვა ბაგრატ IV-ის დედას, რომელიც 1054-1057 წლების მოლაპარაკებებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა?

- ა) მირანდუხტი; გ) რუსუდანი;
 ბ) მარიამი; დ) ბორენა

9. წმ. მეფე თამარის საგარეო პოლიტიკა რით განსხვავდებოდა წმ. მეფე დავით აღმაშენებლის პოლიტიკისაგან?

- ა) თამარმა დავითის მსგავსად ვერ გააფართოვა თავისი ქვეყნის საზღვრები;
 ბ) თამარმა უფრო ნაკლები საგარეო ომები გადაიხადა;
 გ) თამარი დამარცხებულ ქვეყნებს უშუალოდ არ უერთებდა თავის სამეფოს, არამედ ემადნაფიცობით კმაყოფილდებოდა;
 დ) თამარის დროს სახელმწიფოს უკვე აღარ შეეძლო ეწარმოებინა საგარეო ომები;

10. რომელ წელს გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია?

- ა) 1801 წ. გ) 1811წ.
 ბ) 1810 წ. დ) 1814 წ.

ვარიანტი № 9

1. ქართულ წყაროთა მიხედვით, როდის ჩამოყალიბდა ერთიანი საქართველოს სახელმწიფო:

- ა) ქრისტეშობამდე X ს-ში;
- ბ) ქრისტეშობამდე IV-III სს-ში;
- გ) ახალი წელთაღრიცხვის VII ს-ში;
- დ) ახალი წელთაღრიცხვის XI ს-ში.

2. რომელი ქართველი მოღვაწე, წერდა, რომ ჩვენ ქვეყანაში უქადაგია ბართლომე მოციქულს?

- ა) გიორგი მთაწმინდელი;
- ბ) არსენ იყალთოელი;
- გ) ეფრემ მცირე;
- დ) იოანე პეტრიწი;

3. „ქართლის ცხოვრება“ რომელ მეფეს მიაწერს წარმართული ღვთაებისათვის სისხლიანი მსხვერპლის შეწირვის აკრძალვას?

- ა) ვარაზ-ბაქარს;
- ბ) რეგს;
- გ) ამაზასპს;
- დ) მირდატს;

4. VII ს-ში რომელმა იმპერატორმა ჩამოაჭრა ქართლის სამეფოს დასავლეთ ეგრისი?

- ა) ბასილი II-ეს;
- ბ) ჰერაკლემ
- გ) კონსტანტინემ;
- დ) რომანიზმა;

5. როდის დაარსდა საქართველოს ერთიანი საპატრიარქო?

- ა) VII ს.
- ბ) VIII ს.
- გ) IX ს.
- დ) XI ს.

ვარიანტი № 10

1. ძველი კოლხური კულტურის არეალში დასავლეთ საქართველოსთან ერთად შედიოდა:

- ა) ჩრდილო ურარტუ
ბ) ჩრდილო მესოპოტამია
გ) აღმოსავლეთი საქართველო
დ) აღმოსავლეთი ალბანეთი.

2. ვის ჩაუწერია წმ. ნინოს ცხოვრება?

- ა) იოანე ეპისკოპოსი; გ) ნანა დედოფალს;
ბ) სალომე უჯარმელს; დ) დაჩი უჯარმელს;

3. დასავლეთ ვერისში როდის აღიკვეთა ქართული ენა და დაწესდა ბერძნული ღვთისმსახურება?

- ა) 530-იან წლებში; გ) 730-იან წლებში;
ბ) 630-იან წლებში; დ) 830-იან წლებში;

4. XII ს-ში ვისი უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა ციხე-ქალაქ სამშვილდეს აღება?

- ა) დავით აღმაშენებლის; გ) ყუბასარის;
ბ) გიორგი ჭყონდიდელის; დ) დემეტრე ბატონიშვილის;

5. რამდენი წელი ბატონობდნენ მონღოლები საქართველოში?

- ა) 50 წ. გ) 200 წ.
ბ) 100 წ. დ) 250 წ.

6. V-VI საუკუნეებში რატომ აძლიერებდა სპარსეთი სომხურ ეკლესიას?

- ა) სპარსეთში ბევრი სომეხი ცხოვრობდა;
- ბ) ანტიბიზანტიური მიმართულების გამო;
- გ) სომხური ეკლესია აღიარებდა შაჰის ძალაუფლებას;
- დ) სომხური ეკლესიის ფინანსური სიძლიერის გამო;

7. XI საუკუნეში რომელ წლებში მიმდინარეობდა მოლაპარაკება ბიზანტიასა და საქართველოს შორის?

- ა) 1021-1024 წწ.
- ბ) 1044-1047 წწ.
- გ) 1054-1057 წწ.
- დ) 1067-1070 წწ.

8. ვინ იყო დავით აღმაშენებლის მოძღვარი?

- ა) გიორგი ჭყონდიდელი;
- ბ) არსენ იყალთოელი;
- გ) იოანე კათალიკოსი;
- დ) მიქაელი;

9. ვინ მოაკვლევინა საქართველოს ეკლესიის მეთაური წმ. მამა ევდემონ კათალიკოსი?

- ა) შაჰ-აბასმა;
- ბ) როსტომ ვალმა;
- გ) შაჰ-ნავაზმა;
- დ) დაუდ-ხანმა;

10. როდის აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია?

- ა) 1916 წ.
- ბ) 1917 წ.
- გ) 1918 წ.
- დ) 1919 წ.

ვარიანტი № 11

1. ქრისტეშობამდე VI ს-ის რომელი ავტორი წერს, რომ მოსოხი კოლხური ტომია?

- | | |
|----------------------|---------------|
| ა) ჰეროდოტე; | გ) სტრაბონი; |
| ბ) ჰეკატოს მილეტელი; | დ) მგეასთენე; |

2. რომელი სახელმწიფო მოღვაწის დახმარებით დააარსა მეფე ფარნავაზმა ერთიანისაქართველოს სახელმწიფო:

- | | |
|---------------------|----------------------|
| ა) ბაგრატ ერისთავის | გ) დემეტრე ერისთავის |
| ბ) ქუჯი ერისთავის | დ) გრიგოლ ერისთავის. |

3. როგორი იყო მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესიები?

- ა) მოციქულების დაქვემდებარებაში;
- ბ) იერუსალიმის იურისდიქციაში;
- გ) ავტოკეფალურები;
- დ) უპირატეს ეპისკოპოსს დაკვემდებარებული;

4. ვახუშტი ბატონიშვილისა და სხვა ძველი ისტორიკოსების მიხედვით რომელ წლებში აღიარა ქართლის სამეფო კარმა ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად?

- | | |
|----------------|----------------|
| ა) 317-318 წწ. | გ) 323-325 წწ. |
| ბ) 323-325 წწ. | დ) 331-337 წწ. |

5. სად არის დაკრძალული მატათია მოციქული?

- | | |
|---------------|------------------|
| ა) არტანუჯში; | გ) ოძრახისში; |
| ბ) გონიოში; | დ) ტრაპეზუნტთან; |

6. რა ერქვა ორი საკათოლიკოსოსგან შექმნილ საქართველოს საპატრიარქოს პირველ პატრიარქს?

- ა) პეტრე; ე) მელქისედეკი;
- ბ) იოანე; დ) მიქაელი;

7. რატომ გაწყვიტა გუთეთის ეკლესიამ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან კავშირი?

- ა) დამოუკიდებლობის მოთხოვნის გამო;
- ბ) ხატმებრძოლობის გამო;
- გ) ბიზანტიის კეისრის აგრესიის გამო;
- დ) მეზობელ ეკლესიასთან დაახლოების გამო;

8. XI ს-ში რა აღიარა ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ის ჩატარებულმა კრებამ, გარდა ქართული ეკლესიის და ქართველი ბერების დენის შეწვევისა?

- ა) ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები;
- ბ) ქართული ეკლესიის ავტოკეფალია;
- გ) საქართველოს ეკლესიას მირონის კურთხევის უფლება;
- დ) საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო უფლებები;

9. ჯალალედინის მიერ თბილისის აღებისას რამდენი ადამიანი შეეწირა ქრისტეს რწმენას?

- ა) ბევრი; ე) ოცი ბევრი;
- ბ) ათი ბევრი; დ) ასი ბევრი; („ბევრი“ 10.000)

10. როდის სცნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ბერძნულმა საპატრიარქო ეკლესიებმა?

- ა) 1927 წ. ე) 1990 წ.
- ბ) 1943 წ. დ) 1995 წ.

ტესტების სწორი პასუხები:

ვარიანტი № 1:	1დ	2ბ	3გ	4ბ	5ბ	6ა	7დ	8გ	9ბ	10ა
ვარიანტი № 2:	1გ	2ბ	3ა	4ბ	5ბ	6ბ	7გ	8ბ	9გ	10ბ
ვარიანტი № 3:	1გ	2დ	3ბ	4დ	5ბ	6გ	7ბ	8გ	9დ	10გ
ვარიანტი № 4:	1გ	2გ	3ა	4ბ	5გ	6ბ	7ა	8ბ	9ა	10დ
ვარიანტი № 5:	1ბ	2გ	3დ	4ბ	5დ	6გ	7ბ	8ბ	9ბ	10გ
ვარიანტი № 6:	1დ	2გ	3გ	4გ	5გ	6ა	7ბ	8ბ	9გ	10გ
ვარიანტი № 7:	1ბ	2ბ	3ა	4ბ	5გ	6ბ	7დ	8დ	9გ	10ბ
ვარიანტი № 8:	1ბ	2დ	3ბ	4ა	5ა	6გ	7ბ	8ბ	9გ	10გ
ვარიანტი № 9:	1ბ	2გ	3ბ	4ბ	5დ	6ბ	7ა	8დ	9ბ	10ა
ვარიანტი № 10:	1გ	2ბ	3ბ	4ბ	5ბ	6ბ	7გ	8ბ	9ბ	10ბ
ვარიანტი № 11:	1ბ	2ბ	3გ	4ა	5ბ	6დ	7გ	8გ	9გ	10გ
ვარიანტი № 12:	1ა	2ბ	3გ	4ბ	5ბ	6გ	7ბ	8დ	9ბ	10გ



მოსახსენებელი:

ეს წიგნი დაიბეჭდა სულის ცხონების მაძიებლის ფატიმა მურადოვას მოსახსენებლად.

Эта книга посвящается памяти вечной души
Фатимы Мурадовой

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი ----- 3

საქართველოს ეკლესიის ისტორიის

I პერიოდი, I-XI სს.

(წმ. მოციქულებიდან - რუს-ურბნისის კრებამდე)

I საუკუნე -----	7
II საუკუნე -----	9
III საუკუნე -----	11
IV საუკუნე -----	12
V საუკუნე -----	14
VI საუკუნე -----	17
VII საუკუნე -----	20
VIII საუკუნე -----	22
IX-X საუკუნეები -----	24
XI საუკუნე -----	25

საქართველოს ეკლესიის ისტორიის

II პერიოდი, XII-XVIII სს.

(რუის-ურბნისის კრებიდან ავტოკეფალიის
გაუქმებამდე)

XII საუკუნე -----	29
XIII საუკუნე -----	35
XIV საუკუნე -----	40
XV საუკუნე -----	43
XVI საუკუნე -----	48
XVII საუკუნე -----	50
XVIII საუკუნე -----	56

საქართველოს ეკლესიის ისტორიის

III პერიოდი

ქართული ეკლესია XIX-XX საუკუნეებში -----	60
ტესტები -----	67